„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№2 (206)
თებერვალი
2016 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს

ზღვებზე მისი სული ელავს
თეთრად მოფრიალე აფრად.
თუ მისი უკვდავება გჯერათ,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ღმერთს ევედრებოდა ბერი,
თუ გმირი მტერს სცემდა ზაფრას?..
სწავლულნო, ნუ დაიბენით,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ჰერეთის მკვიდრი თუ მესხი?
სიკვდილი სად ჩაესაფრა?..
თუ მგოსნის ტკბილქართული გესმით,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

რად გინდათ გვატიროთ ვიღაც –
მიწა რამდენს ხურავს საბნად...
თუ მართლა რუსთაველი გიყვართ,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ვიცანით სიტყვები მისი
ვენახად, თავთავად, თაფლად,
ჩქეფს ლექსი – რუსთველის სისხლი...
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

დე, ნააკვნარიც და კვალიც
ვიცოდეთ შორეულ ზღაპრად...
ის ჩვენი უკვდავება არის, –
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ის ჩვენი პალმის რტოც არის
და ჩვენი დიდების დაფნაც.
არ არის რუსთაველი მკვდარი,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს!

იოსებ ნონეშვილი

რუსთაველის ძეგლის გახსნა
ინგირში. 1967 წელი

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძალიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.

შოთა რუსთაველი

ბესიკ კეკელიძე

ბედის საფეხურები

დიდი ჯაფისა და წვალების შემდეგ, დათომ მცირე ბიზნესი წამოიწყო. მისი საქმიანობა, ძირითადად, კომპიუტერებთან იყო დაკავშირებული. ფირმა მოსკოვის ერთ-ერთი ძლიერი ინსტიტუტის ბაზაზე შექმნა. საქმე შესანიშნავად ააწყო, შეკვეთებს ვერ აუდიოდა. შესაბამისად, შემოსავალმაც იწყო ზრდა. ოჯახი ფეხზე დააყენა, გაჭირვებულ ნათესავებსა და მეგობრებს გამუდმებით ხელს უმართავდა. ბუნებით კეთილი, საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა.

ზემდგომი ინსტანციიდან მასთან ხშირად მიავლენდნენ ხოლმე თანამშრომელს, რომელიც ფირმას ახალი პროგრამების შექმნასა და გასაღებაში ეხმარებოდა. ამჯერად მასთან ივანე მიავლინეს. იგი ისეთი წყნარი, შრომისმოყვარე და, რაც მთავარია, საქმისმცოდნე გამოდგა, რომ პირველი დღიდანვე კოლეგების დიდი სიყვარული დაიმსახურა. რუსული თავმდაბლობა და სისპეტაკე უფლისაგან უხვად ჰქონდა დანათლებული. თავისუფალ დროს ქართული ენის სწავლას ანდომებდა და ორ თვეში იმდენი შეძლო, რომ ულექსიკონოდ საუბრობდა. ირგვლივ ყველანი „ვანოს“ ეძახდნენ.

ფირმაში ტრადიციად იქცა, რომ ყოველი დიდი შეკვეთის შესრულების შემდეგ, დათოს ოჯახში პურ-მარილი იშლებოდა. ამჯერადაც, წესი არ დაირღვა და, ფირმის თანამშრომლები, რუს სტუმართან ერთად, მორიგ გამარჯვებას აღნიშნავდნენ. ჩინებულ სუფრაზე, რომელსაც დათო ხელმძღვანელობდა, სიმხიარულე და სიტკბოება გაბატონებულიყო. ივანეს გაუცხოების გრძნობა დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა. ისე მოერგო ქართულ წეს-ჩვეულებებს, როგორც ბეჭედი თითს. სმითაც ტოლს არ უდებდა ბიჭებს, სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ცლიდა. ცარიელ სასმისს გადმოაბრუნებდა და თამადის დასანახად დაბერტყავდა, – ნახეთ, რა ძლიერი ვარო. თანამესუფრეები ტაშითა და სიცილ-ხარხარით ეგებებოდნენ რუსის გაქართველებას.

სუფრის თავმა მორიგი სადღეგრძელო მეგობრობისა დალია და ღვინით სავსე ფიალა ვანოს გადააწოდა. შორეთიდან მოსულმა სტუმარმა სიამოვნებით შესვა სასმისი.

– ახლა, ჩემო ვანიკა, ძმობა შევფიცოთ ერთმანეთს, – გაუღიმა ღვინით გაჟიჟინებულმა თამადამ.

– ჩვენ, ძმაკაცები ვართ, – უპასუხა ივანემ. ახლოს მივიდა და მხარზე ხელი გადახვია.

– არა, მარტო სიტყვით არა, სისხლითაც! – საჩვენებელ თითს ცხვირწინ უტრიალებდა აქეთ-იქით მოქანავე დათო.

– თამრიკო, თამრიკო! – გასძახა გვერდით ოთახში გოგონებთან მოჭუკჭუკე მეუღლეს.

– გისმენ, დათო! – ცოლი თვალების ცქრიალით გამოეხმაურა ქმარს.

– მჭრელი დანა გამომიტანე, თამრიკო! – სამზარეულოს მიმართულებით გაიშვირა საჩვენებელი თითი.

– რად გინდა, დანა, დათო? – გაკვირვება ვერ დამალა დიასახლისმა.

– მე და ვანიჩკამ ძმობა უნდა შევფიცოთ ერთმანეთს, – სტუმრის სახე ორივე ხელით ჩაბღუჯა და პრუწუნ-პრუწუნით ჩაპროშტნა.

წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. თამრიკომ ერთი კი გააქნია თავი და... დანა უსიტყვოდ გამოუტანა.

თამადამ თასი შეავსო და მარჯვენა ხელში დაიკავა, ხოლო მარცხენაში ჩავლებული სამზარეულოს დიდი დანა ზემოთ აღმართა:

– ჩემი და ვანიჩკას ძმობას გაუმარჯოს! – სასმისი ბოლომდე გამოსცალა და დანის წვერი მარჯვენა საჩვენებელ თითზე დაისვა. სისხლმა გადმოწვეთა. სტუმარმაც იგივე გაიმეორა. ჭრილობები გადააფსკვნეს და რამდენიმე წუთი ასე იდგნენ, შემდეგ გადაეხვივნენ და ერთმანეთს ძმადნაფიცობა მიულოცეს.

მალე რია-რიაც დამთავრდა. სტუმრები სიმღერითა და სიცილ-ხარხარით გაეშურნენ თავ-თავიანთი სახლებისაკენ...

დრო ნელ-ნელა მიძუნძულებდა. ცხოვრება ბედის ბორბალს მეარღნესავით ატრიალებდა...

ერთ მშვენიერ დღეს ივანეს თიაქარის შეტევა დაეწყო. დათოს ხელმძღვანელობით, ფირმის თანამშრომლები, დაფაცურდნენ და ავადმყოფი ნაცნობ ქირურგთან მიიყვანეს. ექიმმა გასინჯა და... – სასწრაფო საოპერაციოაო, – განუცხადა ბიჭებს. რუსი სტუმარი საავადმყოფოში დააწვინეს. ოპერაცია მეორე დილისთვის დაინიშნა.

– ხომ არ გეშინია? – უთხრა დათომ.

– არა, რისი უნდა მეშინოდეს, – აქეთ აწყნარებდა ძმადნაფიცი.

ამ დროს პალატის კარი გაიღო და ქირურგი შემოვიდა. ხელში ანალიზის პასუხები ეკავა. სახე გაურკვევლად შეჭმუხვნოდა.

– ექსპრეს ანალიზმა ბოტკინი გვიჩვენა. სისხლი, ზუსტი დიაგნოზისთვის, ინფექციურში გავაგზავნეთ. პასუხი ხვალ დილას იქნება და თუ დადასტურდა, ოპერაცია გადაიდება.

– ახლა, რა ვქნა? – იკითხა ვანომ.

– არაფერი, ჯერ ბოტკინი უნდა მოვარჩინოთ, – ძალდატანებით გაუღიმა ექიმმა.

– შენ ნუ ნერვიულობ, ჩვენ მოგხედავთ, არაფერს მოგაკლებთ, – მზრუნველი თვალით შესცქეროდნენ თანამშრომლები ავადმყოფს.

ქირურგი კართან მისული არ იყო, რო შემობრუნდა და დათოს ანიშნა:

– ჩემთან ავიდეთ, დათო, საქმე მაქვს.

დერეფანი ორივემ უმალ გაიარეს. კაბინეტში შევიდნენ. ექიმი მაგიდასთან მოკალათდა და დათოს სკამისკენ მიუთითა.

– თამაზ, რას გაჩუმებულხარ?

– სერიოზულადაა საქმე, დათო! –პირქუში გამოხედვა აღებეჭდა სახეზე დასტაქარს.

– ე, ბიჭო, თქვი, რა მოხდა?!

– რა მოხდა და ექსპრეს ანალიზით შენს ძმაკაცს შიდსი სჭირს!

– რაა? – დათოს ნერწყვი ყელში გაეჩხირა, – რას ამბობ, კაცო?

– ეგრეა, ეგრე! ხვალ ზუსტად გვეცოდინება.

– კი, მაგრამ, საიდან უნდა დამართნოდა? – ივანეს საცოდაობით გულ-მუცელი ეწვოდა მეგობარს.

– აბა, რა გითხრა, შიდსი გადადის სისხლით ან სექსუალური კონტაქტით.

– სისხლით? – დათომ თევზივით დააღო პირი. გაახსენდა ძმადნაფიცობის რიტუალი. ტანზე თხემიდან ტერფამდე აბურძგნა, თავბრუ დაეხვა და გული აუფანცქალდა. მძიმედ წამოდგა. ონკანთან მივიდა, გახსნა და ცივი წყლის ჭავლში შეჰყო თავი.

– რა მოგივიდა? – გაკვირვებული შეჰყურებდა თამაზი.

– არაფერი, ესე იგი, პასუხი ხვალ დილით იქნება? – ძლივს ამოღერღა შეშინებულმა.

– ინფექციურში დილის ათ საათზე მზად დაგვახვედრებენ ანალიზის შედეგებს.

დათო რის ვაივაგლახით წამოდგა და კაბინეტიდან უხმოდ გავიდა, მანქანაში ჩაჯდა, ხელები საჭეს შემოხვია და თავი ჩარგო. შიშმა აიტანა, კარგა ხანს იჯდა ასე გახევებული. შიგადაშიგ ისე ამოიოხრებდა, – ვაი, დედაო, რომ გეგონებოდა, ვიღაც წკეპლავსო. გრძნობდა, მუხანათმა ყისმათმა ბედნიერების საფეხურიდან ისე გადმოისროლა, როგორც წკიპურტმა მკლავზე აცოცებული ჭიანჭველა. სული ამბოხივით უბუყბუყებდა. გულზე კი დარდი ლოდივით დააწვა. მანქანა დაქოქა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, – შეატყო, მართვას ვერ შეძლებდა და ძრავა გამორთო. დამძიმებული გადმოვიდა, კარი მაგრად მიაჯახუნა და სახლისკენ გავეშებულმა გასწია ფეხით.

– ჩემი თავი ჯანდაბას, თამრიკომ რა დაეშავა? რამხელა სირცხვილია! ბავშვებს რას ეტყვიან, მშობლები სპიდით დაიხოცნენო ?! ვაიმე, დედა, რა თავის მოჭრაა?! – თავისთვის ჯლაყუნობდა და თავჩაქინდრული ისე მიაბიჯებდა, რომ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ. ფიქრების აბლაბუდაში გაბურდული, ბესიკის ქუჩამდე ძლივს მიღოღდა. აღმართს ფეხების შლაპუნით აუყვა. სადარბაზოსთან გაჩერდა და სატელევიზიო ანძას ახედა. მაშინღა შენიშნა, რომ შემოდგომის დვრიტა, ენკენისთვე, გაღუდღუდებული საღებავებით შემოცქრიალებულიყო და ზაფხულის ხვატში გახუხული მწვანე არჯალი დედაბერივით მიეფანტ-მოეფანტა. მთაწმინდას ჭრომახი ფერები ჭაღარასავით შეპარვოდა. მამა დავითი ქალაქს მშობელივით ლოცავდა და თბილ მზეს მიფიცხებული, სიამოვნებისაგან განაბულიყო. ზორბა ჭადრები ჩასაბუნებად გამზადებული ბელურების ჟივილ-ხივილში გახვეულიყვნენ...

– რა ლამაზია, – ისეთი სინანულით წარმოსთქვა, თითქოს უკანასკნელად ხედავსო.

კიბეზე ძლივს აიტანა წელი. ბინაში შევიდა და საწოლი ოთახისკენ გასწია. ფეხსამოსი ცერებით გაიძრო და საწოლზე მოცელილივით გაიშხლართა.

– თამუნა, თამუნა! – ძალა მოიკრიბა და ისე გასძახა მეუღლეს.

–ასე ჩქარა დაბრუნდი, დათო? – გაუკვირდა დიასახლისს და საწოლთან მიუჯდა.

– თამუნა, სიმართლე მითხარი, ისევ გიყვარვარ? – მიბნედილი თვალები მიაპყრო ცოლს.

– რა საკითხავია, დათო, როგორ არ მიყვარხარ! – შუბლზე ალერსიანად გადაუსვა ხელი მეუღლემ, და ჩაეკითხა : – რა არის? მოხდა რამე, დათო?

– არაფერი, ჩემო სიცოცხლევ, უბრალოდ, არ ვარ კარგად.

– რა გაწუხებს? – შეშფოთებულმა ისევ ჰკითხა თამრიკომ.

– ყველაფერი, ყველაფერი მაწუხებს. ეტყობა, გადავიღალე, – წამოდგა დათო, სამზარეულოში წამლების ყუთი მონახა და სამი აბი საძილე საშუალება დალია, – მირჩევნია დავიძინო, ძილში გამივლის, – თამუნას შუბლზე აკოცა და ლოგინში აბრეშუმის ჭიასავით აჭუპრდა.

დილამდე გათიშულს ეძინა. როგორც კი თვალი გაახილა, სწრაფად წამოხტა ლოგინიდან. საათს დახედა, ცხრა სრულდებოდა. თავი მოიწესრიგა და ტყვიანაკრავივით ქუჩაში გავარდა. ტაქსი გააჩერა და ინფექციურში გაყვანა სთხოვა. ათი სრულდებოდა, როცა შიდსის დიაგნოსტიკის ლაბორატორიასთან მიჩანჩალდა. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ფრთხილად დააკაკუნა და კარებში მორცხვად შეყო თავი:

– მოიცათ, ახალგაზრდავ! რა დროს პასუხია?! ჯერ ათი საათი არ არის, – დატუქსა ექთანმა.

დათომ საათს დახედა. ათს ხუთი აკლდა. სიმწრისაგან სისხლმა ამოასხა:

– თვითმფრინავი ხომ არ არის, ეგ თქვენი პასუხი, ათზე რომ გაფრინდეს?! ნახეთ, თუ მზად არის, მითხარით, ადამიანის ბედი წყდება, რა დროს ტელეფონზე ლაპარაკია! – აღელვება ვერ დამალა დათომ.

ექთანმა დათოს გაფითრებულ და გამძვინვარებულ სახეს რომ შეხედა, ყურმილი ცივად დადო. მაგიდის უჯრა გამოაღო და ქაღალდებში ქექვა დაიწყო:

– კოვალიოვი? – ხელში რამდენჯერმე შეატრიალა ანალიზის ფურცელი ექთანმა.

– დიახ! – პასუხის მოლოდინში ისე გაირინდა, თითქოს დახვრეტის განაჩენს ელოდებაო.

– სუფთაა, არაფერი აქვს! და, ექთანმა ქაღალდი გაუწოდა დათოს.

– ხომ სწორია, ეგ თქვენი პასუხი? – სიხარულისაგან ფეხზე ვეღარ იდგა დათო. ექთანს მივარდა და ისე აეკრა, თითქოს მშობელ დედას ეხუტებაო და ... ლაბორატორიიდან შურდულივით გამოვარდა, ტაქსი გააჩერა და ვანოსთან გაქანდა, რათა ეხარებინა, რომ „ბოტკინი“ არ აღმოაჩნდა.

ირინა

ქალებთან საუბრის შემდეგ ირინა ისეთი განერვიულებული და გრძნობაშლილი შევიდა სახლში, რომ სამზარეულოში საგულე წვეთები მონახა, ოცდაათ წვეთს ნახევარი ჭიქა წყალი დაასხა და დალია. კატაბალახას გემოსგან დაიჯღანა, სკამი გამოინია დაჩამოჯდა. თითქოს მის გრძნობას, მის სიყვარულს დასცინეს, გადაუარეს და ჩაწიხლეს, საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, გათხოვების სურვილი გაუნელდა, სიყვარული დაბეჩავებოდა და სული აფორიაქებოდა. ყურმილი აიღო და ვახოსთან დარეკა:

– ვახო, მე ვარ.

– რა შეწუხებული ხმა გაქვს, მოხდა რამე?

– სასწრაფოდ შენი ნახვა მინდა, – ისეთმა სულდარდიანმა ჩაილაპარაკა, რომ მამაკაცი შეცბა.

– ხომ მშვიდობაა? – გაისმა ყურმილის იქიდან.

– არა, უბრალოდ, შენი ნახვა მომინდა.

– სახლში ხარ?

– კი.

– მაშინ, ვაკის პარკში, ჩვენს სკამთან დაგხვდები. რამდენ ხანში მოხვალ?

– ნახევარ საათში.

– კარგი, მოვილაპარაკეთ!

ირინა წამოდგა, საძინებელ ოთახში შევიდა და ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. მექანიკურად მოქმედებდა. ბინიდან სწრაფად გამოვიდა და სამარშრუტო ტაქსს ვაკის პარკამდე გაჰყვა. ხეებს შორის, ნაცნობი სკამისკენ გასწია, რომელზეც ვახო იჯდა და ელოდა. მამაკაცს სახეზე დაბნეულობა აღბეჭდვოდა, დაძაბულობისაგან სიგარეტს ეწეოდა. ირინას დანახვისთანავე წამოდგა და პირზე კოცნით შეეგება:

– რა სახე გაქვს, მეტყვი, რა მოხდა? – გაკვირვებული თვალებში შეჰყურებდა ვახო.

– სალაპარაკო მაქვს, – სკამისკენ გასწია ირინამ. ვახოც უკან გაჰყვა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

– ვახო, არ დამიმალო, გიყვარვარ? – თავი დახარა და ისე იკითხა ირინამ.

– რომ არ მიყვარდე, ცოლად შენს მოყვანას დავაპირებდი? მე ერთხელ უკვე დამენგრა ოჯახი და გრძნობა რომ არა, ამას მეორეჯერ არ გავაკეთებდი. რა ბუზმა გიკბინა, რა მოგივიდა, ირინა? – მამაკაცი ვერ გარკვეულიყო, რამ გამოიწვია საცოლის ასეთი მდგომარეობა.

– ახლახან გათხოვილ ქალებს მოვუსმინე და გაოგნებული ვარ მათი ოჯახური სიტუაციით. ცოლები ცალკე ცხოვრობენ, სულ სხვა ინტერესი გააჩნიათ, ქმრები – ცალკე, ერთ ჭერქვეშ ფორმალურად არსებობენ, ურთიერთობაც მოჩვენებითი აქვთ, მათ ოჯახს ხალხის თვალში ოჯახი ჰქვია, თორემ, სინამდვილეში, ძველი ეკლესიის ნანგრევებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ლამაზ, წელში გამართულ ტაძარს, რომელსაც ოჯახი ჰქვია. თუ ჩვენი მომავალი ურთიერთობა ასეთი იქნება, მე უარს ვამბობ გათხოვებაზე. შეუღლება იმიტომ მინდა, რომ ჩვენ ერთმანეთი ნამდვილად გვიყვარდეს და თუ ეს გრძნობა მოჩვენებითია, მაშინ ასეთი ოჯახი არ მსურს, რომ მქონდეს.

– ირინა, მე მგონი, ბავშვები აღარ ვართ. მე შენს მიმართ წრფელი გრძნობით ვარ განმსჭვალული. თანაც, ვიცი, რა მინდა, როგორი ოჯახი მინდა მყავდეს. იცი, ყალბი ოჯახური ურთიერთობა უკვე გავიარე და ამას მეორეჯერ აღარ დავუშვებ. არც შენ გაგაუბედურებ და არც ჩემ თავს, – სიყვარულით შეჰყურებდა ვახო თავჩაქინდრულ, სახეაწითლებულ ქალს.

– მართალია? – ირინამ თავი ასწია და ვახოს შეხედა.

ვახომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გაუღიმა, ხელი კისერზე მოხვია, ქალი ახლოს მიიზიდა და ნაზად მოეფერა:

– ასეთ დედაკაცებთან რა საერთო გაქვს? – ყურში უჩურჩულა ვახომ.

– არაფერი, მათ საუბარს შემთხვევით შევესწარი და კინაღამ გავგიჟდი. ეს ვინ ყოფილან, არადა, მთელი ცხოვრება ვიცნობ და მათი ნამდვილი სახე დღეს დავინახე.

– ახლა, ცუდ ნოტაზე ყოფნა გვეყოფა, ისა სჯობია, კაფეში წავიდეთ, – ღიმილით დაამშვიდა ვახომ საცოლე.

წყვილი წამოდგა და ვაკის პარკის გასასვლელისკენ გაეშურა. ირინა დამშვიდდა, გულის სიღრმეში ნანობდა კიდეც, ვახოს ამ თემაზე რომ დაელაპარაკა. ქალმა საქმროს ხელკავი გაუყარა, ტანზე მიეკრა და გზა განაგრძეს.

„ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, პუბლიცისტ ლევან გვეტაძეს მამის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, უხუცესი ქართველი პოეტის

ვასილ გვეტაძის

გარდაცვალების გამო.

შოთა წურწუმია

ქართველი და საქართველო

თურქეთი – ხოფა, 2012 წელი

ქართველი:
გამარჯობა საქართველოვ!

საქართველო:
გაგიმარჯოს, შვილო ჩემო.

ქართველი:
შენ ქართული სუნი აგდის.

საქართველო:
ქართული მაქვს ზნე და გემო.

ქართველი:
ჩაგეხუტო, მინდა, დედი!

საქართველო:
მაგას ვნატრობ, შვილო ჩემო,
ჩემი მკერდის რძე და სითბო
ქართველებს მსურს, რომ ვაგემო.

ქართველი:
მთის წყალივით მომენატრე,
სიამაყევ, სუნთქვავ ჩვენო.
ხომ არავის უჩივიხარ?
ხომ არაფერს გაკლებენო?

საქართველო:
ახლა რასაც გიპასუხებ,
დიდი ხნის წინ უკვე ვთქვი მე, –
აღარ მახსოვს, უცხოს ხელში
ბოლოს როდის გავიღიმე.

გამოდის, რომ მე ამქვეყნად
სიკეთენი ტყვილად ვბადე.
ქართველი:
სთქვი, – თუ რისთვის ემდურები,
სთქვი, თუ ვინ გყავს მოძალადე!

რატომ ტირი, გაგაბრაზეს?
თავს შევაკლავ, მითხარ, – ვინა?
საქართველო:
ეჰ, რა გითხრა, მე იღბალმა
უიღბლობით მაწყენინა.

მე ისა მწვავს, ქართულ მიწას
მოკვდავთ, ნანატრ მთა-ბარიანს,
თურქის მოლა დამყივის და
თურქის დროშა მაფარია...

ყოველ დილით თევზ-დელფინებს
და თოვლისფერს ფაფუკ ფრთიანთ,
ლოცვებსა და კოცნას ვატან
ბათუმში რომ გადადიან.

მეც მათსავით ვიტანჯები,
ჩანს, მიწყრება ბედკრულს ღმერთი,
მომიკითხე, როცა ჩახვალთ
ცხინვალი და აფხაზეთი.

ცრემლს მგვრის როცა ვუკვირდები
ახლანდელ დროს ჯობდა წინა,
მე აქ ბევრმა მასახელა,
მაგრამ ბევრმაც შემარცხვინა.

დღეს თუ პლაჟზე მოკლე კაბით,
სიგარეტით ხელში ყბედობს,
ღამე სირცხვილით დაგბუგავს
„ჰოტელში“ რომ შეიხედო.

მართალს ვამბობ, დამიჯერე,
მოგატყუებ, შვილო, განა?..
ქართველებით გამოტენეს
სასტუმრო და „ბირახანა“.

თუმც მიზეზი მარტივია,–
არ სჭირდება სიბრძნე დიდი,
ფურებისთვის მიუგდიათ
ხარ-ირმების გასაზიდი.

განა ის, რომ ვერ არჩევენ
შავბნელთაგან ნათელ ფერებს,
უსახსრობით დაჰკარგვიათ
სულიერი სიძლიერე.

მოვთქვამთ, გვიკვირს, ქართველები, –
მოკლედ რომ ვთქვათ, – ერთი მუჭა,
გუშინ სიწმინდის მთესველნი
დღეს ასე რამ გააფუჭა.

ქართველი:
გეთანხმები, საქართველოვ,
დრომ ზნეობა გამოლია
და ამქვეყნად დიდ-პატარა
ბინძურ როლებს აჰყოლია.

შიგნით ზნეობის ჩამხრჩობ ხალხს
უზნეობა გააქვთ გარეთ,
სწუხს, და-ძმობის სადღეგრძელო,
გარყვნილობის შემხედვარე.

საქართველო:
ხსნა კი ერთში მდგომარეობს, –
ღვთის შვილივით ეს წესია,
თავზე მეტად შევიყვაროთ
უფალი და ეკლესია.

მაშინ ერიც გაიღვიძებს,
გაცოცხლდება ის, რაც ჭკნება,
ძლიერ მამულს თვალს შევავლებ
და მეც გულზე მომეშვება.

ქართველი:
გესმის?.. გესმი?.. საქართველოვ!
ერთ სატკივარს ორი ვყვებით,
ერთი რწმენის ორი ფრთა ვართ
და ერთ ცეცხლში ვიდაგებით.

საქართველო:
ჰო და, მაშინ გამოცოცხლდით,
განუმტკიცეთ მამულს სული,

ყველა ხერხი მოიმარჯვეთ
ღმერთთან მიახლოებული.

მოდი, შვილო, დახე, ჩემს გულს,
უმოწყალოდ სწუხს და კვდება...
ფრთებდამსხვრეულს თამარის და
დავითის დრო მენატრება.



გლეხი კაცი გროშს შენატრის,
გავარდნილა მთა და ველად,
მეფეს ტახტი აღარ მოსწონს,
ღრუბელს ითხოვს სავარძელად.

რწმენას საძირკველს უთხრიან,
ვშიშობ, რომ მოირყეს მალე
და უმიზნო კუს ნაბიჯით
შორს ვერ წავალთ გენაცვალე.

რუსი მკერდში წიხლებს მირტყამს,
თურქი მკერდში სევდის ტყვიებს,
ღვინის ნაცვლად ჩაით ლხინობს,
ვნატრობ ქართულ ტრადიციებს.

დღეს თუ დავქუცმაცებულვარ,
იყო დრო რომ დიდად ვჩანდი...
დღეს იმედით შესციცინებს
ნიკოფსიას დარუბანდი.

ნეტავ, ჩვენშიც დაიბადოს,
სახით მზე და მკლავით მჭრელი,
ქაჯეთიდან დარეჯანის
გამომხსნელი ტარიელი.

მაშინ, ალბათ, მეც დამიხსნის
ჯოჯოხეთურ ტყვეობიდან,
რუსთაველი ამღერდება
აწ გარდასულ ზეობიდან.

საქართველოვ, გაიფურჩქნე,
ცას მოჰფინე ლხენა შლილი,
ტარიელს ძმად ეყოლება
ფრიდონი და ავთანდილი.

სამივენი რომ შეკრავენ
ძლევამოსილ ლომურ ღონეს,
მაშინ მტერი შენს ნორჩ გულ-მკერდს
ვერასოდეს დაიმონებს.

ქართველი:
ეჰ, სამშობლოვ, ჩვენ ეს ნატვრა
რომ გარდავქმნათ ნანატრ ხანად,
ბრძოლა გვმართებს ამ ოცნების
სისრულეში მოსაყვანად.

მაგრამ, მჯერა: დღეს, ხვალ, ზეგ, თუ...
უახლოეს წლების მერე,
გამარჯვებით ფრთებშესხმული
მაღალ ხმაზე წაიმღერებ.

სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში,
სადაც ლოცვად დავიხარჯე,
ღვთისმშობლის გზამ სიძულვილზე
სიყვარულით გავიმარჯვე.

საქართველო:
შენს პირს თაფლი, ამ იმედით
მალე დავძლევთ სევდის ზვინებს,
აქამდე თუ გავუძელი,
კიდევ ცოტასაც მოვითმენ.

დღეს კი, სანამ წახვიდოდე,
ხასიათს ნუ გამიმრუდებ,
კიდევ ერთხელ დაგიჩოქებ,
მკერდში ტკბილად ჩაგიხუტებ.

ქართველი:
გეფერები, გკოცნი დედავ,
ცხარე ცრემლით ისევ ვდნები
და მთელი გზა მუხლმოყრილი
შენს ლოცვაში დავიღლები.

საქართველო:
ლხენით,

ქართველი:
ლხენით, საქართველოვ,
დღეს ორივე სანთლად ვდნებით,
თუმც მწამს, მალე გამარჯვების
საზეიმოდ შევიყრებით!

მანანა ჩიტიშვილი

ჩემი ლოწვა

მე ისეთი რა უნდა ვთქვა,
არსად არვის არ გაეგოს,
რას შევწვდები „ყივჩაღის ლექსს,„
„ვეფხვს და მოყმეს“ ან „შავლეგოს“,
ვინაც თავი გაუტოლა,
სულწაწყმედით გარდაეგო,
მიწაზე ხომ გარდაქარდა,
ცაშიც ჯოჯოხეთი ერგო.

ვინა ვართ და საით მოველთ
ან სად მივალთ სადაური,
ზოგისა თუ ლექსი ამბობს,
ზოგის – მხოლოდ სათაური.
გმადლობთ, ღმერთო, შენ მიბოძე
ეს სიმდიდრე, – სულის პური,
თუმც არც დიდებული ვიყავ
და არც ტახტის აზნაური.

ღარიბ ქოხში დაბადებულს
ქარი მიმღეროდა ნანას,
სულ მეგონა, ეს საწუთრო
ჩემთვის აფხავებდა დანას,
ქართულ სიტყვამ მიპატრონა,
დამითესა ლექსის ყანა,
ფიცრულიდან ზეცისმიერ
სასახლეში ამიყვანა.

ხელისგულზე ლექსი მიზის,
როგორც ღვთაებრივი ბარტყი,
აღარც ქარის მეშინია,
აღარც – ელვა-მეხის დარტყმის,
უცხო სხივით კოშკი ვაგე,
ვზომე მზის და მთვარის ლარტყით,
ღვთის და ქვეყნის სიყვარული
გარს ქვითკირად შემოვარტყი.

აჰა, ჩემი გულის დარდი,
სულის ჩემის ამოკვნესა,
ჩვენ გადავრჩით, ჟამმა ბევრი
უმჯობესი ამოფესვა,
ღმერთო, ღმერთო, ვინც განაგებ
ქვეყანას და ზესთა-ზესა,
ერს და მამულს მიმფარველე,
სხვას არა გთხოვ არაფერსა!

მამულისადმი

გმსახურებენ შენ და
სულიწმინდის მშვენიერ მუზებს,
ვერავინ მკადრებს –
ამ მთა-ველის ღირსი არ ხარო...
თუ დავცემულვარ,
მხოლოდ შენს წინ
დავმდგარვარ მუხლზე
და თავი ახლაც
შენს კალთასთან მინდა დავხარო.

მეჯლისობს ქარი,
მკლავს შემომხვევს
ალვებს-გრაციებს,
ხვალ რომ ვერ ვნახავ,
იმ ვარდსა და სოსანზე ვნაღვლობ,
როცა მოვკვდები,
ამ მწვერვალთა თოვლად მაქციე,
შენც რომ გიმზერდე
და ცასთანაც რომ ვიყო ახლო.

ქართული ლექსი

არ ვგავარ ბედის მადლიერს,
ვერ ავამღერე ჭიბონი,
გულიდან, სისხლის მაგიერ,
ლექსის წამსკდება სტრიქონი.

სული, პწკარებით ორსული,
ყვავილობს მარტის იებით,
მტერსა და ავის მოსურნეს
ლექსითაც ვიგერიებდით.

ლოცვად, ჩვენს ჭირთა ზიარად
იდგა რუსთველი თეთრწვერა,
მარტო უფლისგან კი არა,
ჯვარი მისგანაც გვეწერა.

ვარ პილიგრამი მოხეტე,
შენთვის სხვა ბედი მეწადა...
ღმერთო, ქართულ ლექსს მოხედე
საქართველოსთან ერთადა.

ქახაბერ ჯაყელი

ოცდამეერთე საუკუნის მეთექვსმეტე წლის დასაწყისს, იანვრის ოთხში, რამდენიმე ოჯახში მომიწია საუბარი წმინდა ილია მართლის შესახებ. არა მარტო ილიას, არამედ იოანე მოსხსაც გადავწვდით...

ცივი ქარი იყო, ვიდექით ერთ გრძელ, ღია აივანზე. ჩვენს შეკრებას პანაშვიდი ერქვა. ღირსეული ქალბატონი გარდაცვლილიყო. ჭირისუფალს ვესაუბრებოდით. ამ დროს, როგორც იციან, ღირსეულმა კაცმა თავის სახლში შეგვიპატიჟა – „ბევრი სასაუბრო გვაქვსო“, – ბრძანა და დაკიდებულ ფერდობზე ავიჭერით.

– სვანი ვაჟკაცი, თბილისშიც მთის ფერდობზე დასახლებულხარ, – ვუთხარი მე ჩვენს მასპინძელს.

– სვანი არა ვარ, ლეჩხუმელი ვარ, ბატონო, ყველაფერი ღვთის ნებაა, – თქვა სვანური ქუდით თავშემკობილმა კაცმა და მარანში შეგვიძღვა.

მარანში ქუდი უნდა მოიხადო, რომ შედიხარ. წმინდა ადგილია. დაუმთავრებელი იყო მარანი, მაგრამ სიწმინდე ეტყობოდა. თასით საფერავი შევსვით, დავილოცეთ და შიდა კიბით ოჯახში აღმოვჩნდით.

– კოშკ-მარანს წააგავს შენი მარანი, – ვუთხარი მასპინძელს.

გამოიტანეს პური, მწნილი, ნიგვზიანი ბადრიჯანი და ღვინო. შობის მარხვა იყო ჯერაც. ბუხარი ააგიზგიზეს. მრგვალი მაგიდის ირგვლივ განვთავსდით. წიგნებს მოვავლე თვალი. კედელზე რომ რამდენიმე წიგნის თარო იყო, იქედან ქართული წიგნების ძველი, დაგლეჯილი, მაგრამ კიდევ კარგად აღმართული სხეულები იმზირებოდნენ.

– ძველი წიგნები ბევრი მაქვს, ვერ განვაახლე, მაგრამ რაც მაქვს ხშირად ვკითხულობ, – თქვა მასპინძელმა.

– წიგნები ძვირი ღირს, რას განაახლებ, – ბრძანა ერთ-ერთმა.

– ეს ვერ გამიგია, კაცო, იმ ქვეყანაში, სადაც წიგნის ფასი არ იციან, წიგნი ოცდათექვსმეტი ლარი რატომ უნდა ღირდეს, – იკითხა მასპინძელმა და თეთრი ღვინო „მალენკოვის ჭიქებში“ ჩამოასხა.

– აი, რომ არ იციან ფასი, სწორედ იმიტომ უნდა ღირდეს ძვირი, – თქვა სტუმართა შორის ყველაზე წიგნიერმა.

სუფრა შედგა. მასპინძელი აფხაზეთში ნაომარი კაცი იყო, ძმა ჰყავდა დაკარგული იმ ბრძოლებში, რომელსაც სამოქალაქო ომს ვუწოდებთ და ჯერაც ვერ განგვისაზღვრია, ვინ და რატომ მოგვახვია თავს ეს ომი. ბოლოს პარტიზანი იყო, თურმე. საბოლოოდ გადმოსვლა მოუწია. თბილისში მთიან ფერდობზე, ციხესიმაგრის მსგავსი სახლი ააგო და დასახლდა.

– ბევრი ცუდი მინახავს და ცოტა კარგი, – ბრძანა მან ბოლოს.

*

... ხანდახან ვესაუბრები ხოლმე ილიას. იმ ღამეს კი არ დამეძინა. საუბარი გაგრძელდა. ეს, რა თქმა უნდა, წარმოსახვითი შეხვედრა და კითხვა-პასუხის გაცვლაა. ახლა არ გაიკვირვოთ, – „ილიასთან საუბარს როგორ ბედავო„?! ჩემი აზრით, ილიასთან საუბარს სახელმწიფოსაგან არ ჭირდება ლიცენზია. ადამიანი სულდგმულობს იმით, რომ მისთვის საინტერესო ადამიანთან საუბრობს...

– დიდო თავადო, შემოგბედავთ და გეტყვით, – თქვენი ნაწარმოები – „ქართულად ღვინის დაყენება“, 1877 წელს გამოცემული, მართლაც განჭვრეტა იყო არა მარტო ქართული ღვინის მომავლისა, არამედ, იმ დარგებისა, რომელიც თქვენს დროს, შესაძლოა, ცნობილი არც იყვნენ, – *ვამბობ მე.*

– ეგ რა დარგებია, ყმაწვილო? – მეკითხება დიდი ილია.

– პირველი. ეს გახლავთ ორგანული სოფლის მეურნეობა; მეორე – ეკოლოგია; მესამე ნიშა-მარკეტინგი, ანუ ნიშური ბაზრობა; მეოთხე – ქვეყნის მარკეტინგი (country marketing), რომელიც გვავალდებულებს დიფერენცირებულად წარვსდგეთ მსოფლიოს წინაშე, რათა დავაინტერესოთ დასავლური ცივილიზაცია, ეგრეთ წოდებული, ატლანტები და გადავრჩეთ რუსეთის ბოლო შემოტევებისაგან.

– ჩემს „ქართულად ღვინის დაყენებაში“, მე კვლავაც რუსეთის ბაზრისაკენ ვიწევდი, ალბათ გემახსოვრებათ, მაგრამ ადამიანია და დრო. დროა მთავარი, რაც ჟამს სურს, ის უნდა აკეთოს ერმა. მოდაო, – იტყვიან, ამ სიტყვას ვერც ვიტან და ვერც დამივიწყებია. მოდაა ჩვენში ზოგი რამ, მაგრამ რა გაეწყობა.

– ჰოდა, მეც მანდ ვარ. მეცნიერებმა ახლახან აღმოაჩინეს, რომ დრო, საერთოდ, არ არსებობს როგორც მყარი სიდიდე. იგი სხვადასხვა მოვლენის ურთიერთმოქმედებაში გვეხმარება მხოლოდ, თორემ, სადაა დრო? – *ვეკითხები მე.*

– მართალი ხარ, ყმაწვილო. მე თავადაც მუდამ ვეჭვობდი, რომ დრო ადამიანის მიერ გამოგონილი სიდიდე იყო. მთავარი გახლდათ ცვეთა. გაცვთა ადამიანი და დროს დააბრალა. თორემ ყველაფერი მისი გონებიდან მოდის. მისი გონება გაცვთა. მას დაავიწყდა, რომ აზროვნება მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. ადამიანი აზროვნებს და განაგებს საკუთარ ბედს, როდესაც აზროვნების მანქანა ცვთება, ადამიანიც იწყებს დაბერებას და, საბოლოოდ, გვრჩება ცვეთა.

– თქვენ შეებრძოლეთ ერის აზროვნების ცვეთას, დიდო მგოსანო, თუმცა ხელოვნურად გამომივიდა, შესაძლოა, ამგვარად ამ კითხვის დასმა, მაგრამ სხვანაირად შეუძლებელი იყო ჩემი აღფრთოვანების გამოხატვა თავად ილია ჭავჭავაძის მიმართ, სიტყვა მგოსანიც ხელოვნურად ჟღერდა, მაგრამ სხვანაირად კითხვის დაწყობა ვერ შევძელი.

– ქართველი ერი, ჰმ, ... (მგოსანი ცოტა ხანს დუმდა, ალბათ თავისთვის რაღაცას ფიქრობდა), – ქართველი ერი... აზროვნებდა კი ის როდესმე? ძნელი სათქმელია, – ჩაიბუბუნა მან.

– ერის აღმავლობა აზროვნების გარეშე შეუძლებელია, –*არ მოვეშვი მეც.*

– შესაძლოა ეს ადგილმდებარეობის ბრალია, შესაძლოა კიდევ სხვა რამის, მაგრამ, ქართველ ერს, უხსოვარი დროიდან ახასიათებდა ჩაძინებისაკენ ლტოლვა. ძილისკენ ორი მიზეზით მიილტვი. თუ შრომაში დაღლილხარ, დიახ, უნდა დაგეძინოს ტკბილი ძილით, რომ დილაადრიან ფეხზე წამოიჭრა და მზის პირველ სხივებს შეეგებო. მაგრამ თუ არც გიშრომია, მაშინ რა გაძინებს? რა გაძინებს და ის, რომ არაფერი გაქვს სათქმელი, ამიტომაც სირცხვილი გექაჩება სასთუმალისაკენ, – თავად უპასუხა თავადმა ილიამ საკუთარ კითხვას.

– მართლა ამგვარად ფიქრობთ, დიდო მგოსანო? ნუთუ სათქმელი არ ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს?– *ვიკითხე მე.*

–აზროვნებას, სილოგიზმს, ლოღიკას ასწავლიდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის ბრძანებით, მაგრამ, შემდეგ, ეს მონღოლთა შემოსევასაც უნდა დავაბრალოთ, აკადემია ჩვენში გარდაიცვალა. სწორედ ამიტომაცაა, რომ იმ საუკუნეების ამბებში, აღარ იგრძნობა საზოგადოებრივი მშენებლობა. არ არის კაცი განათლებული, ლოღიკით განსწავლული, ფილოსოფიით აღჭურვილი და რწმენით გამტკიცებული, – *ბრძანა ილიამ.*

– ისე, ეგ მაინტერესებდა, მუდამ, დიდო თავადო, – ალბათ, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში მოიშალა ჩვენში აკადემია, მაგრამ წმინდა წერილით განათლება ხომ დარჩა?

– არის ჭეშმარიტება, რასაც მხოლოდ სულით ჩაწვდები და არის საგანი, რომელსაც მხოლოდ გონებით თუ შევიგნებთ. აბა, რად მოგვეცა გონება, თუ ყოველივეს ჩაწვდომა სულითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მონღოლთა შემოსევამ მოსპო განათლება, გაუნათლებლობამ ვეღარ აღზარდა სახელმწიფო კაცი, სახელმწიფო



მოხელემ უცოდინრობის გამო ვერ შექმნა სახელმწიფო მანქანა. რომ იტყვიან, ერის აზროვნება გაიცვითა.

– ახლა რა მდგომარეობაა საქართველოში, დიდო თავადო? – *შევბედე მას დიდი მოწიწებით.*

– დიდ ცოდვას: სიამაყესა და ამპარტავნებას ყავხართ ყველანი შეპყრობილი. შესაძლოა იმას, რაც თქვენ გჭირთ, კოლექტიური ნარცისიზმი ეწოდოს. პირფერობა და პირში ქება ცამდე აგიყვანიათ. თუ კაცის დაგდება გსურთ, მაშინ მას პირში აქებთ და ზურგში აგინებთ, ხოლო თუ კაცის აღზევება გადაგიწყვეტიათ, მაშინ მის უნარებს კი არ განიხილავთ, არამედ მასზე ლეგენდების შეთხზვითა და მათი გავრცელებით ხართ დაკავებული. საბოლოო ჯამში, იმასაც აზარალებთ. საერთოდ, მუცლით-მეზღაპრეებს ყავხართ ხელთ ჩაგდებული. არა ახალზე, არამედ გაცვეთილ ზღაპრებზე ეგებით. აზროვნება დავიწყებას მისცემია თქვენში. ერთად რომ შეიკრიბებით დიდი ხნის უნახავნი, ერთმანეთის ნუნის აღმოჩენით ხართ დაკავებულნი. ამიტომაც გეშინიათ ერთად შეკრების. დაგვიწყებიათ ის, რომ ადამის ძეს სხვანაირად, სხვამხრივ უნდა მზერა. აი, ეხლა, რასაც გასწავლით, ამ სიტყვას თუ არ დაივიწყებთ და შეითვისებთ, აუცილებლად გადარჩებით და გაძლიერდებით.

– გვასწავლეთ, დიდო მგოსანო, – *ვთქვი მე.*

– ადამი თავად ღვთის სასწაული იყო, ხოლო მისი ძეები და ასულები, ჩვენ, ადამიანები, უფლის სასწაულის მთავარი ნაწილი გახლავართ. სწორედ ამას მოგვითხრობს წმინდა წერილი. არა მარტო ბიბლია და სახარება, არამედ ყველა დიდი რელიგია იმასვე ეუბნება კაცს, რომ სწორედ სასწაული თავად შენ ხარო. ამიტომაც ადამიანის ყველაზე დიდი იარაღი არის სიკეთე. მაგრამ, როგორ სიკეთეზე მაქვს ეხლა საუბარი? „გონით საწვდომი საგნების წვდომაც მხოლოდ სიკეთის მეშვეობით თუ შეიძლება“ – ამბობს პლატონი. ესე იგი, მე ვსაუბრობ საქმეთა სფეროსათვის საჭირო სიკეთეზე. სულიერებას რომ სიკეთე უნდა, ეს თავად იცით, მაგრამ გონიერებას რომ მხოლოდ სიკეთე სჭირდება, ეს კი დაგვიწყნიათ. ამიტომაც ტაძრიდან გამოსულები ხშირად მგლურად უყურებთ ერთმანეთს. გონებრივი, მატერიალისტური სფერო რომ სიკეთეზე დგას, ეს მინდა შეგახსენოთ.

მაგრამ, მარტო შეხსენება მხოლოდ არაფერს გარგებთ, თუ სიკეთის მეთოდოლოგია არ დავამკვიდრეთ.

– სიკეთეს მეთოდოლოგიაც აქვს? რაშია მეთოდოლოგია სიკეთისა? – *გავოცდი მე*

– სიკეთის მეთოდოლოგია არც მარტივია და არც რთული, მონდომებაა საჭირო. სიკეთის საწყისი იარაღი, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მზერაშია ჩასაიდუმლებული, – *ბრძანა დიდმა ილიამ.*

– მზერაში, ანუ ხედვაში, დაკვირვებაში, ყურებაში, თვალიერებაში? – *ვეკითხები ისევ.*

– თვალი თავად საიდუმლოა, მხედველობითი ნება უძლიერესი ნებაა, – ეს იცით, თუ არ იცით ნებისმიერ ოკულისტს კითხეთ და გაიგებთ, მაგრამ მე მზერაზე გესაუბრებით, ანუ იმის უნარზე, როგორ უნდა უცქიროთ ადამიანს.

– დიახ, გისმენთ.

– ადამიანს, იმ განწყობით და მოლოდინით უნდა შეხედოთ, რომ ის უფლის სასწაულია. უნდა შეხედოთ მას ფართოდ გახელილი თვალებით, აღფრთოვანებით. უნდა გამოიმუშავოთ პორტრეტული მზერის კანონი, რომელიც ითვალისწინებს, პირველ რიგში, სიდარბაისლეს. უნდა დააკვიდრეთ ადამიანის შუბლს, მის თავს, არ ჩააშტერდეთ მაინცდამაინც თვალებში, არამედ, უნდა შეხედოთ მის თავს მთლიანობაში და უფალს გულში გადაუხადოთ მადლობა, რომ ეს ადამიანი ამქვეყნად მოავლინა.

– ამით რას მივაღწევთ, თავადო?

– ამით მიაღწევთ ადამიანის მიმართ სწორი დამოკიდებულების გამომუშავებას. გაანთავისუფლებთ საკუთარ თავს ქვემხედვარობისაგან. ადამიანს როდესაც ქვემხედველობით, ანუ წუნის აღმოჩენის სურვილით უმზერენ, ის ამას გრძნობს და განიცდის. არა მარტო განიცდის, არამედ საწინააღმდეგო აქციისათვის ემზადება და „ფარული შეტევის“ მოგერიებას იწყებს, შემდეგ კი, შესაძლოა, „ფარულ შეტევაზე“ გადადის. ნუ გგონიათ ადამიანი გულუბრყვილო. ყოველი ძე და ასული კაცისა გარკვეულ წილად გულთმისანია. მას ახარებს მის მიმართ თქვენი ფარული სიკეთე და აბოროტებს მის მიმართ თქვენი ქვემხედვარობა. ქართული საზოგადოების მთავარი პრობლემა სწორედ ეს ქვემხედვარობაა, – ამიტომაც ვერ მივდივართ წინ, რადგანაც სიკეთეს ვკლავთ ჩვენში და სხვაშიც.

– დამაფიქრებელი და გულთან მისატანი სიტყვებია, მაგრამ შემდეგ რა უნდა გავაკეთოთ?

– შევხედოთ ყველაზე პატარა, თქვენთვის თუნდაც უმნიშვნელო ადამიანს სიყვარულით, ვუმზიროთ მის თავს ეგრეთწოდებული „პორტრეტული მზერით“ და აღმოვაჩინოთ ადამიანის სიკეთეები. ერთ სიკეთეს როგორ ვერ აღმოვაჩენთ ადამის ძეში? ვისწავლოთ სიკეთეების ფარულად აღმოჩენა და მისი საიდუმლოდ შენახვა. ასეთ დროს ჩვენი თვალები კეთილშობილი შუქით აივსება. ეს კეთილშობილი შუქი, კეთილშობილი ენერგიის ნაყოფია. როდესაც ადამიანის სიკეთეს აღმოვაჩენთ, ჩვენ ამ ენერგიით ვივსებით. ჩვენთან მოსაუბრე, თუნდაც ბოროტი კაციც რომ იყოს, ამ ენერგიის გავლენით უმჯობესდება. მისი სული გრძნობს იმას, რომ მას კურნავენ. ადამიანის მკურნალი თავად ადამიანია. რამდენნი ვართ დღეს ქართველნი?

– ოთხ მილიონამდე ვართ, ვგონებ ,დიდო მგოსანო, – *ვპასუხობ მე.*

– როდესაც მსოფლიო ორასი მილიონი იყო, მაშინ ჩვენ, ქართველნი, 12 მილიონი გახლდით, მაგრამ იმის იქით კი არ გავმრავლდით, არამედ, შევმცირდით. ეს ძირითადათ ჩვენი ქვემხედვარობით მოგვივიდა. ქვემხედვარობა ბოროტების საწყისი გზაა. ქართველნი ეხლა ოცდაათ მილიონს უნდა ვაჭარბებდეთ, მაგრამ ერს სიკეთე ამრავლებს და არა ბოროტება. დღეისამას კი, გირჩევთ, უცქირეთ ერთმანეთს იმგვარად, როგორც მე გასწავლეთ. ბოროტება ხშირად თავდაცვითია, ხანდახან კი შემტევი. წარმოიდგინეთ ბოროტება, რომელიც ანგრევს ჩვენს საქართველოს, თუნდაც ორმოცდაათი პროცენტით რომ შემცირდეს, რა მოხდება მაშინ?

– წარმომიდგენია, ქართველი ხალხი ერთმანეთის სიკეთეებით აღფრთოვანებული, მაგრამ თავდაჭერილი, უთქმელად განმახორციელებელი ერთობლივი საქმეებისა, მართლაც დიდი გამარჯვების მომპოვებელი.

– დიახ, მართლაც. თანაც გახსოვდეთ, თქვენს 21 საუკუნეში, უკვე შეიძლება მშვიდობიანი პაექრობა ერთა შორის და ამ პაექრობაში გამარჯვებაც ხელეწიფება იმ ერს, რომელიც ადამიანს, ღმერთის მიერ შექმნილ მთავარ სასწაულს, მართლა დააფასებს! – *ბრძანა ილიამ ბოლოს.*

*

ამ აზრებში მყოფს შემომათენდა.

ებრაელთა დიდი მეფე — პრძენი სოლომონი

ლევან გვეტაძე

ებრაელი ერის დიდ **მეფე დავითს,** ფიცის სახით, სიტყვა ჰქონდა მიცემული **ბათშებაყოსათვის,** რომ მათ შვილს – **სოლომონს** გადაულოცავდა ტახტს.

მოხუცდა დავითი, ისარგებლა ამით მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა **ადონიამ,** – საოცრად თვალტანადმა ყმაწვილმა, შემოიკრიბა მომხრეები და თავი მეფედ გამოაცხადა.

მაშინ, ბათშებაყმა მორიდებით შეახსენა მეფე დავითს: ***„ჩემო ბატონო, ხომ შეჰფიცე შენს მორჩილს, უფლის, შენი ღმერთის სახელით, სოლომონი გამეფდებაო ჩემს შემდეგ და დაჯდებაო ჩემს ტახტზე. ახლა, აჰა, ადონია გამეფდა: შენ კი, მეფეო-ბატონო, არაფერი გაგიგია“.***

ნათან წინასწარმეტყველიც ეახლა მეფეს და უთხრა, რომ ნამდვილად მისი სურვილით გამეფდა ადონია, რომელმაც დახოცა უამრავი პირუტყვი, დაპატიჟა ყველა უფლისწული, ჯარის სარდლები, აბიათარ მღვდელი და ქეიფობენ, თან გაჰყვირიან: ***„იცოცხლოს მეფე ადონიამ„!*** ამასთან ამცნო ისიც, რომ უფლისწულებიდან მხოლოდ სოლომონი არ მიიწვია.

მაშინვე დაავალა დავითმა ერთგულ მსახურებს სოლომონი სასწრაფოდ ჩაეყვანათ **გიხონში** და ოფიციალურად ეკურთხებინათ *მეფედ, „იქ სცხონ იგი ისრაელის მეფედ ცადოკ მღვდელმა და ნათან წინასწარმეტყველმა, მერე ჰკრთით ბუკს და გამოაცხადეთ: იცოცხლოს მეფე სოლომონმა„*–ო.

ამგვარად, ავიდა სოლომონი სამეფო ტახტზე და დაინიშნა ისრაელისა და იუდას მთავრად.

შეიტყო ეს ყოველივე ადონიამ და შეშინდა.

სოლომონმა შეუთვალა: მზაკვრობას თუ არ გაივლებდა გულში, მისი თმის ერთი ღერიც კი არ დავარდებოდა მიწაზე.

ეახლა ადონია სოლომონს და თაყვანიც სცა. პირობისამებრ, სოლომონმა მშვიდობიანად გაისტუმრა.

გავიდა წლები და მოახლოვდა დავითის აღსასრული.

დაიბარა შვილი – სოლომონი, რომელიც ადრევე ჰყავდა შეგულებული მეფედ და უანდერძა – მტკიცედ დაეცვა მოსეს რჯული და უფლის ყველა წესი.

დავითმა ისიც გაახსენა სოლომონს, თუ როგორ მზაკვრულად მოექცა მას **იაკობ ცერუიას ძე** და მშვიდობის დროს დახოცა ისრაელიანების სახელოვანი სარდლები: **აბნერი** და ყამასა, თან დაამატა: ***„ბრძნულად მოიქეცი და მშვიდობით ნუ ჩაუშვებ მათ ჭაღარას შავეთში“-ო;*** ისიც შეახსენა შვილს, რომ კეთილი ურთიერთობა ჰქონოდა **ბარზილაი გალაადელის** შვილებთან, რადგან მათ სიკეთე უყვეს, როცა **აბესალომი** ემტერებოდა, ხოლო ბენიამინელი **შიმყი** წყევლიდა.

შეკრიბა დავითმა მთელი ისრაელიანობა და ხმამაღლა განუცხადა უფლის სურვილი: სწორედ მის ღირსეულ მემკვიდრეს – სოლომონს რგებოდა ღვთის წინაშე ყველაზე საპატიო საქმის, უფლის კიდობნისათვის სახლის აშენების ხელმძღვანელობა, ვინაიდან თვითონ მეფეს, როგორც მეომარს, უამრავი სისხლი ჰქონდა დაღვრილი. მოუწოდა საკუთარ შვილს, – სოლომონს წრფელი გულით ემსახურა უფლისათვის და არასოდეს განდგომოდა; სანაცვლოდ, არც უფალი მიატოვებდა და ყოველგვარ საქმეში მასთან ერთად იქნებოდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მშვიდობიან გარემოში ამეფებდა ისრაელზე. გარდა ამისა, დავით მეფემ სოლომონს მისცა სრული გეგმა უფლის სახლის ასაშენებლად და ***„ასევე ყველაფრის გეგმა, რისი გაკეთებაც გულში ჰქონდა“.***

სახელოვანი მამის ყველა დანაბარები პირნათლად აღასრულა თავისი მეფობის ხანგრძლივ პერიოდში სოლომონმა.

ამის შემდეგ, მოკლე ხანში, გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეფე – დავითი, რომელმაც ადრეულ ასაკში, სიჭაბუკეშივე მეფე **საულისაგან,** ხოლო მოხუცებულობაში კი საკუთარი შვილის, – აბესალომისაგან აიტანა დევნა, თუმცა თვითონ მის მიმართ ჩადენილი უღირსი საქციელი და ღალატიც კი, ყველას აპატია და მხოლოდ უფლის წინააღმდეგ წამსვლელი ხალხის მიმართ იყო დაუნდობელი.

ორმოცი წელი იმეფა ისრაელზე, – ხებრონში შვიდი და იერუსალიმში კი ოცდაცამეტი. მისი ნათელი საქმეები **სამუელ** და **გად** მისნების, აგრეთვე ნათან წინასწარმეტყველის სიტყვებშია აღწერილი.

მისი ცხედარი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მიაბარეს სიონის წმინდა მიწას.

მთელ თავის რჩეულ ხალხთან ერთად, სოლომონ მეფე გაემართა გაბაონში მდებარე გორაკისაკენ, სადაც ღვთის მორჩილ **მოსეს** მიერ უდაბნოში გაკეთებული სადღესასწაულო კარავი ეგულებოდა.

კარვის წინ, სპილენძის სამსხვერპლოსთან აღსავლენის აღვლენისას, სოლომონს ღმერთი გამოეცხადა, რომელმაც ნება დართო მისთვის ეთხოვნა ის, რაც ყველაზე მეტად ეწადა გულით.

სოლომონმა სიბრძნე და ცოდნა შესთხოვა უზენაესს, რათა მისივე რჩეული ერის საკადრისი წინამძღოლობა შესძლებოდა, რათა გაერჩია მრავალრიცხოვან ერში ბოროტება სიკეთისაგან.

მოეწონა უფალს მისი თხოვნა, რადგან მან არც ხანგრძლივი სიცოცხლე, არც მისი მტრების დასჯა მოითხოვა, არამედ ერის გასაძღოლად აუცილებელი გონიერება გამოსთხოვა და ბრძანა: ***„გეძლევა სიბრძნე და ცოდნა. ისეთ სიმდიდრეს, ქონებასა და დიდებას მოგანიჭებ, რომლის მსგავსი არც შენს წინამორბედ მეფეებს ჰქონდათ და არც შენს შემდეგ ეღირსება ვინმეს“.***

დაიწყო ისრაელზე სოლომონის მეფობის საამაყო ხანა.

იერუსალიმში, მამის – დავითის სატახტო ქალაქში მეფობდა სოლომონი. კიდევ უფრო განმტკიცდა მისი მეფობა, რადგან გულით შეიყვარა უფალი, რომლისთვისაც სწორედ მსხვერპლის შესაწირად ჩავიდა გაბაონში.

დიდებულმა მეფემ ადრეულ წლებშივე დაიმკვიდრა ბრძენკაცის სახელი.

ერთხელ, ორი მეძავი ქალი, ერთი ჩვილი ბავშვით ეახლა სოლომონ მეფეს. ქალებს დავა ჰქონდათ ერთმანეთში და ორივე ერთი ბავშვის დედობას იჩემებდა.

სოლომონმა მახვილის მოტანა, შემდეგ კი ბავშვის შუაზე გაჩეხვა ბრძანა ისე, რომ ერთი ნახევარი ერთისთვის, ხოლო მეორე ნახევარი

მეორე ქალისთვის მიეცათ.

მაშინ, ერთმა ქალმა, სასონარკვეთით იკივლა, ოღონდ არ გაეჩეხათ ბავშვი და სთმობდა. მეორე ქალი კი, დაჟინებით მოითხოვდა, ბავშვის შუაზე გაჩეხვას და ნახევარ-ნახევარი ნაწილის მიკუთვნებას თითოეულისათვის.

მეფემ ბრძანა რომ, პირველი ქალი ბავშვის დედაა, რადგან გასაჩეხად ვერ გაიმეტა ჩვილი და კანონიერად მიაკუთვნა მას პატარა.

„გაიგო მთელმა ისრაელმა განაჩენის ამბავი, მეფემ რომ გამოიტანა, და შეეშინდათ მეფისა, რადგან დაინახეს, რომ ღვთის სიბრძნე იყო მასში სიმართლის გასაჩენად“.

კანონიერად მეფობდა და ცხოვრობდა სოლომონი, რომელსაც ეპყრა ***„ყველა სამეფო მდინარიდან ფილისტიმელთა ქვეყნამდე და ეგვიპტის საზღვრებამდე“.***

სოლომონი დაუმეგობრდა ტიროსის მეფე ხირამს, რომელიც დავითის მოყვარულიც იყო.

მაღე, სოლომონმა **ხირამს** შეუთვალა: მამამისმა – დავითმა, იმის გამო ვერ შესძლო იერუსალიმში ღვთის სახლის აშენება, რომ მტერი ეხვია გარშემო, ახლა კი, უფლის წყალობით, აღარ მაწუხებს არავინ, არც რაიმე ფათერაკი მელის და, ვფიქრობ, ავაშენო სახლი ***„როგორც ნათქვამი აქვს მამაჩემისთვის: შენი ვაჟიშვილი, ვისაც შენს ნაცვლად ტახტზე დავსვამ, ის ამიშენებს ჩემს სახელზე სახლს“***-ო.

ხირამს ესიამოვნა სოლომონის სიტყვები და გაეხარდა კიდეც, რომ ისრაელს, ხალხის გამგებელად, უფლის კურთხევით, ასეთი ბრძენი მეფე ხვდა წილად.

უფლისათვის სახლის ასაშენებლად სოლომონი ხირამს კედარისა და კვიპაროსის ხეებს ართმევდა, თვითონ კი სურსათს უგზავნიდა.

ასეთივე მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა სოლომონმა ყველა სხვა მოსაზღვრე ქვეყნებთანაც, რითაც არამხოლოდ ისრაელიანები, არამედ, ყველა სხვა ხალხიც ხარობდა.

ეგვიპტიდან ისრაელიანთა გამოსვლის ოთხასმეოთხმოცე, ხოლო სოლომონის ისრაელზე მეფობის მეოთხე წელს შეუდგა უფლის სახლის შენებას. სოლომონს დიდი პატივი ხვდა წილად, სახელოვანი მამის ოცნებისთვის ხორცი შეესხა და იერუსალიმში აეგო ტაძარი, – ღვთის სახლი.

გარდაცვალებამდე, დავითმა შეაგროვა თითქმის ყველა საჭირო მასალა, ოქრო-ვერცხლი და სხვა რამ, რაც აუცილებელი იყო უფლის ტაძრის ასაშენებლად; მისი ყველაზე დიდი ოცნება, სწორედ იერუსალიმში სოლომონის მიერ უფლისათვის ღირსეული სახლის აგება იყო.

სოლომონი შეუდგა უფლის სახლისა და საკუთარი სამეფო სახლის შენებას, რაშიც მას მხარში ამოუდგა ტიროსის მეფე **ხირამი,** რომელიც დავითის დიდი დამფასებელი და მეგობარიც გახლდათ. ხირამი კმაყოფილი იყო იმით, რომ მისი მეგობარი დავით მეფის ღირსეული შვილი აგრძელებდა ისრაელზე მეფობას.

ხირამმა მხარში ამოსადგომად სოლომონს ბრძენი კაცი, – **ხურამ აბი** გაუგზავნა. ერმა, სოლომონის მეთაურობით, მორიას მთაზე უფლის სახლის შენება დაიწყო **ორნა იებუსელის** კალოზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც განზრახული ჰქონდა თვით დიდ დავით მეფესაც.

ძვირფასი მასალებით ააშენა სოლომონმა ღვთის სახლი და აღსავლენი სამსხვერპლოც, ხოლო მამის შემოწირული განძეულობა, ოქროვერცხლი და ჭურჭელი *„ღვთის სახლის საგანძურში მოათავსა“.*

აღთქმისამებრ, ლევიანებმა წაასვენეს კიდობანი, სადღესასწაულო კარავი და დაასვენეს ***„მისთვის განკუთვნილ ადგილზე ტაძრის დაბირში, წმიდათაწმიდაში, ქერუბიმთა ფრთებქვეშ“.***

ღვთისმსახურები მგალობლებთან ერთად, საკრავებით, განადიდებდნენ ღმერთს, როცა უფლის სახლი მოულოდნელად ღრუბელმა აავსო და მღვდელებმა ვეღარც კი შესძლეს რიტუალის გაგრძელება, ***„რადგან უფლის დიდებამ აღავსო ღვთის სახლი“.***

აკურთხა ბრძენმა სოლომონმა მთელი ისრაელიანობა, შეახსენა, რომ მათ უფალი მფარველობდა და სწორედ მისი ნებითაა კურთხეული მეფედ და ამიტომ მოახერხეს დავითის ქალაქ იერუსალიმში ღმერთის სახლის აშენება, რომელშიც დაასვენეს ყოვლადუზენაესის კიდობანი მისივე აღთქმით.

სოლომონმა ხალხს ღვთის დაპირებაც შეახსენა, რომლითაც დავითს აღუთქვა, რომ ღირსეულ მემკვიდრეს არ გამოულევდა წინამძღოლად ერს, ოღონდ მის შვილებს წესიერად ცხოვრების წესი შეენარჩუნებინათ და ღვთის წინაშე მოქცეულიყვნენ ისე, როგორც დავითი იქცეოდა.

ამის შემდეგ, ერის სახელით, სოლომონ მეფე გულწრფელად შეუდგა ლოცვა-ვედრებას: ***„უფალო ღმერთო! პირს ნუ შეაქცევ შენს ცხებულს, გაიხსენე დავითის, შენი მორჩილის, ქველი საქმეები“.***

დაასრულა სოლომონმა ლოცვა და ზეციდან გადმოუშვა უფალმა ცეცხლი, რომელმაც შთანთქა აღსავლენი მსხვერპლი. ოცდაორი ათასი ხარი და ოცი ათასი ცხვარი დაკლა სოლომონმა.

მთელმა ერმა მეფესთან ერთად აკურთხა ღვთის სახლი. იზეიმეს შვიდი დღის განმავლობაში, მერვე დღეს კი საზეიმო წვეულება გამართეს.

ბოლომდე დაასრულეს უფლისა და სამეფო სახლის შენება.

სოლომონს ღამით გამოეცხადა უფალი და შეახსენა, რომ ყოველთვის დაიფარავდა ერს, თუ დაიცავდნენ მის მიერ ნაბრძანებ კანონებს, ხოლო სხვა შემთხვევაში: ***„ამოვძირკვავ მათ ჩემი მიწიდან, რომელიც მათ მივეცი, და ამ სახლს, რომელიც გავნათლე ჩემი სახელით, მოვიშორებ ჩემი პირიდან. საარაკოდ და სათრეველად გავხდი ყველა ხალხს შორის„***–ო.

ოცი წელი მოანდომა სოლომონ მეფემ უფლისა და სამეფო სახლის შენებას, ხოლო ხირამის მიერ მიცემულ ქალაქებში ისრაელიანები ჩაასახლა, გააშენა უამრავი ახალი ქალაქი და იქ მცხოვრები ყველა ხალხი, რომლებიც არ ითვლებოდნენ ისრაელიანთა მოდგმად, იქვე დატოვა და ***„ბეგარაზე მომუშავეებად განაწესა სოლომონმა და ასე არიან დღემდე“.***

ისრაელიანთაგან არავინ დააყენა მეფემ ბეგარაზე მომუშავედ, ყველანი მეომრად აქცია და სწორედ ამიტომ მიაღწია სამხედრო ძლიერებას.

ორასორმოცდაათი კაცი დაუწესა მეფემ ერს წინამძღოლად.

მამის, – დავითის მიერ დადგენილი წესის თანახმად ემსახურებოდა სოლომონი ერს და უფალსაც.

ყოველმხრივ გაძლიერდა ისრაელის ქვეყანა და მისწვდა ის ამბავი საბას დედოფალს, რომელიც უამრავი განძეულობით ესტუმრა დიდ მეფეს და გამოსაცდელად რამდენიმე კითხვა მისცა.

ყველა კითხვაზე ბრძნული პასუხი გასცა სოლომონმა.

დედოფალმა გულწრფელად აღიარა, რომ ყოველივე რაც სმენოდა მასზე და მის ქვეყანაზე სრული ჭეშმარიტება ყოფილა და სთქვა: „ბედნიერია შენი ხალხი, ბედნიერნი არიან შენი მორჩილნი, მუდამ შენს წინაშე, რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს“.

საბას დედოფალმა უამრავი ოქრო და ძვირფასეულობა უბოძა სოლომონს, რომელმაც, თავის მხრივ, გაცილებით მეტი ძღვენითა და დიდებით გაისტუმრა სასურველი სტუმარი თავის ქვეყანაში.

სწრაფად ძლირდებოდა ისრაელის სახელმწიფო და ***„განდიდდა მეფე სოლომონი ქვეყნის ყველა მეფეებზე მეტად თავისი სიმდიდრითა და სიბრძნით“,*** ხოლო მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ყველა მხარეს – ევფრატიდან მოყოლებული, ეგვიპტის საზღვრებამდე.

იმდენად გამდიდრდა და გაძლიერდა ისრაელი, რომ ვერცხლი უბრალო ქვის ღირებულებას გაუთანაბრდა.

იმ ამბების მნახველი ყველა მეფე მიისწრაფვოდა სოლომონთან კარგი ურთიერთობის დამყარებისაკენ.

ბრძენი მეფე სიყმაწვილეშივე მიხვდა, რომ უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყრობა და მასთან ზიარებას შვება, სიხარული მოჰყვება, ყველაზე დიდ სიმდიდრედ სიბრძნე მიაჩნია და სწამს, რომ თუ უფალი არ მისცემდა, სხვა გზით მას ვერ მოიხვეჭდა და, თავისთავად, უკვე ამის შეგნება სიბრძნეს მოასწავებს.

დიახ, ამიტომ შეევედრა ღმერთს: ***„მომმადლე სიბრძნე, შენს ტახტზე დაბრძანებული, და ნუ გამომრიცხავ შენს მსახურთაგან. რადგან მე მონა ვარ შენი და ძე შენი მხევლისა, კაცი უძლური და დღემოკლე, მსჯავრისა და რჯულის უმეცარი“,*** ვინაიდან ადამიანთა შორის თვით ყველაზე მეტად სრულქმნილიც კი შორსაა უფლისმიერი სიბრძნისაგანო.

ის თხოვნა სოლომონმა იმიტომ შეჰბედა უფალს, რომ მის მიერვე იყო ერში გამორჩეული მეფედ და მსაჯულად და ნაბრძანებიც ჰქონდა წმინდა ადგილზე მისთვის ტაძრის აშენებაც; ჩვეულებრივი ჭკუა–გონების ადამიანი კი, ცხადია, ვერ შესძლებდა უფლის ნების ამოცნობას, რადგან „უსუსურია მოკვდავთა ფიქრები“.

სოლომონს სჯერა, რომ ბრძენ ადამიანთა სიმრავლეშია ქვეყნის ხსნა, ხოლო გონიერი მეფე კი ხალხის სიმტკიცეა. აქედან გამომდინარე, მიმართავს ხალხს, რომ ისიც მათსავითაა ამ წუთისოფელში გაჩენილი, იგივე საკვებით იკვებება და იმავე ჰაერით სუნთქავს, ოღონდ ის განსხვავებაა მათ შორის, რომ მხოლოდ სიბრძნის დამფასებელია თავიდანვე და უფალსაც სიბრძნის მინიჭებაზე შეევედრა, რადგან სურდა ერის ღირსეული წინამძღოლი ყოფილიყო და უარი სთქვა ამქვეყნიურ სიმდიდრესა და ფუფუნებაზე; ცხოვრების ასეთი გზა კი იმიტომ აირჩია, რომ მისი ღრმა რწმენით ***„ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“*** და შეახსენა ერს, რომ მისი ძალით ნათელიც კი ღამედ იქცევა, ხოლო სიბრძნეს ბოროტება ვერ მოერევა.

იუდას მეფე სოლომონ დავითის ძემ, რომელსაც იერუსალიმი ჰქონდა არჩეული სატახტო ქალაქად, სიბრძნითა და კეთილგონიერებით გაითქვა სახელი. მისი იგავები სასარგებლოა ყველასათვის, ჭკუასა და სიწრფელეს მატებს ადამიანს, ბრძენს კიდევ უფრო აბრძენებს, ბრიყვს კი ცოდნასა და გონიერებას აზიარებს, ამიტომაც ბრძანებს ***სოლომონი: „გაიგონოს ბრძენმა და სიბრძნე შეემატოს, მცოდნემ შეიძინოს თავგზიანობა. რომ მიხვდეს იგავს***

დასასრული მე-10 გვ. ▶



წინამდებარე წერილი ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ,,მესხ ახალგაზრდათა კავშირის'' დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, 1942-1956 წლებში პოლიტ- პატიმრის, პოეტისა და მოაზროვნის, ათასზე მეტი აფორიზმისა და ბრძნული აზრების ავტორის – **პორფილე ოქრომელიძის** ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელსაც მისი შვილი **ოთარ ოქრომელიძე** წარმოგვიდგენს. ასევე გთავაზობთ პორფილე ოქრომელიძის მოგონებას – **„ფიქრები დასახვეტთა საკანში“**, რომელიც უთუოდ დაინტერესებს ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

საყურადღებოა, რომ ოთარ ოქრომელიძეს წარმოდგენილ მასალასთან ერთად შეგროვებული აქვს მამის სხვა ნაშრომ-ნამოღვაწარიც, რომლის ცალკე წიგნად გამოცემა დიდი შენაძენი იქნება ამ პერიოდით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ოჯახი და მისი ყმაწვილკაცობა

,,თუ სამშობლო გაქვს და გიყვარს, მისთვის შესაწირი სიცოცხლეც უნდა გაგაჩნდეს-''!

პორფილე ოქრომელიძე დაიბადა 1920 წლის 18 მარტს, ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში, ტრადიციულ, ქართულ, მართლმადიდებელ ოჯახში. მისი მშობლიური სოფელი მუსხი ერთერთია მესხეთში იმ სოფლებიდან, სადაც უცხო ტომელს არ უცხოვრია, – არ მისცეს ამის უფლება და საშუალება. მუსხელი კაცი მუდმივად ცდილობდა თავი დაეცვა თურქული მოდგმის მომხდურისაგან. ამიტომაც იყო, რომ სოფელმა თავისი არსებობის მანძილზე ბევრჯერ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი. უფრო ადრე, **„ძველი მუსხს“ ,,დამალულა“** რქმევია. მუსხიდან ჩასახლებულმა მოსახლეობამ, ამ ნასოფლარ ,,დამალულას'', თავისი სოფლის სახელი – ,,მუსხი'' დაარქვა. პროფესორ **ილია მაისურაძის** ცნობით, სახელწოდება ,,მუსხი'' ეთნონიმ მესხის წინაანტიკური ხანის თავისებური გახმოვანებაა. არსებობს სხვა ვერსიაც, რომელიც ხალხურ ლეგენდას ეფუძნება და რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული. მოგვიანებით სოფელი კვლავ აყრილა და ეს ადგილი ნასოფლარად ქცეულა ისევ. დაახლოებით 250 წლის წინ ამ ნასოფლარზე ქართლის სოფელ **დისევიდან** *(გორის რაიონი)* წამოსულ სამ ძმა **ოქროპირიძეთაგან,** ერთ-ერთი – **გიორგი** დასახლებულა. ამაზე ნებართვა ახალციხის ფაშას მიუცია. სოფელ მუსხის ისტორიისა და გადმოცემის თანახმად, ეს სოფელი, იმ **გიორგი ოქროპირიძის** მიერ არის აღორძინებული და გაშენებული. თავისი გვარი ოქროპირიძე მას, აქ მოსვლისას შეუცვლია **ოქრომელიძედ.** მერე მოსულან სხვა გვართა შვილებიც და სოფლის ნაეკლესიარზე. უკვე მრავალკომლიან სოფელში, ეკლესიაც აუშენებიათ, რასაც მოწმობს ეკლესიის კედელზე წარწერა, მისი ამშენებლის გვარის მითითებით. „ძველი მუსხის'' უძველესი საფლავებიც მოწმობენ ოქრომელიძეთა პირველმოსახლეობას.

გიორგის ძმათაგან ერთერთისათვის – თემურისთვის, ახალციხის ფაშას, რომელიც მისი ჭიდაობით აღფრთოვანებულა, ართვინში მიწები და ნისქვილი უჩუქებია. ამ ადგილს **„დეგირმანქვევი“** რქმევია (თურქულად წისქვილის სოფელი). გვიანობამდე ძმებს მისვლა-მოსვლაც ჰქონიათ ერთმანეთთან. ასე ვიცით მამა-პაპისაგან. ეს ამბავი თურქეთშიც კარგად სცოდნიათ ჩვენს შორეულ ნათესავებს და მოხდა სასწაული, – თემურის შთამომავალთაგან გასულ წელს ორნი გვესტუმრნენ. აი, რა არის სისხლის ყივილი! საუკუნეების მერე ძმათა ნაშიერებმა ერთმანეთი მოინახულეს.

სამ ძმათაგან ერთ-ერთი ტაშისკარში (ხაშურის რაიონი) დასახლებულა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოქრომელიძენი და ოქროპირიძენი სისხლისმიერი ნათესავები არიან. მამაჩემისგან ბევრჯერ მომისმენია, დღეს უკვე წმინდანად შერაცხულ (1995 წლის 19 სექტემბერს), მეოცე საუკუნის დასასრულსა და სამეგრელოს ეპისკოპოსის, **ალექსანდრე ოქროპირიძის** და მისი ძმისშვილის, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-1020 წწ-ში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის **ლეონიდე ოქროპირიძის** შესახებ. ის სიამაყით აღნიშნავდა, რომ ჩვენ მათი სისხლისმიერი ნათესავები ვართო. ისინიც, თავის დროზე, სოფელ დისევიდან წასულან, რომლებმაც, თავიანთი ცხოვრებით დაამტკიცეს სიყვარული და თავდადება ქვეყანაში ეროვნული ცნობიერებისა და სულიერების განმტკიცების საქმეში.

რაც შეეხება პორფილე ოქრომელიძის ბავშვობას – მისი მონათხრობიდან ვიცით, რომ ისიც ჩართული ყოფილა იმ ძმიმე შრომაში, რასაც მთელი ოჯახი ეწეოდა. ყოფილა მეხრეც, მეველეც, მწყემსიც, მეგუთნეც. ოჯახს წისქვილიც ჰქონია და დუქანიც ასპინძა-ახალქალაქის გზისპირას, ეწოდნენ მეთევზეობას. პორფილე შვიდ დედმამიშვილს შორის უფროსი იყო (ხუთი ვაჟი და ორი ქალი). პორფილეს მამას – **ივანე ოქრომელიძეს** პირველ მსოფლიო ომში მიუღია მონაწილეობა. იგი მესხეთში სახელოვანი და გამორჩეული ვაჟკაცი ყოფილა. იმ პერიოდში ქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობასა და მაჰმადიან მესხთა თუ თურქმანული მოდგმის ტომთა შორის ხშირი ყოფილა დაპირისპირება გავლენის მოსაპოვებლად. ამასთან დაკავშირებით არსებობს ასეთი გადმოცემა: სოფელ რუსთაავში ცხოვრობდა თურმე ყაჩაღობით ცნობილი თურქი, ვინმე „სარდალა'', რომელსაც ვანოსთან ნაცნობობა ჰქონია. ერთხელ ,,სარდალას'' ვანოსთვის სერიოზული შეურაცხყოფა მიუყენებია დამცირების მიზნით. ეს კი ვანოს არ უპატიებია – იმ ღამეს თავის ბიძაშვილ ჰეგოსთან ერთად მისჭრია ,,სარდალას'' სახლში და ეს ყაჩაღი დედა-ბუდიანად ამოუწყვეტია. გადარჩენილა მხოლოდ პატარა გოგონა, რომელიც, თოფის სროლისას, საერთო ხმაურში, შეშინებული, ტახტის ქვეშ მიმალულა (მისი ისტორია ცალკე თემაა და აქ განხილვას არ საჭიროებს). ამ ფაქტის გამო ივანე დაიჭირეს მაშინდელი ხელისუფლების ბრძანების თანახმად, თუმცა, დაკითხვისას, სხვა აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ, პოლიციის უფროსს ივანე გამოუცილებია და უთქვამს: ,,რაც მოხდა, მოხდა. ეხლა წადი და როგორც აქამდე გიცხოვრია, ისე იცხოვრეო''.

მისი ნაამბობიდან ვგებულობთ იმასაც, თუ როგორ გადაურჩა იგი ბავშვობაში თურქის ხელით სიკვდილს. ერთხელ, როცა ვირით ფქვილი მიჰქონდა ზანზობში (ნასოფლარია მთაში, მუსხელთა საზაფხულო საცხოვრისი) ერთ ადგილას თათარი დახვედრია იარაღით. უბრძანებია, ტომარა სახედრიდან ჩამოეღო. მერე სასროლ მანძილზე დაუყენებია ბავშვი და თოფი დაუმიზნებია მისთვის. ბავშვს შიშით ტუჩი გასკდომია. მერეღა უკითხავს თათარს მისი ვინაობა. ბავშვს მამის არა, მაგრამ ბიძის სახელი, **ქიტე-აღა** (ასე მიმართავდნენ მას) უხსენებია. ის კი, საკმაოდ გავლენიანი კაცი ყოფილა და მისი სახელი თურქსაც სცოდნია. მერე თურქს თავისი ხელით ფქვილის ტომარა ისევ ვირზე შემოუდვია და ბავშვისთვის გზა მიუცია. აი, ასე გადაარჩინა ქიტე-აღას სახელმა მაშინ უბრალო ბავშვი, გადამთიელი ყაჩაღის ხელით სიკვდილს.

არსებობს ასეთი ფაქტიც, თურქმანთა მხრიდან მუსხელთა აწიოკების შესახებ: ერთ-ერთი თავდასხმისას თურქებმა სოფლის ახალგაზრდობა ეკლესიაში შეუშვეს, კარები გადაუკეტეს, ცეცხლში ამოწვას უპირებდნენ თურმე. საბედნიეროდ, ვიღაცამ მოახერხა მალულად გაქცევა მეზობელ სოფელ ურაველში და იქიდან დროულად ვინმე ,,ნაჯიბას'' მოყვანა მაშველად. ის კი, გათურქებული ქართველი ყოფილა. ამ კაცს გადაურჩენია მაშინ სოფელი დიდი უბედურებისაგან. დედაჩემისგან გამიგია, ნაჯიბ პაპა მამაჩემის – ალექსი მაისურაძის მეგობარი იყოო. ასეთია ის ცხოვრებისეული მწარე სინამდვილე, რასაც ქართველი კაცი იმ დროისათვის მუდმივად განიცდიდა მესხეთში. ძველი მუსხის ეკლესიის ზარს დღესაც ატყვია თურქთაგან ნასროლი ნატყვიარები.

პორფილეს დაწყებითი განათლება მუსხის შვიდწლიან სკოლაში მიუღია. აღნიშნული სასწავლებელი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს არის დაარსებული. პორფილე გამორჩეული ყოფილა თავისი ნიჭიერებით და, როგორც თვითონ ამბობდა, ,,კლასგამოტოვებით გადავიდოდი კლასიდან კლასშიო''. ბავშვობიდან მუშაობაში და გარჯაში ჩაფლულს, ფიზიკური წრთობაც ჰქონია მიღებული. მასზე ისეთ ამბებს ჰყვებიან, კაცი რომ ძნელად დაიჯერებს. არადა, ეს თვითმხილველთა მონათხრობია და ფაქტებს ვერსად წაუვალთ. აი თუნდაც – **„ხორუმის აწევა“.** ასე ერქვა მნოლიარე ადამიანის მიერ ხორბლით სავსე, ასკილოიანი ტომრის აწევას და ფეხზე წამოდგომას. ის კი ამის კარგი შემსრულებელი ყოფილა 19-20 წლის ასაკში. ან კიდევ – თავისი თანატოლით ზურგზე, მტკვრის გადაცურვა. ასევე, მისი ბავშვობის მეგობრისგან გამიგონია (ვასილ მელიქიძე) ჭიდაობის შემდეგ რომ გაკვირვებულა, – „ეს რა მიყო ამ ურჯულომ, ცალი ხელით როგორ ამიტაცა და მერე ჰაერშიც გამაჩერაო“. სკოლაში სწავლების დამამთავრებელი წლები ახალციხის საშუალო სკოლაში გაუგრძელებია. ის ხშირად სკოლისკენ (ახალციხეში) მდინარე მტკვრის დინებას მიჰყვებოდა ცურვით, თავის თანატოლებს კი, მისი წიგნები და ტანსაცმელი მ იჰქონდათ სოფელ მინაძემდე. იმ ქვა და ლოდებით სავსე ადგილს, მტკვრის სწრაფ დინებაში, „შხრიალოს“ რომ ეძახიან, შესვლას ვერავინ ბედავდა. ერთადერთი იყო პორფილე, ვისაც იქ შესვლა და ტალღებთან ჭიდილი შეეძლო თურმე. სწორედ ახალციხეში სწავლის პერიოდში ეცნობა იგი ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. მის ცნობიერებაში შემოდის ისეთი ფენომენები, როგორიც იყო – „ხალხის მტერი“, „ტროცკისტი“, „ფაშისტი“, „ინგლისის ჯაშუში“ და სხვა. მისი მასწავლებელი ყოფილა ნამდვილი ქართველი პატრიოტი **გიორგი სალარიძე,** რომლის საუბრებმა ისტორიულ, ეროვნულ, პატრიოტულ, რელიგიურ თემებზე, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პორფილეს მებრძოლი, პატრიოტული სულის ჩამოყალიბების საქმეში. თუმცა, მას ეს ისედაც არ აკლდა, როგორც ქართული ტრადიციული ოჯახის წარმომადგენელს. აქვე აღვნიშნავთ, რომ გიორგი სალარიძემაც (მოგვანებით უკვე პროფესორმა) თავისი ეროვნული სულისკვეთების გამო, სასჯელი მოიხადა შორეული ციმბირის ბანაკებში. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ პორფილეს უნახავს იგი, უკვე საკმაოდ ხანშიშესული და კიდევ ერთხელ გაუცნობიერებიათ კომუნისტური რეჟიმის ის სისასტიკე, რაც საკუთარ თავზე იგრძნო ორივემ.

პორფილე ოქრომლიძე მომსწრე იყო ყველა იმ უბედურებისა, რაც კომუნისტებმა, გასაბჭოების დღიდან, მოუტანეს საქართველოს. ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის აჯანყების სისხლში ჩახშობა, ეკლესიისა და სულიერების სრული იგნორირება, საკუთრების უგულებელყოფა, კოლექტივიზაცია, რასაც მოჰყვა ათასობით ადამიანის ციხე-კატორღებში გაგზავნა, დახვრეტები და სხვა სახის დრაკონული ქმედებანი. ეს ყველაფერი აღაშფოთებდა საზოგადოების დიდ ნაწილს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა და ხალხიც ნელ-ნელა ეგუებოდა არსებულ ტირანულ რეჟიმს.

ყოველივე ზემოთქმული გახდა მიზეზი იმისა, რომ გაჩენილიყო ნაპერწკალი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა იმ ურთულეს პერიოდში და გაჩნდა კიდეც, – მესხი ახალგაზრდების თაოსნობით ანტისაბჭოთა ორგანიზაცია – **„მესხ ახალგაზრდათა კავშირის“** სახელით, რომლის დამაარსებელი და დაპატიმრებამდე ხელმძღვანელი იყო პორფილე ოქრომელიძე.

სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა მისი ნაშრომებისა და მოგონებების წიგნად გამოცემა. აქვე დავძენ, რომ მრავალი მცდელობის მიუხედავად, მის სიცოცხლეში და მერეც, ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ეს საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა. თუმცა, 1976 წელს, ცნობილი მკვლევარის, დოც. **ილია მაისურაძის** მცდელობით და მონდომებით, გაზეთ ,,განახლებულ მესხეთში'' გამოქვეყნდა პუბლიკაცია პ. ოქრომელიძის შემოქმედების შესახებ, რაზედაც ერთ-ერთ კერძო წერილში მიუთითებს კიდეც პორფილეს, რომ ეს სტატია რეცენზიად გამოგადგებაო, თანაც აფრთხილებდა, *„ისევ და ისევ ნაცნობობითა და მიდგომებით სჭრიან სამართალსო“.* თუმცა, იმ სტატიაში მისი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ არაფერია ნათქვამი. დიახ, მაშინდელი მაღალი ეშელონების ლიტერატორთა ცენზორულმა გადაწყვეტილებებმა, მართლაც მოუჭრა ყველა გზა პრობლემის მოგვარებას, მისი გამონათქვამების წიგნად გამოცემის საქმეს. ერთ-ერთმა გამოჩენილმა ,,პოეტთა მამამ'' კი, კაბინეტიდან ასე გამოისტუმრა: *„აქედან ტომები არ დაიბეჭდება და მე რაღა უნდა დამრჩესო.“* იქიდან ტომები მართლაც არ გამოვიდოდა. არ ვიცი, ვის რა უნდა დარჩენოდა, ან რა სარგებელი უნდა მიეღო, მაგრამ აფორიზმები, ბრძნული აზრები რომ აფართოებს ადამიანის აზროვნების ჰორიზონტს, აფიქრებს ცხოვრების ავ-კარგზე, მის რაობაზე, სიკეთისა და სამართლიანობისკენ უბიძგებს მას, იცოდნენ, როგორ არა! სხვა მატერიალური სარგებელი მათ არავისთვის მოუტანია. მაგრამ ჩინოვნიკს სხვა სარგებელი აინტერესებდა. აი, ასე წყდებოდა უბრალო ადამიანის ბედი იმ ქვეყანაში, სადაც ,,სამართლიანობა'' უპირველესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო. აქ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამას ეუბნება კაცი, რომელსაც მწერალთა კავშირის საჭე ეპყრა ხელთ. ასე ექცეოდნენ კაცს, ვისაც სამშობლოს სიყვარულისთვის ბორკილები და ციხე არგუნეს მხოლოდ. კაცს, რომელმაც აღმოსავლეთ ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკთა გაუსაძლის ცხოვრებაგადავლილმა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, აფორიზმებად აქცია თავისი ნაფიქრალ-ნააზრევი. *„იქნებ ქვეყანას მეც რაღაცა დავუტოვოო“,* – ამბობდა ხშირად. ზემოთ აღნიშნულმა ფაქტმა მძიმედ იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და, ზოგადად, შემდგომ მის შემოქმედებით საქმიანობაზე. დიახ, ასეთი იყო მაშინდელი ცხოვრების წესი და ადათი.

ვწერ მამაზე და ვფიქრობ, არაფერი გამომრჩეს, ზუსტად დავწერო ის, რაც მისგან გამიგონია და რაზეც ფაქტიური მასალები არსებობენ. მან ხომ ისედაც ბევრი საიდუმლო წაიღო თან, რომელსაც ვერასოდეს დავიბრუნებთ. ხოლო ის, რაც დაგვიტოვა, აქ არის, რომელსაც შესაბამისი გაანალიზება და შეფასება სჭირდება სპეციალისტებისაგან, ისტორიკოსებისაგან, ფილოლოგებისაგან. ალბათ, მნიშვნელოვანია მისი გამონათქვამების შეფასება მაშინდელ რესპუბლიკურ თუ რეგიონულ გამომცემლობებში მოღვაწე ლიტერატორთა მხრიდან, რომელნიც ამ გამონათქვამებს – ,,აფორიზმებს'', ,,ბრძნულ აზრებს'', ,,ანდაზებს'', ანდა ,,ქარაგმულ ნაკვესებს'' უწოდებდნენ. მიჭირს, მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო, საინტერესოა, დღეს რამდენ მწერალსა თუ პოეტს აქვს ნაფიქრალ-ნააზრევი აფორიზმებისა თუ ბრძნული აზრების სახით თავიანთ ნაშრომ-ნაღვაწში. ალბათ, გაგვიჭირდება მათი დასახელება. ზოგიერთი პოეტი თუ მწერალი დიდია ორიოდე აფორიზმით, პორფილე კი, ათასზე მეტ ბრძნულ აზრს გვთავაზობს, რომლებიც საკუთარ თავზე გადატანილ -განცდილ მძიმე ცხოვრების წიაღიდანაა ამოღებული და რომელთა უმრავლესობა ქართულ პრესაშია გამოქვეყნებული გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ისინი მკითხველთა დიდ მოწონებას იმსახურებდნენ, რასაც მოწმობს პორფილეს სახელზე მიღებული უამრავი წერილი, მისთვის სრულიად უცნობი ადამიანებისაგან, რომლებშიც გამოხატულია მხარდაჭერა ავტორისადმი და მონონება მისი ნაშრომისადმი. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე:** *„პორფილე ქართველი ლაროშფუკოაო“ (ფრანგი მოაზროვნე - ბრძნული აზრებისა), მან თავისი ნაშრომების ქვეყანაში წარმოჩინებით დიდ წარმატებას მიაღწიაო*". ისიც მონდომებული იყო მხარში დასდგომოდა პორფილეს, რასაც მოწმობს მისი ერთ-ერთი წერილიც, რომელსაც აქვე გთავაზობთ.



პორფილე ოქრომელიძის ფილოსოფიური ნაშრომი, *„ანტიკური ხანის ფილოსოფოსები, მათი ათეიზმი და მატერიალზმი,"* ნათლად მოწმობს მის ფილოსოფიურ განათლებაზე, აზრთა ფილოსოფიურად გააზრებისა და ანალიზის უნარზე.

ფილოსოფია, როგორც მეცნიერება საგანი, პორფილემ მოგვიანებით შეისწავლა. სწორედ იმ პერიოდში მოუხდა მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მეხუთე კურსელების მიერ კათედრაზე მიწვევა და ლექციის ჩატარება, ზოგადად, ფილოსოფიისა და საკუთარი ნაშრომების ირგვლივ. ლექციას ესსწრებოდა კათედრის გამგე, პროფესორი **ბუაჩიძე.** როგორც პორფილე იხსენებდა, ლექციის შემდეგ, კითხვა-პასუხის რეჟიმზე გადასვლისას, ყველანი გაოცებული თვალებით შესცქეროდნენ მას. **მათ გაუჭირდათ აღქმა იმ ფაქტისა, რომ მომხსენებელი ერთი უდიპლომო ,,გლეხკაცი'' იყო.** იმ ხანებში პორფილე კიდევაც მალავდა თავის ტრაგიკულ წარსულს და ამბობდა, გუთნის კვალში ნაპოვნი აზრებით ვსულდგმულობო. მისი ანდაზები ხალხურ სტილშია გამოთქმული და ხალხური სიბრძნის ნიმუშებს წაგავს, თუმცა, მისი ავტორი მხოლოდ პორფილეა.

რაც შეეხება მის პოეზიას – მას თან ახლავს სევდის, დარდის, ტკივილისა და უიმედობის განწყობა. ზოგჯერ, – პირიქით, იმედი და თავისუფლების მოახლოვების შეგრძნება. თუმცა, ყოველ მათგანში კარგად ჩანს აზრისა და განცდის დინამიკა. ზოგიერთს უცრემლოდ ვერ წაიკითხავს ადამიანი. ბევრმა დღესაც ზეპირად იცის მისი შემოქმედების ზოგიერთი თვალსაჩინო ნიმუში. ზოგიერთი ლექსი მას საკუთარი ხელით დაუხვევია იქ, ციხეში, როცა მას ამ ლექსების გამო სასჯელის დამატება ელოდა. სწორედ მაშინ შექმნა მან საკუარი „ანბანი", რომლითაც მხოლოდ ის სარგებლობდა. აქვე გთავაზობთ ამ ანბანით ნაწერი ლექსის ფრაგმენტს, რომელიც ყველასთვის უჩვეულო, განსაკუთრებულად საყურადღებო ნიმუშია, ზოგადად, ხელოვანი ადამიანის ცხოვრებიდან. ასევე საინტერესოა ერთი ფაქტიც. ციხიდან განთავისუფლებისას, მან ვერ მოახერხა თავისი ლექსების წამოღება. ესეც ერთი სულიერი ტრაგედიაა მისი ცხოვრებიდან. საბედნიეროდ, სამშობლოში დაბრუნებულს, შვიდი წლის შემდეგ, ერთმა მეგობარმა გადმოსცა მისი – „ციხის ლექსების რვეული" და ვინმე ჩეჩნის მიერ გაკეთებული „ბლოკნოტი", ვისაც ისინი ციხიდან, ამნისტიის მერე წამოუღია *(ვალოდია მუჯირი).* ესეც მისი ცხოვრების ერთ-ერთი სასწაულთაგანია. მოუწია ბევრი მათგანის ,,გადმოქართულება''. ამ ლექსებიდან ერთ-ერთის – იქ, ციხეში წაკითხვისას, 1953 წლის ,,ცხრა მაისის ზეიმზე'', პირველი პრიზით – ერთი ლიტრი რძით დააჯილდოვა იქაურმა ჟიურიმ (ლექსი ეძღვნება სტალინს, რუსულ ენაზეა და ჰქვია ,,ჯალათის სიკვდილი''). პორფილე ოქრომელიძე იყო უაღრესად პრინციპული, კარგი დამრიგებელი, ჭეშმარიტად ერისა და სამშობლოს მოყვარული ეროვნული მოღვაწე. ეს მან, თავის არც თუ ისე გრძელი სიცოცხლის მანძილზე, საქმით დაამტკიცა, თანაც ზურგზე ,,ხალხის მტრის'' მძიმე იარლიყით. ძნელი იყო ამ ტვირთის ტარება მაშინ, როცა რეალობა სხვაგვარად იყო. ახსნა-განმარტებებს უკვე აზრი არ ჰქონდა. მას ხომ სამუდამო უნდობლობა ჰქონდა გამოცხადებული სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც დასტურდება იმითაც, რომ ჩვენს ოჯახს მუდმივად უთვალთვალებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საიდუმლო აგენტი, რაც მოგვიანებით გახდა ჩვენთვის ცნობილი. დრომ დაამტკიცა – ვინ მტერი იყო და ვინ მოყვარე.

ციხიდან გათავისუფლებულ ყოფილ პოლიტპატიმრისთვის, ცხადია, ძნელი იქნებოდა ახალი ცხოვრების დაწყება. მაგრამ, ახლობლების თანადგომით, მალე წელში გაიმართა და, ნებით თუ უნებლიედ, ,,კოლექტიური შრომის'' ფერხულში ჩაება. სწორედ კოლექტიური ცხოვრების ასეთმა ყოფამ არ მისცა საშუალება მას ბოლომდე შემოქმედებითად დახარჯულიყო. თუმცა მისმა გამოსვლებმა სახალხო დღესასწაულ ,,შოთაობაზე'', დიდი მუხტი შესძინა მას, საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. იგი მალე ხდება საზოგადოებრივი შეკრებების აქტიური წევრი. მას იწვევენ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ დონეზე. იყო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული. რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ფოლკლორისტისა და ლიტერატორის, ბატონ **ვახუშტი კოტეტიშვილის** მიერ მონყობილ ხალხურ ფოლკლორულ საღამოებში. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, ჩვენს სახლში როგორ აწყობდნენ ტელეპარატურას და გაკეთდა ჩანაწერი პორფილე ოქრომელიძის შემოქმედების შესახებ, თუმცა, სატელევიზიო ჩვენება არ მომხდარა. მიზეზი გასაგებია. მისი ბიოგრაფიის მქონეს, ,,კგბ'' როგორ დაუთ-

ფიქრები დასახვრეტთა საკანში

←

მოდა სატელევიზიო სივრცეს იმ გაგანია ,,კომუნიზმის მშენებლობის" პერიოდში. სხვამ თუ არა, ,,კგბ"-მ ხომ კარგად იცოდა, მისი აწმყოცა და წარსულიც.

მწერალთა კავშირში ერთ-ერთი ვიზიტისას, პორფილე ოქრომელიძისთვის ცნობილი ხდება, რომ იქ მოღვაწეობდა პოეტი **ლადო სულაბერიძე,** რომელიც, ერთ დროს, მასთან მჯდარა ციმბირის ერთ-ერთ ციხეში და თანამედროვე ქართველი კლასიკოსი მწერალი, ასევე კატორღაგამოვლილი, **ჭაბუა ამირეჯიბი.** ამ ინფორმაციით დაბრუნებულს ეიმედებოდა, თუ მათ არავინ ზღუდავს თავიანთი წარსულის გამო, იქნებ ჩემთვისაც გახდეს შესაძლებელი შემოქმედებითი ნაღვაწის საზოგადოებისთვის გაცნობა -გამოჩენისაო – **,,თუ არა და მალე დადგება დრო და მომავალი თავის სათქმელს მაინც იტყვისო"**, – ამბობდა პორფილე. გვიან, მაგრამ, მაინც, დადგა დრო, ჩვენ, დღევანდელმა თაობამ, მივცეთ ობიექტური შეფასება მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. შევაფასოთ ღვაწლი იმ კაცისა, რომელმაც თქვა:

ო, რა უდროოდ შემომაღამდა,
რა უთავბოლოდ ამებნა გზები,
ვეძებ სამშობლოს და მის ძებნაში,
სულ ახალ-ახალ აღმართებს
ვხვდები.
ცხოვრებამ გზები გადამილობა,
სვლა სიბნელეში მიხდება ძნელი,
შენი მსხვერპლი ვარ,
შენ საქართველოვ,
შენთვის მოვკვდები,
შენი მძებნელი.

მისი ცხოვრება მართლაც ნათელი დადასტურებაა, სამშობლოს საკურთხეველთან ზვარაკად მიტანილი სიცოცხლისა. ამას გვასწავლის დღესაც მისი ასეთი აფორიზმიც: **,,თუ სამშობლო გაქვს და გიყვარს, მისთვის შესაწირი სიცოცხლეც უნდა გაგაჩნდესო"!**

ოთარ ოქრომელიძე

თავი პირველი

ძვირფასო მკითხველო! რასა ვწერ და ვისთვის ვწერ, რა არის მიზანი ამ მოგონებებისა? მითუმეტეს, რა დროს წერაა, ამ გაგანია ,,კომუნიზმის" მშენებლობის პერიოდში, თანაც, რაზე ვწერ? გაგიკვირდებათ და იმაზე, რომლის ნაკითხვისთვისაც, შესაძლებელია, თქვენც იმავე გზას გაგიყენონ, მე რომ ათი წლის წინ გამოვიარე ჯოჯოხეთის საუფლოდან. ან, ეღირება კი წასაკითხად, ნეტავ, დღეს უკვე გადაგვარებულ-გადაჯიშებულ კაცთ თვალითა და გულით. მე მაინც მჯერა, მოვა დრო, ამ მოგონებებს მკითხველი გამოუჩნდება. ის მკითხველი, რომელსაც ვერ შეცვლის დრო და არსებული ყოფის მარწუხები. ესენი კი, იქნებ თქვენ ხართ, მომავალი თაობა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, გაიგებს სისტემის აბსურდულობას, მის მინავლულ თუ დაქვეითებულ სიცოცხლისუნარიანობის და, საბოლოოდ, გაქრობის რეალურ მიზეზებს.

მოგონებები უნდა დავიწყო იმით, თუ რამ მიგვიყვანა იმ ნაბიჯის გადადგმამდე, რომელსაც, ჩვენი გათვლებით, სამშობლოსთვის, საქართველოსთვის, ქართველი ერისთვის გარკვეული სიკეთე, უპირველესად, თავისუფლება უნდა მოეტანა.

ჩემი ყმაწვილკაცობის პერიოდში ცხოვრების პირობები ყველასათვის ერთნაირი არ იყო. არა და, უნდა ყოფილიყო! კოლექტიური შრომის, მე ვიტყოდი, მონური შრომის აუცილებლობა იყო ყველასათვის ერთნაირი, ერთეულების გარდა. კოლექტივიზმი იყო ის რეალობა, რომელიც სრულიად გამორიცხავს ადამიანის, როგორც კერძო ინდივიდის პიროვნულ უფლებასა და თავისუფლებას. სწორედ მაშინ, ადამიანზე განხორციელდა ტოტალური დიქტატი ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით, დაწყებული დაბადებიდან, ოჯახურ ურთიერთობამდე, ვიდრე სიცოცხლის ბოლომდე.

ილიას სიტყვები მახსენდება ახლაც, – ,,ერის წყლული გაჩნდეს წყლულადო". მეც ამის გამო ვზივარ აქ, დასახვრეტ საკანში და სიკვდილისკენ უსწრაფესად მივექანები. ჰო, სამშობლოზე ვფიქრობდი. თურმე, ის მარტო ლამაზი მთები და ველები როდია. იგი სევდაა, დარდია, ტკივილია და ვისაც ეს ტკივილი არ განუცდია, ნუ ეგონება სამშობლო მყვარებიაო. დიახ, სამშობლოს სიყვარული ტვირთია, რომელიც ტკივილს, სულიერსაც და ფიზიკურსაც აუცილებლად განგაცდევინებს, თუ კი ისეთი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაში მოგიწევს ცხოვრება, რომელიც გამოვცადე, დავინახე, შევეხე, გავიგონე და გავაანალიზე. ამ ცხოვრების სიავკარგენი, ყოველივე, საკუთარ მეზე, საკუთარ სულზე, სხეულზე, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებზე გამოვცადე მე და, რა ვქნა, თუ კი, ვერ მივილე და ვერ გავითავისე იგი.

დასახვრეტ საკანში ყოფნას იოლად როდი შეეგუება კაცი, თანაც, მაშინ, როცა იცი, რომ დათვლილი გაქვს წუთები და ფიქრი იმაზე, თუ რა მოხდა, გააანალიზო არსებული რეალობა, ეს დრო არაა საკმარისი. მე კი მომეცა შანსი მეფიქრა ამაზე. ეს დრო სამი თვე გაგრძელდა და მქონდა საშუალება ფიქრისა, განსჯისა, თანაც მაშინ, როცა ჩემს თვალწინ მრავალნი გადიან და უკან არავინ შემოდის.

როცა მოსამართლემ შვიდთვიანი ძიების შემდეგ დახვრეტა მომისაჯა, ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, იმდენად, რამდენადაც ფაქტები ყოველივეს ჩემს წინააღმდეგ ღაღადებდნენ. 1943 წლის 13 ივნისს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10, 58-11, 58-9, 19-58-8 მუხლების საფუძველზე მომისაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. ბრალად მედებოდა კონტრ-რევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბება, მისი ხელმძღანელობა, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, დივერსიული და ტერორისტული აქტების განხორციელება და ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელება ახალციხის რაიონში. მოსამართლემ მაშინვე მაცნობა, რომ მქონდა უფლება სამოცდათორმეტი საათის განმავლობაში მათთვის მიმეწოდებინა ინფორმაცია, შეწყალების შესახებ. ეს კი მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავაგზავნიდით სტალინის სახელზე შეწყალების თხოვნას და ჩვენგან, დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების შემდეგ, მოხდებოდა, შესაბამისი რეაგირება, რაც სრულიად შეუძლებელი იყო. მე სასამართლოს ვთავაზობდი ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნას, ან სხვა, მათთვის მისაღებ ნებისმიერ პირობას, ოღონდ ცოცხალი გადავრჩენილიყავი. ამ თხოვნამ, რა თქმა უნდა, არ გაჭრა და ჩემი ბოლო სიტყვაც სასამართლოზე იყო შესაბამისი, – ლანძღვა და გინება მათ მიმართ. სხვა რაღა უნდა მექნა, ახალგაზრდა ვიყავი, სიცოცხლე არ მემეტებოდა. ის მოსამართლენი, დღესაც რომ მხვდებიან, უკვირთ მაშინდელი ჩემი სიტყვების. წერილები კი, მართლაც გავაგზავნეთ, ერთი ადვოკატის მიერ მომზადებული. მამაჩემი მიმართავდა სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. მიხეილ კალინინს, მე კი, – ამხანაგ სტალინს. მე სტალინს განვუმარტავდი, რომ, მიუხედავად ჩემი ასკისა, შემეძლო ქვეყნისთვის რაღაცა გამეკეთებინა, თუმცა, ეს ვერ მოხდებოდა ჩემდამი, როგორც პოლიტიკური დამნაშავის უნდობლობის გამო. მე მას ვუხსნიდი ჩემს დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, საქართველოსადმი და აღვნიშნავდი, რომ საქართველოს სასიკეთოდ თუ რამეს ვაკეთებდით, ვაკეთებდით სხვადასხვა გზებით და მეთოდებით, რასაც, საბოლოოდ, მისი აყვავება და გაბრწყინება უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, ის პოლიტიკურ კიბეზე ჩემგან ძალიან მაღლა იდგა, მე კი შემეძლო მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება, თუ კი ის გამომიყენებდა.

სულ მალე, გრძელი კიბეების ჩავლით, ბორკილდადებული, ნკვდ-ს ორმა ოფიცერმა ჩამიყვანა ნახევრად ბნელ სარდაფში. გრძელი დერეფნის გავლით მივადექით ერთ საკანს და შემიღეს ის კარები, საიდანაც, ჩემი აზრით, მალე უნდა გამოვსულიყავი. საკანში ორნი დამხვდნენ და ამ ნახევრად ბნელ სივრცეში, ისედაც თვალში სხივჩამქრალმა, ძლივს გავარჩიე მათი სიკვდილისფერი სახეები. ორივე თბილისელი იყო. ერთმა ვახტანგად გამაცნო თავი. მეორეს როინი ერქვა. ასაკით ჩემზე უფროსები იყვნენ. მათი მდუმარე სახეები ნათლად გამოხატავდნენ იმ სულიერ ტანჯვას, იმ ტკივილს, რომელსაც სიტყვით კი არა, მხატვრის ფუნჯითაც ვერ დახატავ, ალბათ. საკანი იყო ვიწრო და ნესტიანი. სამი რკინის საწოლით. იქვე ,,პარაშა" და მისი ჩემთვის უკვე ნაცნობი სურნელი. იატაკი ბეტონის, აქა-იქ სისხლის ლაქებით. ვახტანგი თბილისში რომელიღაც ქარხნის პასუხისმგებელი მუშაკი ყოფილა. ერთ-ერთ კრებაზე, უნებლიეთ, აუგად მოუხსენებია სოციალისტური სისტემის დაგეგმვის პოლიტიკა და, როგორც ამ გეგმის ვერშემსრულებელი, დაბრალდა საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრობა, გრძნობებს ვერ ერეოდა და ცრემლი ხშირად ახსენებდა ციხის გარეთ დარჩენილ ახლობელთა, მითუმეტეს, შვილების არსებობას. ჩვენ ერთმანეთს ვანუგეშებდით განაჩენის აბსურდულობაში და, აქედან გამომდინარე, ჩვენს შეწყალებაზე, თუმცა, ეს თავის მოტყუებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ობიექტურად არსის განსჯას.

იმ ღამეს, დასახვრეტ საკანში არ მძინებია. ან რა დამაძინებდა... ვფიქრობდი სიკვდილზე, მის რაობაზე. მამაჩემის ოჯახი მორწმუნე იყო და არც მე ვიყავი ათეისტი, ნახევრად მაინც მწამდა სპირიტულიზმის მოძღვრებისა. სიკვდილს ვთვლიდი აუცილებელ მოვლენად, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ სიკვდილი ერთია, მოკვდომა მრავალნაირი. მე ასეთ სიკვდილს ვერ ვეგუებოდი, – ბრძოლაში მსურდა სიკვდილი. აქ კი, დამონებულს, დაბეჩავებულს, დაჩიავებულს, ვიღაც ნაძირალა ჯალათის ხელით უნდა მომღებოდა ბოლო. მერე, ალბათ, ყვავ-ყორნების საჯიჯგნად მიაგდებდნენ ჩემს გვამს სადმე. მომეძალა მოჩვენებები, ჰალუცინაციები, რამაც ცუდი გავლენა იქონია ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობაზე. სამოცდათორმეტსაათიანი ვადა შეწყალების თაობაზე მალე გავიდა. თუმცა, პასუხი არც მომდევნო დღეებში მოსულა. მე კი ვეღოდი... ველოდი სიკვდილს, რომელიც ისე დამიმეგობრდა, რომ ძილშიაც არ მცილდებოდა გვერდიდან. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა, მაინც შევძელი განმეკურნა ჩემი თავი ნერვოზული ტანჯვისაგან. ჩავთვალე, რომ სიკვდილი იყო ის აუცილებელი გარდაუვალი მოვლენა, რომლითაც ახალ სიცოცხლის კარებს შევაღებდი მარადიულ სამყოფელში. ვფიქრობდი იმაზეც, რომ იქ შევხვდებოდი საქართველოსთვის თავდადებულ გმირებს, მეფეებს, გიორგი სააკაძეს და სხვებს. ასეთ ფიქრებში გავატარე თითქმის სამი თვე ოხვრითა და კვნესით. მიყავდათ ერთნი, მალე მათ სხვები ცვლიდნენ. მოდიოდნენ გაცრეცილი სახეებით, მშიერ-მწყურვალნი, დღეში ორჯერ ბალანდისა და სამასი გრამი შავი პურის იმედად. დიახ, შიმშილი, ადამიანის ცხოველად გადაქცევის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელმაც ჩემს მეხსიერებაში ღრმა კვალი დატოვა. ან რა დამავიწყებს იმ ფაქტებს, როცა უკვე გარდაცვლილ, მაგრამ ნახევრად თვალებღია პატიმართა გვამებს ცოცხლად ვასაღებდით ჯერ კიდევ ცოცხალთა რიცხვში მყოფნი, რათა მიგვეღო მათი ულუფა და მერე თანაბრად გაგვენაწილებინა. ასეთი იყო რეალობა და ამას ვერსად გავექცევით. შიმშილი გვაიძულებდა. მკბენარებმაც ხომ ლამის სული ამოგვხადეს, ისედაც სისხლგამშრალ არსებებს. აქ, დასახვრეტთა საკანში, ადამიანი სააქაოზე ნაკლებად ფიქრობს. აქედან გაყვანა ყოველთვის სიკვდილის მაუწყებელი იყო. რიგი არ იყო ამაში, მაგრამ, თითქოს, ყველა თავის რიგს ელოდა. ამ ლოდინს ამძაფრებდა კარს მიღმა დასახვრეტად გაყვანილ, სიკვდილის შიშით სიგიჟემდე მისულ პატიმართა გამხეცებული ბღავილი, ანდა კნავილი. ყოველ ღამე სიკვდილთან შესახვედრად მზადება სიკვდილის ტოლფასი იყო. ყოველი დილა კი შუაღამემდე სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავდა. ერთხელ ვახტანგი მეკითხება, – პორფილე, სტალინის იმედი თუ გაქვსო. შეწყალებას გულისხმობდა. ჰმ, მაგის იმედი რომ არ მქონდეს, ახლავე თავს მოვიკლავდი-მეთქი. ბიჭო, როდის იყო ლომი ნადავლზე უარს ამბობდა, ცოტას მოიცდის, მერე აუცილებლად მიუბრუნდება, – ვპასუხობ.

– შენ რა, ხომ არ გეშინია სიკვდილის. თუმცა რა, სიკვდილი ვერ ცვლის მის მდგომარეობას, ვისთვისაც ისედაც ბნელა, ჩემო ვახტანგ.

– ჰო, სიკვდილი... სიკვდილი... გვერდი იცვალა ვახტანგმა. ჩემს პატარებს რა ეშველებათ, ძლივს გასაგონად წაილულღლუღა. ორი დღის მერე ისიც გაიყვანეს...

მალე ჩემთან შემოიყვანეს ჩემი თანამებრძოლი, ჩემზე უფროსი ასაკის ლევან ჟუჟუნაძე. ჩვენი ბოლო შეხვედრისას, ვიდრე დაგვიჭერდნენ, მან მითხრა, ყველაფერს თავზე ავიღებო და, იქნებ, კიდეც გაისარჯა მერე ამისთვის, მაგრამ დოკუმენტური მასალებით დადგენილ ფაქტებს რას უშველიდა და დასახვრეტ საკანში ცოტა ხანს კიდევ ერთად აღმოვჩნდით. ვიხილავდით ჩვენს ქმედებებს, სად ვიჩქარეთ, სად დავაგვიანეთ. მას ჰყავდა ქალ-ვაჟი – გიორგი ჩემი ასაკის იქნებოდა, ქალიშვილი კი მასზე უმცროსი იყო. დარდობდა მათ ბედსა და მომავალზე. მოსკოვიდან ჩვენს თხოვნაზე პასუხის დაგვიანებამ თითქოს იმედის ნაპერწკალი გაგვიჩინა, მაგრამ, გვეშინოდა, თბილისში არ გადაწყვეტილიყო ჩვენი ბედი. თუმცა, მისი ბედი განგებამ სხვანაირად გადაწყვიტა. მებრალებოდა ლევანი, რადგან აქაურმა ტანჯვა-წამებამ თავისი კვალი დაამჩნია მის ჯანმრთელობას და პირტახტიანი ტიფით დაავადდა. იგი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ღმერთის ამარა. აქ მკურნალობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. საუბედუროდ იგი მოყვანიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მან ჩემს ხელში დალია სული. სიკვდილის წინ დამაბარა მეუღლესთან, თუ გადარჩი, ყველაფერი უამბეო. ის პირს იპარსავდა, როცა ნარიდან გადმოვარდა და აგონიაში მყოფი სიკვდილს ებრძოდა. სიკვდილი მალე დაუდგა და ზედამხედველებმა ძალლივით გაათრიეს საკნიდან. აქ უახლოესი ადამიანის გარდაცვალებამ, ისედაც მარტოსული, კიდევ უფრო დამიმარტოხელა უხილავმა ძალამ. ლევანი, ნახევრად წვერგაპარსული, მაშინდა ვიცანი, როცა მას ტკივრთავდნენ მანქანაზე. ის კი ვერ გავიგე, რატომ იყო ის წელს ზემოთ მუქ სითხეში ამოვლებული. როცა ციხიდან განვთავისუფლდი, 15 წლის მერე, მოვიკითხე დედამისი, სათნოებით სავსე ქალბატონი თებრო. ბედის განგებით, უბედურმა დედამისმაც, ჩემს თვალწინ დალია სული.

მესიზმრებოდა ჩემი ოჯახი, რომელიც ასეთი მოულოდნელი, ტრაგიკული ფაქტის წინაშე დავაყენე. მებრალებოდა მოხუცი დედა, რომელიც ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა. მაშინ კი, ისიც არ იცოდა, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი. ვფიქრობდი ჩემს თანამებრძოლებზე. – ნეტავი როგორ არიან. აქ არიან თუ უკვე გაუყენეს მოუსავლეთის გზას. მედარდებოდნენ ასეთ სახიფათო თამაშში რომ გავრიე და გავუმრუდე ცხოვრება. თუმცა, ეს მათი არჩევანი იყო და არა ჩემი უსაფუძვლო ახირება. ამ თამაშს ზემდეგ, მოხდებოდა, შესაბამისი რეაგირება, რაც სრულიად შეუძლებელი იყო. ... ...

ისტორია

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲒᲘᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ

სოფელი უდე ერთ-ერთი უძველესი ქართული სოფელია, რომელთანაც ბევრი უბრწყინვალესი მოვლენაა დაკავშირებული სამცხე-ჯავახეთის ისტორიაში. მის შესახებ არაერთი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური შრომაა შექმნილი, ამიტომაც არის, რომ მისდამი ინტერესი წლითიწლობით იზრდება.

ეს ფრიად საინტერესო ნაშრომი კი ეკუთვნის ამავე სოფლის მკვიდრს, სახალხო განათლების ღვაწლმოსილ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს *პეტრე გიქოშვილს,* რომელსაც დაბადების 100 წლისთავი ახლახან შეუსრულდა.

პეტრე გიქოშვილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. იგი დიდხანს მუშაობდა ადიგენის განათლების რაიონული განყოფილების გამგედ, უდისა და არალის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში – დირექტორად და განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რაიონის მოსახლეობაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა მოზარდი თაობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს და ბევრი საინტერესო სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ნაშრომი მიუძღვნა მშობლიურ სოფელს.

იმედია წინამდებარე ნაშრომიც დიდად დააინტერესებს მესხეთის ისტორიით დაინტერესებულ ადამიანებს.

„რა ცეცხლი ჰქონდა ჩაუქრობელი,
რა ბუდე იყო, რა გმირთა ბუდე,
არ გადაშენდა მცირე სოფელი,
არ ამოვარდა პატარა უდე“...

ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

უდის ეტიმოლოგიურ კვლევას კარგა ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1897 წელს უდის მკვიდრმა, მკვლევარმა ივანე პავლეს ძე მერაბიშვილმა ჟურნალ „კვალში“, ამ საკითხს უაღრესად საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა, ხოლო ადიგენის რაიონულ გაზეთ „განახლებული მესხეთის“ 1970 წლის 17 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა დოც. ილია მაისურაძის ასევე საყურადღებო წერილი „ქობლიანის ხეობის ადგილთა სახელწოდებანი“, სადაც განხილულია სოფელი უდეც.

როგორც ცნობილია, უძველეს პერიოდში, ქართველი ტომები – ტაბალები, კასკები და მუშკები მცირე აზიაში, ვანის ტბის მახლობლად ცხოვრობდნენ.

1100 წლით დათარიღებულ წარწერაში ტიგლატ-პილესარ პირველი გვიამბობს: „ჩემი მეფობის დროს თავის ძლიერებით მოქადული 20 000 მუსკი (ლაპარაკია დღევანდელ მესხებზე. რედ.) და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერც ერთ მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმუხში (კუმუხი ევფრატის სანაპიროზე მდებარეობს ქალაქი ყოფილა) ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო“ (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ.1. გვ. 401).

შემდეგ საუკუნეში, როგორც ჩანს, ასირიელები იმარჯვებენ და ხარკსაც ადებენ. ძვ.წ.აღ.-ის 722-705 წლებში ჩვენი წინაპრები ღვინის ხარკს უხდიდნენ ასირიელებს. ასირიის მეფე სარგონი ასე აღწერს თავის ბარბაროსობას: „მე დავწვი მშვენიერი სადგომები, მე ავჩეხე ხეხილის ბაღები და ურიცხვი ვენახები, მე ბოლო მოვუღე მთელ მათ სასმელს და უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა“.

ვინ მოსთვლის, რამდენი თავგანწირვა დასჭირდათ ქართველთა ტომებს, რათა ახალი ცხოვრების გზაზე დაეყენებინათ თავიანთი დაბეჩავებული ქვეყანა.

ასირიელების მიერ ამ ჩაგვრას ბოლო მოუღო კიმერიელთა შემოსევამ. ამის შემდეგ ქართველთა ტომები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ძველი საცხოვრებელი ადგილები და სამხრეთიდან უფრო ჩრდილოეთით წამოსულან და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულან. ამ დროიდან მოყოლებული, ქართველთა ტომების სახელები მცირე აზიაში ქრება.

მუშკები, ანუ მესხები, დასახლებულან დღევანდელი სამცხის ტერიტორიაზე და, აი, სწორედ იმ პერიოდიდან მოყოლებული, თურმე, დღევანდელი ადიგენის რაიონის ერთ-ერთი უძველესი ნასოფლარის ადგილას, უდის ველზე, უნდა დასახლებულიყვნენ უდელთა წინაპრები.

უდის სამხრეთ-აღმოსავლეთით ზეგანზე მდებარეობს უძველესი ნასოფლარი – „უდის ველი“. არქეოლოგები ამ ნასოფლარს მეოთხე ათასწლეულის დროინდელ სოფლად თვლიან. იგი მდიდარია გორ-სამარხებით (ყორღანული სამარხებით).

აი რას წერს გაზეთ „განახლებული მესხეთის“ 1978 წლის პირველი მაისის ნომერში არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფ. ოთარ ღამბაშიძე: „აღსანიშნავია, რომ შუა ბრინჯაოს ხანა მსხვილ სატომოთა გაერთიანების ხანაა. სწორედ ხსენებულ მხარეში ჩვენ მიერ მოკვლეული ყორღანები, მსგავსად თრიალეთისა, ტომის ბელადებს, ან დანინაურებულ დიდ ოჯახებს, თუ გვარის წევრებს ეკუთვნით. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, სოფელ უდეში (უდივლები) მიკვლეული გორ-სამარხები (ყორღანები), რომელნიც, გარეგნული ნიშნებით, დიდ მსგავსებას ჰპოვებს მტკვრის ზემო წელში ცნობილ კამერიან გორ-სამარხებთან“.

აქედან გამომდინარე, დღევანდელი სოფლის – უდის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ უძველესი ნასოფლარი „უდის ველი“, სადაც მოსახლეობა IV-III ათასწლეულებში ჩამოსახლებულა ამ ტერიტორიაზე. ჩამოსახლებულ მოსახლეობას, „უდის ველის“ ნაცვლად, ამ ადგილისთვის უნდა დაერქმია „უდე“, რადგან ახალი დასახლება ხევ-ღელეებით, გორაკ-ბორცვებით და გაუვალი ტყეებით ყოფილა დაფარული, რის გამოც სიტყვა „ველი“, თავისთავად, ჩამოშორებულია და სოფელს სახელი ამ სახით შეუნარჩუნებია. როგორც ითქვა, უდის შემოგარენი ხშირი ტყით ყოფილა დაფარული და, აი, ამ ბუნებრივ თავშესაფარში, „უდის ველიდან“ მოსახლეობა უნდა ჩამოსახლებულიყო, სადაც სასმელი წყლისა და სხვა ეკონომიკური და ადმინისტრაციული პირობები უკეთესი უნდა ჰქონოდათ „უდის ველზე“.

უდის სახელის წარმოშობის შესახებ ზოგიერთ მკვლევარს თავისი შეხედულებები აქვს, კერძოდ, მკვლევარ ვანო მერაბიშვილის აზრით, უდე უძველეს პერიოდში უნდა ყოფილიყო „შუშან ქალაქი“. იგი 1897 წლის ჟურნალ „კვალში წერდა: „ეს ნაქალაქევი სამგზით არის აოხრებული თავისი დასაბამიდან“, როგორც საქართველოს, ისე უდის ასაოხრებლად ასახელებს მურვან ყრუს, თემურ ლენგს და, უკანასკნელად, თურქთა მასიურ შემოსევებს. ბოლოს კი ასე ამთავრებს: „ნაქალაქევს ქალაქის შნო დაჰკარგვია თემურ ლენგის მიერ, მისი აოხრების შემდეგ“-ო.

ვ.მერაბიშვილის ეს მოსაზრება არასწორად მიგვაჩნია, რადგან უდის მთლიან დასახლებას კი არ ერქვა „შუშან-ქალაქი“, არამედ უდის ერთ-ერთ უბანს, სადაც ცხოვრობდნენ ამ სოფლის ბატონები – სტეფანე და მისი მეუღლე შუშანა შახბურაძეები (ეს ადგილი დღესაც „შუშან-ქალას“ სახელს ატარებს), როგორც მკვლევარი გადმოგვცემს, ამ უბანში არსებული ეკლესია და ბატონის სასახლე მურვან-ყრუს დაუნგრევია და ბატონი სტეფანე შახბურაძეც წამებით მოუკლავთ. მის ქვრივს დანგრეული სასახლე და ეკლესია საკუთარი სახსრებით

ᲔᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

აღუდგენია. იგი შეძლებული ბატონის ანტონ ხურციძის ასული ყოფილა.

სავარაუდოა, რომ სტეფანეს ქვრივს, უბანი (და შემდეგ მთელ დასახლებას), სადაც ცხოვრობდა, მეუღლის სიკვდილის შემდეგ, შესანიშნავად მოუწყია და მის საპატივსაცემოდ, მოგვიანებით, მისთვის, „შუშან-ქალაქი“ შეურქმევია.

დოც. ილია მაისურაძე უდეს „ნავების თავშესაფარ სადგომად“, ანუ „ნავსაყ - უდელად“ მიიჩნევს, სინამდვილეში, უდის ტერიტორიაზე არსებული მღვიმური ნალექები ადასტურებს, რომ მთელი საქართველოს ძირითადი ნაწილი და დღევანდელი ადიგენის რაიონის ტერიტორიაც, დაახლოებით სამი მილიონი წლის წინათ, დაფარული ყოფილა წყლით, მაღალი მთები კი, კუნძულების სახით, ყოფილა წარმოდგენილი, რომელზედაც ხარობდა ტროპიკული მცენარეები, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია გოდერძის ხეობაში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე „გამოქვაბულ-ტყე“.

IV-III ათასწლეულებში ვულკანურმა ამოფრქვევებმა და დედამიწის ხშირმა რყევებმა, ზღვის დონის დაწევა გამოიწვია, რის გამოც, უნდა ვივარაუდოთ, რომ უდე „ნავების თავშესაფარი“ სადგომი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ზღვის არსებობის დროს უდის ტერიტორია წყლით იქნებოდა დაფარული, ნავების თავშესაფარი, შესაძლოა ყოფილიყო არსიანის, ფერსათისა და ერუშეთის მთების მაღალ კალთებზე.

ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, უდე უცხოური წარმოშობის სიტყვაა, რაც არასწორად მიგვაჩნია. იგი სათავეს იღებს უძველესი ქართული სიტყვა „ყულედან“, რაც სადგომს ნიშნავს (იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“). სიტყვა „ყულეს“ დიდი ხანია არ ხმარობენ საქართველოში, ეს სიტყვა – „ყულა“-„ყულე“ დაივიწყეს, „ყულა“ მხოლოდ მეგრულ-ჭანურსა და ლაზურში გვაქვს „ულეს“ სახით. იგი აქაც საცხოვრებელ სახლს, ბინას ნიშნავს, ოღონდ, როგორც ხედავთ, მას „ყ“ თანხმოვანი დაუკარგავს (ყულე-ულე), მისი ნაშთი ერთგვარი ხმოვანის სახით მაინც ისმის.

ნასოფლარ უდის ველზე და, შემდგომ, დღევანდელ სოფელ უდეში, ყველა გვარს თავის უბანში ჰქონდა მტრის თავდასხმის დროს მიწური სადგომ-თავშესაფრები, „მყუდრო“, საიმედო ბინებში (დარბაზებში) იხიზნებოდა თითოეული გვარის წევრი, ხოლო მამაკაცები შესასვლელ კარებს ურდულით კეტავდნენ და შიგნიდან ბნელ, გრძელ დერეფნებში (ბაკებში) ჩასაფრებულები ელოდნენ მტრის შემოსვლას, რათა მომხვდურთათვის საკადრისი პასუხი გაეცათ.

სიტყვა „ყუდრო“-ც და „ყუდე“-ც მყუდრო თავშესაფარ ადგილად უნდა მივიჩნიოთ, რომლისგანაც სოფლის სახელი – უდე უნდა იყოს წარმოშობილი.

დოც. დ.კოჟორიძე უდისა და მისი მოსახლეობის წარმოშობას თავის ერთ-ერთ წერილში ასევე არასწორად ასაბუთებს, თითქოს, უდე და მისი მოსახლეობა, „შავშეთ-უდინების ტერიტორიიდან არიან გადმოსული და ენათესავებიან ალბანელთა აზერბაიჯანულ ტომებს“.

1956 წელს სოფელ უდეში აღმოჩენილ განძს მეცნიერები ძვ.წ.აღ.-ის XI-X საუკუნეებით ათარიღებენ. თუ ეს ასეა, მაშინ სოფელი უდე უძველესი წარმოშობის, მჭიდროდ დასახლებული სოფელი უნდა ყოფილიყო.

უდე რაიონული ცენტრის – ადიგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მე-10 კილომეტრზე მდებარეობს; მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა სანაპიროდან, ერუშეთის მთის გორაკ-ბორცვიან კალთებზეა შეფენილი, რომელსაც დასავლეთიდან ბიათხევის ხეობა ჩაუდის და ციხის ყველა ქარაფოვანი სალი კლდე აკრავს სარტყელად, ხოლო სამხრეთიდან – უფრო მაღალ გორაკ-ბორცვიანი ზეგანი, რომელსაც მაღლიდან დაჰყურებს ზაქორები, ნანასერი და უდივლები, ხოლო აღმოსავლეთიდან სოფელ არალს უერთდება.

უდე ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხანგრძლივი და საკმაოდ ცივი ზამთარი. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 3-დან 6 გრადუსამდე, ხოლო აბსოლუტური ერთეულები – 20-დან 28 გრადუსამდე. ზაფხული ხანმოკლე და გრილია.

თუ მესხეთის ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ძველად ეს ადგილი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, მაგრამ, ჟამთა სიავის გამო, მოისპო და ნაცარტუტად იქცა, როგორც სხვა ბევრი სოფელი, ქალაქი, ციხე-მონასტერი და ეკლესია. მოსახლეობის ერთი ნაწილი მტრებთან ბრძოლაში განადგურდა, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ნაწილმა თავი შეაფარა საქართველოს სხვადასხვა მხარეს, უმეტესობა გამაჰმადიანდა, ხოლო მცირე ნაწილმა – ვაი-ვაგლახით შეინარჩუნა ქართველობა.

სამცხის ერთეულმა სოფლებმა, თავიანთი მტკიცე ნებისყოფით და გმირული ბრძოლებით, დაიცვეს თავიანთი ეროვნული ღირსება, რომელთა რიცხვშია მრავალ ჭირვარამგამოვლილი სოფელი უდე, რომელსაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებით, შეუდრეკლობით, უკუუგდია შემოსეული მტერი და ბრწყინვალე ფურცლებით შეუსია მესხეთის ისტორია. ამიტომაც შემთხვევით როდის ეძახიან უდეს „ლეგენდებისა და მითების ბუდეს, გმირთა სავანეს“.

ქართველ ხალხს აღმოაჩნდა დიდი შინაგანი ძალა, რომ გაეძლო იმ უდიდესი ქარიშხლებისთვის, რომლებიც, საუკუნეების მანძილზე, საქართველო აზიის ქვეყნების საბრძოლო ასპარეზად იქცა. ადამიანს რომ სასწაულების სჯეროდეს, მაშინ, ალბათ, სასწაულად უნდა მივიჩნიოთ ის ამბავი, რომ ქართველმა ხალხმა და, მათ შორის, უდის მოსახლეობამაც, მესხებთან ერთად, დღევანდელობამდე მოაღწია.

მძიმე საშინაო პოლიტიკური ვითარების შედეგად მარტო სამცხე-ჯავახეთიდან 300-ზე მეტი სოფელი განადგურდა. არაბთა ბატონობის პერიოდში – 735-738 წლებში, მურვან ყრუს დამანგრეველი შემოსევების დროს, უდემაც იგივე ბედი გაიზიარა, რაც დანარჩენი საქართველოს სოფელ-ქალაქებმა.

ირანელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ცნობით, XVII საუკუნის ათიან წლებში, შაჰ-აბასის ლაშქრობების დროს, კახეთიდან ირანში 100 ათასზე მეტი ქართველი იძულებით გადაასახლეს, ანალოგიური ბედი გაიზიარეს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამაც, რომლებიც არდაბირის ოლქში გადაუსახლებიათ, მათ შორის უდელებიც. უდელებს ამ ოლქში თავიანთი საცხოვრებელი ადგილისთვის მშობლიური სოფლის სახელი – უდე დაურქმევიათ.

XVI საუკუნის მიწურულს, როდესაც თურქ-ოსმალებმა საბოლოოდ დაიპყრეს სამხრეთ საქართველო, მაშინ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიატოვა თავიანთი საცხოვრისი და გაქცევით უშველა თავს, მამაპაპური კერა ვერ მიატოვა მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მათ შორის სოფელ უდის 60 სხვადასხვა გვარის 135-მა ოჯახმა, რომლებიც თურქთა ტყვეობაში დარჩნენ.

„გურჯისტანის ვილაითის დიდი დავთრის“ მიხედვით უდის დაბეგრილ კომლთა რაოდენობა 135-ს შეადგენდა და იხდიდნენ გადასახადს (ისფენჯს) 30 000 ახჩის ოდენობით, როგორც ნატურით, ისე ფულით. მაშინ ერთი ქილა ხორბალი (რომელიც დაახლოებით 35 კგ-ს უდრიდა), შეფასებული იყო 12 აღჩად. ძირითადად გადასახადები დაწესებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, მიწაზე, წისქვილზე. ასევე დაწესებული იყო საქორწინო გადასახადიც, რომლითაც იბეგრებოდა როგორც დასაქორწინებელი ახალგაზრდები, ასევე ქვრივი ქალებიც კი.

თურქთა ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში – 1595 წლიდან 1828 წლამდე, უდე დიდ რაიონულ ცენტრად ითვლებოდა და შედიოდა ახალციხის „ვილაიეთში“. უდის რაიონი მაშინ 58 სოფელს ითვლიდა: უდე, მეიდანი, ზემო და ქვემო ორტოშანი, ირქა, ბოლაჯური, წყისე, ქვემო მარელი, ზემო მარელი, ზემო ზანავი (ეკლესიითურთ), შუა ზანავი, ანუ წინა ზანავი, გომარო, ლელოვანი, ქვემო ფარეხა, არალი, ღორძე მეორე, ყორაშენი, კახარეთი, ჩორჩანი, ყარათუბანი, სამყურე, ვალისონი, ხონა, დუნესი, დერცელი, საიარმია, ჩორრასი, სომხეთუბანი, ზემო მოხე და ქვემო მოხე, კეხოვანი, ამხა, ჩაჩაფური, დიდი მლაშე, ზაზალო, ნათენაანთ უბანი, წარბას უბანი, კორტოხეთი, მართა, ოსიეთი, ანუ ოსიძე, ზაკულეთი, ავაზანა, ქვაბიჯვარი, ხერთვისი, სათლელი, ერემა, გორგამლაშე, იალაღი თლილი, ჩაირი, პატარა მლაშე, არზნე, ქვემო ზანავი (სამკოფელი), გორგული და ა.შ.

თურქულ წყაროებში ვკითხულობთ: „ათაბაგმა ყვარყვარე მესამემ ყიზილბაშების დახმარებით მოიპოვა გამარჯვება ათაბაგობის პრეტენტენტ მანუჩარზე, რომელმაც ყიზილბაშებს ოსმალები დაუპირისპირა ყიზილ მეჰმედ ბეგის მეთაურობით. მამაცარი ქართველი ყიზილ-აჰმედ ოღლისთან ერთად, რომელიც სულთან სელენის ერთი ამირთაგანი იყო, რუმიდან საქართველოში ჩავიდა, რათა ყვარყვარესათვის ქვეყანა წაერთმია და მისთვის მიეცა. ყვარყვარე მათ შეება ყარაჯამარდაჰანში და გაიმარჯვა“.

ცნობილია, რომ ყვარყვარე III-ის პერიოდში და „დიდი თურქობის“ დროსაც, უდე დიდი რაიონული და სავაჭრო ცენტრი ყოფილა, რომელსაც განაგებდა ვინმე „აზნაური ანდრომანი“.

ჯერ კიდევ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთი სამხრეთ საქართველოში იჭრება და აქედან იწყება საქართველოს დაპყრობა, – ორი აგრესიული სახელმწიფოს – თურქეთისა და ირანის გაუთავებელი ბრძოლები, ხოლო XVI საუკუნის 90-იან წლებში, თურქეთი დიდი ხნის განმავლობაში ეპატრონება სამხრეთ საქართველოს.

ᲣᲓᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

უდელებს, ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში, სოფლის დასავლეთით, აუგიათ ციხე, რომელიც მინისქვეშა გზებით დაკავშირებული ყოფილა სოფლის ცალკეულ უბნებთან, რათა ასირიელთა თუ რომაელთა და სხვა ურჯულო გადამთიელთა ტომების შემოსევებისაგან დაეცვათ თავი. სოფელი უდე უძველეს პერიოდში მდიდარი ყოფილა ისტორიული ძეგლებით. ამ მხარის ძეგლები, როგორც აკად. ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს: „IX საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნეებს მიეკუთვნება“. მისი თქმით, XIII-XiV საუკუნეებში ცენტრმა ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოინაცვლა. სამთავროს დედაქალაქად ახალციხე იქცა, ხოლო „სასულიერო ცენტრად – ანყური“.

ვახტანგ ბერიძის მტკიცებითვე, ეკლესიების ნაწილი VII-VIII სს-ს და, ზოგი, უფრო ადრეულ საუკუნეებსაც განეკუთვნება. ამასთან, უდეში შვიდი ეკლესია და ერთი ანტიკური ციხე ყოფილა, რომელსაც დასავლეთიდან სარტყელივით აკრავს მაღალი კლდე, მას გვერდით ბიათხევის ხევი ჩაუდის, რომელიც საძალოს ციხისა და ირმის წყლის მიდამოებიდან იკრებს წყალს. ამ კლდეზეა აღმართული უძველესი ციხეც.

ივანე მერაბიშვილის აზრით, ციხე აგებული უნდა იყოს კერპთაყვანისმცემლობის პერიოდში, რადგან ციხის კართან, ქვაზე, გამოხატული ყოფილა ცხოველი, მის წინ ადამიანი, რომელსაც თავი დახრილი ჰქონდა და ხელები გაშლილი, უკან კი ორი კაცი მდგარა გულხელდაკრეფილი. ასევე, იგი მიიჩნევს, რომ თავდახრილი კაცი ამ ციხის მშენებელი, ხოლო მის უკან მდგარნი მისი მხლებლები უნდა ყოფილიყვნენ. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ციხე კერპთაყვანისმცემლობის პერიოდში უნდა ყოფილიყო აგებული.

მრავალსაუკუნოვანმა სეისმურმა და გარეშე ზებუნებრივმა ძალებმა ციხის დასავლეთის ციცაბო კლდოვანი მხარე დაანგრია, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე დაუცურებია და იგი ციცაბო ფერდობად გადაუქცევია, რომლის ტერასებზეც დღეს უდელებია დასახლებული, ხოლო გალავანი და მის შიგნით მდებარე სასახლე-ნაგებობანი და ეკლესია, ჟამთა სიავეს აღუგვია პირისაგან მიწისა და დღეს ციხის მიდამოები ისე გამოიყურება, თითქოს წარსულში იქ არაფერი ყოფილიყოს.

ჩრდილო-დასავლეთით, კლდის შვერილზე არსებული ბურჯი, სამწუხაროდ, ამ რამდენიმე წლის წინ დაანგრია ადგილობრივმა მაცხოვრებელმა.

როგორც ირკვევა, ციხე საიდუმლო მიწისქვეშა გვირაბებით ყოფილა დაკავშირებული სოფლის ცენტრალურ უბანთან. ციხის დარბაზებიდან გამომავალი გვირაბები მიემართებოდა – ერთი აღმოსავლეთით, მეორე – ჩრდილო-აღმოსავლეთით და ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

ციხე საიდუმლო გვირაბით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხევთან, საიდანაც მოსახლეობა მარაგდებოდა როგორც სასმელი, ასევე ბუნებრივი ცხელი წყლებით, რომელნიც, ციხის დასავლეთით, დაბლა, ხევის პირზე, მამულაშვილის ბაღის თავზე, დიდი ლოდის ძირზე გამოდიოდა, მაგრამ, ამ ოთხი ათეული წლის წინათ, ცხელი წყლები დაიკარგა.

ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და ილწვიან

ნიჭიერ ადამიანთა ხევანე!

ბორჯომი. საქართველოს თვალმარგალიტი, მსოფლიოში აღიარებული ეს კურთხეული კურორტი, მინერალური წყლები, უმდიდრესი ფაუნა და ფლორა ერთობლიობაში შესანიშნავ გარემოს ქმნიან ადგილობრივი და უცხოელი დამსვენებლებისა და ტურისტებისთვის.

მაგრამ, ამჯერად, სულაც არ მინდა ჩემი წერილი კურორტს მივიძღვნა, რადგან ამ მხრივ ჩვენი სათაყვანებელი ბორჯომი მართლაც, რომ განებივრებულია და აზრი არ აქვს ამ მხრივ ყურადღების გამახვილებას.

წერილის მიზანი სულ სხვა რამაა. ამასწინათ ჩემს საოჯახო ბიბლოთეკაში, ერთ-ერთ თაროზე, ჩამწკრივებული მცირე ფორმატის წიგნებს კიდევ ერთხელ შევავლე თვალი და ჩავფიქრდი: ეს ხომ ჩემ მიერ სპეციალურად თავმოყრილი ბორჯომელი ავტორების წიგნებია, რომლებიც თითოეულ ბორჯომელთან ერთად ჩემშიც რომ იწვევს სიამაყის გრძნობას, მითუმეტეს, თითოეული წიგნი საჩუქრად მაქვს მიღებული ავტორთა ხელმოწერებით და კეთილი სურვილებით.

დიახ, ბორჯომი არამარტო საკურორტო დანიშნულებით, არამარტო მინერალური წყლებით და სხვა მრავალი კომპონენტებით, არამედ, პირველ რიგში, ადამიანებით, თვით ბორჯომელებით არის გამორჩეული, რომლებიც თავისი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით, ნიჭიერებით, გამორჩეული მოღვაწეობით, ავსებენ, ამდიდრებენ ბორჯომს, მეტ კოლორიტულობას მატებენ საკურორტო ქალაქს, რომლის სტუმართა შორის ყოველთვის მრავლად არიან ხოლმე ქართული პოეზიის და პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ალბათ, ესეცაა იმის მიზეზი, რომ ბორჯომში, მის შემოგარენში მრავლად დაიარებოდნენ და დაიარებიან ადგილობრივი ნიჭიერი შემოქმედი ადამიანები, რომლებიც თავისი დარბაისლობით, სიდინჯით, უბრალოებით, ხიბლავენ გარშემომყოფთ და გარკვეული წვლილი შეაქვთ ბორჯომელთა სულიერების ამაღლებისა და გამდიდრების საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, ბოდიში მინდა მოვიხადო იმათი ხსოვნის წინაშე, ვისაც ამჯერად ვერ გავიხსენებ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზოგს მე ვერ მოვესწარი, ზოგიც ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ახლოს ვერ გავიცანი და, შესაბამისად, მათ შემოქმედებაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, რაც, რა თქმა უნდა, არავის ბრალი არ არის და ყველას თავის წილ პატივს მივაგებ დამსახურებისამებრ.

ისე მოხდა, რომ ჩემმა სამსახურეობრივმა მდგომარეობამ და ჩემს გარშემო მყოფმა არაერთმა აღიარებულმა პიროვნებამ, ბევრი კარგი ბორჯომელი გამაცნო, დამაახლოვა და შემდგომ მათი შემოქმედების ზიარიც გამხადა.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში მუშაობისას, ძალზე ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ბორჯომელთათვის მეტად საყვარელ და ძვირფას პიროვნებასთან, გამორჩეულ და მრავალმხრივ ნიჭიერ ადამიანთან, მწერალ **გიორგი ზედგინიძესთან,** რომელიც, თავისი სიდარბაისლით, სიდინჯით, უბრალოებით, ინტელექტუალობით და ადამიანების უსაზღვრო სიყვარულით გამოირჩეოდა. ამიტომაცაა, რომ მის მიერ ნაჩუქარ წიგნებს („დედის ტაძარი“, „გატეხილი ხიდი“) ავტოგრაფებით სათუთად ვინახავ და ჩემს შთამომავლობას ვუანდერძებ, რომ ბატონ გიორგი ზედგინიძის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოდ გაიხადონ.

ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაში საპატიო ადგილი უკავია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ცნობილი მწერლის, სულით ხორცამდე ნაღდი ბორჯომელის, ამჟამად თბილისში მცხოვრების, მრავალი შესანიშნავი წიგნის და ჟურნალისტური ნაშრომის ავტორის ბატონ **ზურაბ ლომიძის** რამდენიმე წიგნს, რომლებშიც ასახულია ჩვენი სამშობლოს წარსული და აწმყო. ამ წიგნების გმირები გამოირჩევიან მოყვასის სიყვარულით, ერთგულებით, ისტორიული მოღვაწეების პატივის მიგებით.

ბატონი ზურაბი 80 წელს არის გადაცილებული, მაგრამ ჩვეული სიმხნევით, ნიჭიერებით, კვლავაც აგრძელებს მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობას და აქტიური პუბლიკაციებით თავის ღირსეულ კვალს ტოვებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე.

ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ მისგან ნაჩუქარ წიგნებს ამშვენებს მისი გულიდან ამოსული სიტყვები: „ჩემს თემურ ხუხუნაიშვილს, ნიჭიერ ჟურნალისტს, კეთილშობილ პიროვნებას, კაცურ-კაცს და უმცროს მეგობარს“. ამ სიტყვებზე უკეთესი საჩუქარი, რა უნდა უძღვნას ადამიანმა ადამიანს?

გული მტკივა, რომ დღეს ცოცხალ მოღვაწეთა შორის აღარ არიან ჩემი პირველი რედაქტორი ბატონი **ოთარ სტაჟაძე** და ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი ბატონი **რობერტ ცუცქირიძე,** რომლებმაც გამიკვალეს გზა ქართულ ჟურნალისტიკაში. ისინი იყვნენ ღირსეული პიროვნებები, რომლებიც შეეწირნენ პიროვნულ და საზოგადოებრივ პატიოსნებას, ნიჭიერებით და საოცარი შრომისმოყვარეობით იყვნენ გამორჩეულები.

ბატონი ოთარის 20 წლიანმა რედაქტორობამ, მრავალი დამწყები ჟურნალისტი გამოაწრთო რაიონულ გაზეთში. ისინი დღესაც აგრძელებენ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ჟურნალისტურ საქმიანობას.

მისგან ნაჩუქარ წიგნს – „ორომტრიალი“, – სადაც მისი შემოქმედების დიდი ნაწილია მოთავსებული (ეპიგრამები, მოთხრობები, იუმორისკები, დიალოგები, მინიატურები, ნამცვრევები, სხარტულები, პაროდიები), სიამაყით ვუფრთხილდები, რადგან ჩემთვის ნაჩუქარ წიგნს წააწერა: „ჩვენს თემურს! – კარგ კაცს, გულწრფელ და ერთგულ ადამიანს. პატივისცემით და კეთილი სურვილებით, ოთარი. 11.06. 2006 წ.“. როგორია?! – შენი გზის დამკვალიანებელი, აღმზრდელი ასე რომ შეგაფასებს.

რამდენიმე სიტყვით ხაზი მინდა გავუსვა ცნობილი ჟურნალისტის ბატონ რობერტ ცუცქირიძის შემოქმედებას. გარდა იმისა, რომ მისი ჟურნალისტური შემოქმედება, რესპუბლიკურ გაზეთებში ინტენსიურად იბეჭდებოდა, ბატონი რობერტი შესანიშნავი პოეტიც იყო. მის ლექსებზე იქმნებოდა სიმღერები. ბორჯომის სკოლებში, ლიტერატურულ საღამოებზე თუ სხვა ღონისძიებებზე, სიამოვნებით კითხულობდნენ მის ლექსებს ბორჯომზე, სამშობლოზე, სიყვარულზე და ა.შ. იგი ექსპრომტების შესანიშნავი ოსტატიც იყო. საოცარი მეგობრობა იცოდა, ვისთანაც გულით მიუხაროდა, ლექსებს მიუძღვნიდა. ასე იყო ჩემს საიუბილეო საღამოზეც (60 წ.), როცა, მოულოდნელად, წაიკითხა ჩემდამი მოძღვნილი ლექსი.

ასევე სათუთად ვინახავ ჩემი უმცროსი კოლეგის, ჟურნალისტისა და პოეტის ბატონ **უშანგი ჯანგირაშვილის** სამ წიგნს: „ვაჟაფშველას მხატვრულ სამყაროში“, „არაგვის ხეობიდან ბორჯომის ხეობამდე“, „სველი მზე“ (1-2 კრებულები), სადაც მისი პოეტური სამყარო გაჟღენთილია სამშობლოს სიყვარულით, პატრიოტული სულისკვეთებით, მომავლის რწმენით.

მის მიერ ნაჩუქარ წიგნებს ლაიტმოტივად გასდევს ავტოგრაფი, რამდენიმე თბილი სიტყვით: „ჩემს ძვირფას ძმას და მეგობარს, თემურ ხუხუნაიშვილს დიდი სიყვარულით. უშანგი“.

ბორჯომელებს კარგად ახსოვთ მრავალი ორდენით და მედლით მკერდდამშვენებული, ძირძველი ბორჯომელი, სახალხო მთქმელი ბატონი **ლადო (ვლადიმერ) გვარამაძე.** ბატონი ლადო ამჟამად ღრმად მოხუცებულია, ვეღარ აქტიურობს, მაგრამ გულს მიხარებს ის ფაქტი, რომ მისი ავტორობით გამოცემული ლექსების კრებული ერთ-ერთი პირველი მე მისახსოვრა არაჩვეულებრივი ავტოგრაფით და თბილი სიტყვებით: „ბატონ თემურ ხუხუნაიშვილს, ჩემს უსაყვარლეს მეგობარს და ღირსეულ მამულიშვილს, პატივისცემით, ლადო გვარამაძე“.

ნიჭიერი პოეტის მოფერება ჩემთვის ფრიად სასიამოვნო ფაქტია და სანამ ცოცხალი ვარ, ვერასოდეს დავივიწყებ მის ადამიანობას, შემოქმედებას.

ჩემს ბიბლიოთეკაშია ბორჯომელი მწერლის ბატონ **ომაზ ჩხეიძის** ავტოგრაფით დამშვენებული ორი წიგნი: „გახლეჩილი რწმენა“ და „ჩვენი მესხები“ – წიგნები, რომელთა შექმნას მრავალი წელი მიუძღვნა ავტორმა. ეს წიგნები ასახავენ ოსმალთა მიერ ისტორიულ მესხეთში აბორიგენი ქართველი მოსახლეობის გამაჰმადიანება-გათურქების პროცესს.

ძალზე ვუფრთხილდები ჩემი უფროსი მეგობრის, ცნობილი მეტყევე-ინჟინრის, ბიოლოგიურ მეცნიერებათ დოქტორის, რამდენიმე წიგნის ავტორის, ბატონ **ლევან გოცირიძის** და, საყოველთაოდ აღიარებული ექიმის (აწ გარდაცვლილი), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ **მიხეილ თვაურის** ნაშრომებს, რამდენიმე წიგნად გამოცემულს, სადაც ავტორები ღრმად მიმოიხილავენ „ბორჯომის ხეობის ეკოლოგიურ მდგომარეობას მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის წლებში“ და „კურორტისა და უნიკალური მინერალური წყლების არსებულ მდგომარეობას“.

აღნიშნული წიგნების ავტორები პროფესიულ დონეზე ცდილობენ ღრმად მიმოიხილონ ქ. ბორჯომსა და, მთლიანად, ბორჯომის რაიონში მიმდინარე პროცესები და თავისი ნაშრომებით შეავსონ ის ვაკუუმი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით გაჩნდა ბორჯომის ხეობის ფლორისა და ფაუნის დაცვისთვის გაწეული მუშაობის აღწერის და კურორტის განვითარებისა და მინერალური წყლების პოპულარიზაციის მნიშვნელოვან საქმეში.

ჩემს ბიბლიოთეკაში შესაფერისი ადგილი უკავია ბორჯომელ ავტოინჟინრის, პედაგოგისა და საოცარი ინტელიგენტის, ისტორიული თემატიკით დაინტერესებული და ღრმად მოაზოვნე პიროვნების, ბატონი **აკაკი ჯაფიაშვილის** (ცნობილი ასტრონომის ვიქტორ ჯაფიაშვილის ძმა) ნაშრომებმა: „სწორუპოვარი მეფე დავით აღმაშენებელი“, „ქართველ მეფეთა ნუსხები“ და ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯეკ ლონდონის ნაწარმოებების „მძვინვარე მხეცი“-ს თარგმანმა. სასიამოვნოა, როცა შენზე, თითქმის ოცი წლით, უფროსი შემოქმედი ადამიანი მეგობრად მიგიჩნევს და ავტოგრაფით გიძღვნის თავის ნაშრომებს.

ჩემს ბიბლიოთეკაშია ბორჯომელთათვის კარგად ნაცნობი მუსიკის პედაგოგის, ქალბატონ **ივეტა კუპრაძის** წიგნი: „ბორჯომელები დედაქალაქში“, სადაც ავტორის მიერ თავმოყრილია მისი საგაზეთო წერილები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იბეჭდებოდა გაზეთ „ბორჯომში“. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 60-მდე ცნობილი ბორჯომელის შესახებ დიდი სითბოთი აღწერს მათ მოღვაწეობას და რუდუნებით – დედაქალაქში და ბორჯომელთა დღევანდელ მოზარდ თაობას მათი სახით ღირსეულ თანამოქალაქეებს აცნობს.

რამდენიმე წელია ახლოს გავიცანი გაზეთ „ეკოლოგის“ მთავარი რედაქტორი, უაღრესად პატიოსანი და გაწონასწორებული პიროვნება, ბატონი **თამაზ ანთაძე,** მასთან ურთიერთობამ (ჩემდა სასიხარულოდ მამაპაპისეული სახლი აქვს ახალდაბაში), ყოველწლიურმა შეხვედრებმა, კოლეგებს შორის მეგობრობას დაუდო სათავე და მისმა საჩუქარმაც არ დააგვიანა. ბუნებაზე და ფლორაზე შეყვარებულ ნიჭიერ ჟურნალისტს წიგნი აქვს გამოცემული „მყვირალობის ჟამს“, რომლის სასაჩუქრე ეგზემპლარს, ლაკონურად წააწერა: „თემურ ხუხუნაიშვილს, მტკიცე, საიმედო კონტაქტების მეგობარ შემოქმედს, კოლეგას. პატივისცემით, ავტორი“.

წიგნის თაროზე მაქვს ასევე წარმოშობით ბორჯომელი მწერლის, აწ გარდაცვლილი **ნოდარ გრიგალაშვილის** წიგნები: „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“ და „კონკურენცია ქართულად, ანუ რამდენიმე სურათი და ეპიზოდი ყაჩაღების ცხოვრებიდან“, აგრეთვე ბორჯომზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი პოეტის **ჯემალ ინჯიას** ლექსების კრებული ავტოგრაფით: „თემურ ხუხუნაიშვილს, ჯიგრიან ქართველს, დიდი პატივისცემით, ჯ.ინჯია“.

ზემოთ აღნიშნული წიგნებიდან მნიშვნელოვან საჩუქრად მივიჩნიე ჟურნალისტების **თინათინ ვეშაპელის** და **მაყვალა ინასარიძის** ნაშრომს „გაფრინდი შავო მერცხალო“. წიგნი ეძღვნება მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ იმ ქართველი ვაჟკაცების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი.

ამ წიგნის ჩუქურთმით და წარწერით – „სახსოვრად გულისხმიერ თემურ ხუხუნაიშვილს“, – ომის ვეტერანთა ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის მაშინდელმა თავმჯდომარემ და ჟურნალისტმა, ბატონმა **შაქრო არბოლიშვილმა** მამაშვილური სიყვარულით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩემთვის უფროსი თაობის ადამიანები, რომლებიც სამშობლოს შეეწირნენ თავისი შრომით თუ სხვადასხვა ომებში აქტიური მონაწილეობით, ყოველთვის წინა პლანზე არიან და სიცოცხლის ბოლომდე მათი ხსოვნის პატივისმცემელი ვიქნები.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ბოდიში მინდა მოვიხადო იმ ნიჭიერ შემოქმედთა მისამართით, რომელთაც არ ვიცნობდი, ან არავითარი ურთიერთობა არ მქონდა, თუმცა, ეჭვი არაა, რომ თითოეული მათგანის შემოქმედება დასაფასებელია და მათ მაგალითზე ბორჯომის მადლიან მიწაზე „კიდევაც დაიზრდებიან“...

როგორც თავში ხაზგასმით აღვნიშნე, ამ წერილის უმთავრეს მიზანს ჩემთვის ნაცნობ ბორჯომელ შემოქმედთა მიერ გამოცემული წიგნების ერთგვარი წარდგინება იყო და ამით ხაზი გაესვა იმ მნიშვნელოვანი რეალობისთვის, რომ ამ პატარა (ბორჯომი) რაიონში, მოსახლეობის სიმცირის მიუხედავად, მწერლური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთა რიცხვი საკმაოდ სოლიდურია, რაც იმის დასტურია, რომ რაიონში არსებული სულიერი საზრდო უთუოდ იძლევა ყველა პირობას იმისთვის, რომ ნიჭიერ ადამიანებს გზა გაეხსნათ შემოქმედებითი აღმაფრენისაკენ.

ბორჯომის ხეობა ნიჭიერ ადამიანთა სავანეა! – აქ მწერლებისა და პოეტების გარდა, ქვეყანაში ცნობილი ჟურნალისტები, რეჟისორები, მსახიობები, პედაგოგები, მუსიკოსები, სპორტსმენები, მოცეკვავეები, მომღერლები დაბადებულან, აღზრდილან და საქვეყნოდ და მსოფლიო მასშტაბითაც უსახელებიათ მშობლიური რაიონი.

მათ წარმოსაჩენად რამდენიმე ათეული წელია უანგაროდ იღწვის გაზეთი „ბორჯომი“, რომლის ფურცლებზეც სისტემატურად ეთმობა ადგილი რაიონის ნიჭიერ შემოქმედთ.

აწ გარდაცვლილი, უნიჭიერესი რედაქტორები **დავით ჭიჭილეიშვილი** და ოთარ სტაჟაძე ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სტიმული მიეცათ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულთათვის და გზა დაელოცათ უფრო დიდ ასპარეზზე გასასვლელად.

ტრადიციებს აგრძელებს გაზეთ „ბორჯომის“ დღევანდელი რედაქტორი ბატონი **ვალერიან ლომიძე,** რომლის ენერგიულმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა 25 წლის წინ გადაარჩინა გაზეთი დახურვას. ხშირად, გაუსაძლის პირობებში უწევთ ჟურნალისტური საქმიანობა, მაგრამ, პროფესიის ერთგულება, მშობლიური რაიონის სიყვარული, მშრომელი და ნიჭიერ ადამიანთა წარმოჩენა, ადგილობრივი ჟურნალისტების ცხოვრებისეული კრედოა და იმედია, რომ მათი შრომის ღირსეულად დაფასებით, შესაძლებელი იქნება არა მარტო ამ მეტად საჭირო გამოცემის გადარჩენა, არამედ, ნიჭიერ ადამიანთა კვლავაც წარმოჩენა.

უთუოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორს ორჯერ აქვს გამოცემული „ბორჯომის ტურისტული გზამკვლევი“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებსა და დამსვენებელთა შორის.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი

ანდაზები

(დასასრ. დასაწყ. იხ. წინა ნომერში)

ნ

ნუ მატყუებ სამოთხითა, ნურც მის ოქროს სამოსითა.
ნუ ჩავარდები წყალშიო, ნურც ძუნწი კაცის ვალშიო.

ო

ორი გზით მოსიარულე, ორჯერ წამოჰკრავს ფეხსაო.
ოჯახში ორის უფროსობას, ორად გაყოფა ჯობიაო.

პ

პანიკას აჰყვა მხდალიო, ჭკუიდან გადამდგარიო.

რ

რა ფასი აქვს გმირობასა, თუ დაჰკარგავ ზრდილობასა.
რაში აქვს ბრალი ცელსაო, თუ არ უმარჯვებ ხელსაო.
რაღა გეთქმის მექრთამეო, მე ვმუშაობ შენ ჭამეო.
რაც სხვისთვის უნდა ავსაო, ის გადახდება თავსაო.

ს

სარგებლით მოსულ კაცსაო, ვინ არ გაუღებს კარსაო.
სახელოვანსა კაცსაო, ყველანი აძლევს გზასაო.
სიმართლეს გაქცეოდაო, ოჯახი დაქცეოდაო.
სიმამაცე კაცსაო, სილამაზე ქალსაო.
სიმამრი სიძეს სინჯავდა, სიძე მის სიმდიდრესაო.
სიყვარულს გულით ზომავენ, სიარულს მუხლებითაო.
სიძნელეს დაძლევს შრომაო და წიგნთან მეგობრობაო.
სიფრთხილე კეთილ გზას ირჩევს, კეთილად მოსასვლელსაო.
სულელი გალოთებულა, ვაი იმ ლოთის ცოლსაო.
სტუმრის კერძი ყველა ქვაბში იხარშებაო.
სტუმრობა გამოსცადე, რომ მასპინძლობა ისწავლოო.

უ

უგემურმა პირი დამწვა, უფერულმა თვალებიო.
უმცროს ძმას მამა დაეღუპა და უფროს კი აღარც ახსოვდაო.
უპრინციპო გონებასა, არ უთვლიან ცხონებასა.
უსინდისობა უჭკუობაზე უარესიაო.
უფსკრულის პირას მისულსა, რაღა ხელის კვრა უნდაო.
უქნარა მიდის გზასაო, გინდ წაუღია წყალსაო.
უყვავილო გაზაფხული უსარგებლო სიცოცხლეაო.
უჭამია სირცხვილიო, უნატრია სიკვდილიო.

ქ

ქალმა შარვალი ჩაიცვა, ვაჟკაცმა კაბა არაო.
ქრთამს უთქვამს: ვინ მშობა, ვინ გამზარდაო, ვინ შემსვა,
ვინ შემყლაპაო.
ქუდის შეცვლით თავი არ იცვლებაო.
ქურდი სინათლეს გაურბის, მექრთამე სამართალსაო.

შ

შენი გაცნობა თუ არ სურს, ნურც შენ გააცნობ თავსაო.
შენს ხელით საცემ თავსაო, ნუ აცემინებ სხვასაო.
შენს თავს სხვის თვალით შეხედე, გაიგებ, რაც გაკლიაო.
შვილს ტყვიას ესროდნენ და დედა შვილზე ადრე კვდებოდაო.
შვილის სამერეს დედა დასტირის, ბრძენის სამერეს – ერიო.

ჩ

ჩაუფიქრდა – ჩასწვდაო, გაიწია – გასწვდაო.
ჩაუფიქრდა ჯდომითაო, მიაღწია შრომითაო.

ც

ცხვირწინ ჰქონდა დაკარგული, ცხრამთას იქით ეძებდაო.
ცეცხლმა ხელები დამიწვა, ცრემლმა სული და გულიო.
ცოდნას რომ გავექცევითო, ცხოვრებას წავექეცითო.
ცოლს ქმრის სიმთვრალე ჰკლავს, ქმარს – ცოლის ავკაცობაო.
ცოტა დაიძინა, ბევრი დაინახაო.
ცრუ კაცის დამეგობრებამ, გზა-კვალი დამიბნიაო.
ცუდი შვილი კარგ მამობას ვერ იზამსო.

წ

წამალმა ჭირი დასძლია, არაყმა ჯანმრთელობაო.
წარსულს გუშინწინდელს ჰკითხავენ, მომავალს
ხვალინდელსაო.
წინ დადგმულ მახეს გადვურჩი, ზურგს უკან მახეს ვერაო.
წინდახედულებამ წინ წამწიაო.

ძ

ძუნწ კაცს მეგობრად ნუ ირჩევ, შურიანს – მეზობლადაო.
ძუნწს თავისი ქონება ჰკლავს, შურიანს კი – სხვისაო.
ძმამ ძმას ქონება გაუყო, სიყვარული ვერაო.

ჭ

ჭკუის ძალა მკლავის ძალას ჯობიაო.
ჭკუით შექმნილსა ქონებას, ჭკუითვე დაცვა უნდაო.
ჭორიკანას ენას აჭრიდნენ და თავს უშვერდაო.

ჯ

ჯერ მოხან და დათესეო, მერე ცელი გალესეო.
ჯერ ტკბილად ჭამა ქრთამიო, მერე დალია შხამიო.

ჰ

ჰქონდეს მეზობელსაო,მეც მიმართავდეს ხელსაო.

მთქმელი პორფილე ოქრომელიძე, ახალციხის რაიონი, სოფელი მუსხი, 61 წლის, ჩაწერილია 1981 წელს

ვრავალშვილიან დედებს ვივანიჭოთ საპატიო წოდება!

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, დემოგრაფიული პრობლემის გადაწვეტა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამიტომაცაა, რომ ,,ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს ერის გამრავლებისათვის და იმ ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ დაუშვა ამ სფეროში თავისი მმართველობის პერიოდში.

თუ სტატისტიკურ მონაცემებს თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ დღეს დემოგრაფიული ვითარება დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. მოსახლეობის კატასტროფული შემცირება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და პიკს 2013 წელს მიაღწია.

მე რამდენიმე ციფრს მოვიყვან და თვითონ განსაჯეთ თუ როგორი ვითარებაა ქვეყანაში.

საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1992 წელს იყო – **5 მილიონ 467 ათასი** კაცი. აქედან მოყოლებული, ჩვენი მოსახლეობა განუხრელად მცირდებოდა. 2012 წელს **4 497 ათასამდე** შემცირდა, ხოლო 2014 წელს **3 729 ათასი** ადამიანი დაფიქსირდა. რომ არა საქართველოს პატრიარქის **ილია მეორის** მოწოდება, – ოჯახში ყოველი მესამე და მეტი ბავშვის პირადად მონათვლა, ალბათ, ამდენიც არ ვიქნებოდით (მისი ლოცვა-კურთხევით საქართველოს 27 ათასი ბავშვი შეემატა).

სამწუხაროდ, 2000-2012 წლებში ბუნებრივი მატება 10-ჯერ შემცირდა. საქართველოში ყველაზე ბევრი ბავშვი 1961 წელს დაიბადა - **104 ათასი**, იმ პერიოდიდან მოყოლებული ყოველწლიურად, საშუალოდ, **90 ათასი** ბავშვი იბადებოდა და ბუნებრივი ნამატი საგრძნობი იყო. 1991-2010 წლებში მხოლოდ **55 ათასი** ბავშვი დაიბადა, 2000-2009 წლებში – **502 296**. ამავე წლებში ***448 721 ადამიანი გარდაიცვალა***. მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მაღალმთიანეთში – რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, გურიაში, იმერეთში, კახეთში და მცხეთა-მთიანეთში.

ყოველწლიურად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახური ოპერატიულად გვაწვდის რაიონში დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების მონაცემებს. ანალიზი ცხადყოფს, რომ დამაიმედებელი მონაცემები არც ბორჯომის რაიონშია.

1989 წლის აღწერით რაიონში **38 973 ადამიანი** ცხოვრობდა, 2002 წლის აღწერით მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა და მხოლოდ **32 422 ადამიანი** დაფიქსირდა. თუმცა, იმ პერიოდის აღწერაში, ქვეყნიდან უვიზოდ გასული ადამიანები კვლავ მუდმივ მოსახლედ ითვლებოდა (არადა, რაიონის ყოველი მესამე-მეოთხე ოჯახი რაიონიდან გასულია).

ბორჯომის რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით ***1989 წელს 637 ბავშვი, 1995 წელს – 550, 2000 წელს – 347, 2003 წელს – 336 ბავშვი დაიბადა***. ამავე წლებში, შესაბამისად – ***387; 365; 454 და 431 ადამიანი გარდაიცვალა.*** უკეთესი ვითარება არც მომდევნო წლებში იყო. ***2006 წელს რაიონში დაიბადა 315 ბავშვი, გარდაიცვალა 354*** ადამიანი, დაქორწინდა – 272 და განქორწინდა – 7. ***2007 წელს დაიბადა 173*** ბავშვი, ***გარდაიცვალა 213 ადამიანი***. 2008 წელს ჩვენს ხეობას ***366 ახალშობილი შეეძინა***, იმავე წელს ***427 გარდაიცვალა***, 2009 წელს ***391 ბავშვი დაიბადა*** და ***386 ადამიანი*** გარდაიცვალა. ასევე გაიზარდა განქორწინებულთა რიცხვი (შესაბამისად 22 და 26).

საიმედო მონაცემები ერის გამრავლების თვალსაზრისით არც გასულ წელს გვქონდა, იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, შარშან 347 ახალშობილი მოევლინა ჩვენს ხეობას, ბორჯომის სამშობიარო სახლის მონაცემებით კი 231 ბავშვია დაბადებული. ციფრებში სხვაობა გამოიწვია სხვა რაიონებში ბორჯომელთა რეგისტრაციამ. შარშან 140 ქორწინება და 30 განქორწინება დარეგისტრირდა. ამავე პერიოდში 175 ადამიანი გარდაიცვალა.

ამ სავალალო სტატისტიკის გამომწვევი მიზეზები უამრავია (სოციალური პრობლემები, შიდა და გარე მიგრაცია, უმუშევრობა და სხვ.).

თუ ერის შემცირების ტენდენცია არ შეჩერდა, გაეროს ექსპერტების მონაცემებით, **2050 წლისთვის ქართველები 1,5 მილიონით შემცირდება** და საქართველოში სხვა ერებთან შედარებით უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ბუნებრივია, საქართველო დაუსახლებელი არ დარჩება და ქართველთა ადგილს სხვა ერები დაიკავებენ. ეს კი ჩვენი ერისათვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

სად არის გამოსავალი? სათავეში! ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დემოგრაფიული ვითარების გასაჯანსაღებლად გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. გაიზარდა მრავალშვილიანი ოჯახების დაფინანსება, მთის რაიონებში თითოეულ ბავშვზე გაიზარდა შემწეობები. გაზრდილია დეკრეტიული შვებულების ხანგრძლივობა, აიკრძალა აბორტები და სხვ.

პარლამენტმა მიიღო კანონი ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელიც არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ითვალისწინებს, მთაში მოსახლეობის დასაქმების და შობადობის გაზრდის თვალსაზრისით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის თაოსნობით შემწეობები ეძლევა ოთხ და მეტშვილიან ოჯახებს, ობოლ მცირეწლოვან ბავშვებს, მარტოხელა დედებს და სხვ. სასიხარულოა, რომ **ბორჯომის მუნიციპალიტეტი საქართველოში პირველია, რომელიც ასე მრავალფეროვან შემწეობებს გასცემს 4 და მეტშვილიან ოჯახებზე.** შედეგიც სახეზეა, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ასეთი ოჯახების რიცხვი და თუ 2012 წელს რაიონში 39 მრავალშვილიანი ოჯახი იყო, **დღეს 75 მრავალშვილიანი ოჯახია.**

საგულისხმოა ისიც, რომ საკრებულოს ,,ქართული ოცნების“ ფრაქციის თაოსნობით (ხელმძღვანელი **მარინა ნოზაძე**) შეიქმნა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის რაიონის მაღალმთიან სოფლებში არსებულ პრობლემებს და იზრუნებს მათი დადებითად გადაწყვეტისათვის.

გამოვხატავთ ყველა ქართველის პატრიოტულ სურვილს, საქართველოში არ დაიშრიტოს ერის გამრავლების ტრადიცია. ქართველმა ერმა, რომელმაც მრავალ კატაკლიზმებს, ომებს, გაჭირვებას გაუძლო, ღირსია XXI საუკუნეში მოძალებულ გლობალიზაციის შემოტევასაც გაუძლოს და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ცივილიზებულ მსოფლიოში.

ხელისუფლება ზრუნავს დემოგრაფიული პრობლემების დარეგულირებისათვის, მაგრამ კარგი იქნება, თუ დამატებით კიდევ გამოიძებნება რეზერვები მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერისათვის. ერთ-ერთ ასე მორალურ თანადგომად მიგვაჩნია, ყველა დედას, ვინც შობა და აღზარდა ხუთი და მეტი შვილი მიენიჭოს ,,ბორჯომის "საპატიო დედის წოდება“. ეს ახალგაზრდა დედებისათვის ერთგვარი სტიმული იქნება.

მზად **გვაქვს** დებულება „საპატიო დედის" მინიჭების შესახებ“ და თუ მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო გაითვალისწინებენ ამ სიახლეს, დიდი სიამოვნებით წარვუდგენთ დასამტკიცებლად.

"საპატიო დედის" წოდება“ საზეიმოდ უნდა მიენიჭოს დედის დღესთან დაკავშირებით. მათ მიმართ გავითვალისწინოთ სხვადასხვა სახის შეღავათები, გამგეობამ გამოყოს ერთჯერადი ფულადი ჯილდო მრავალშვილიანი ოჯახებისადმი, ბიზნესმენებმა, მეწარმეებმა, ფირმებმა თანადგომა აღმოუჩინონ მრავალშვილიანებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს და სხვა.

გვჯერა, ამ წინადადებას სხვებიც გამოეხმაურებიან და ერთიანი ძალით შევძლებთ ხელი შევუწყოთ მრავალშვილიან ოჯახებს შვილების გამრავლებასა და აღზრდაში. ეს თითოეული ჩვენგანის ვალია. ქართველი ერი უნდა გამრავლდეს და ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე ყველაფერი ვიღონოთ ამ დიადი მიზნის ხორცშესხმისათვის.

ვალერიან ლომიძე

P.S. ძალზე საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ბატონი ვალერიან ლომიძე და კარგი იქნება თუ იგი ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელდება, შესაბამისად, კარგი იქნება თუ მას სხვა მუნიციპალიტეტებიც მიბაძავენ. ამ საკითხებთან დაკავშირებით მეტი აქტიურობა გვმართებს. როცა ქვეყანაში უმწვავესი დემოგრაფიული მდგომარეობაა, ეს პრობლემა სამშობლოს თითოეული გულშემატკივრისათვის მთვარ საზრუნავად უნდა იქცეს.

ეპრაელთა დიდი მეფე — ბრძენი სოლომონი

◀ დასაწყისი გვ. 1

და ანდაზას, ბრძენთა ნათქვამებს და მათ არაკებს“.

ბრძენი მეფე არასოდეს ივიწყებს უფალს და მოუწოდებს ყველას: ***„უფალის შიში ცოდნის სათავეა. სიბრძნე და შეგონება ბრიყვებს არ უყვართ„***; ასწავლის ერს, რომ სიბრძნეს, ჭკუასა და გონიერებას განძივით უნდა დავეძებდეთ, რადგან მხოლოდ ასეთ ადამიანებს ძალუძს ღვთის შემეცნება. ადამიანის გულში დაბუდებული ცოდნა იცავს კაცს ბოროტი გზით მოსიარულეთაგან, თვალთმაქცთაგან და კეთილი გზით, მართალთა გზით ატარებს; ალალმართლები კი აუცილებლად დამკვიდრდებიან ქვეყანაზე, ურულოები მოიკვეთებიან წუთისოფლიდან საუკუნოდ და აღმოიფხვრება მათი სახელიც. სწორედ ამიტომ მოუწოდებს ხალხს: ***„მადლმა და სიმტკიცემ არ მიგატოვოს, ყელზე მიიბი, გულის ფიცარზე დაიწერე“*** და მხოლოდ მაშინ გახდები ღირსი ყოველივე სიკეთისა და წყალობისა, ღვთისა და ადამიანის წინაშე.

სოლომონ ბრძენი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას უფლის საძულველ შვიდ მანკიერ ნიშანზე, რომელიცაა: ამპარტავანი თვალები, ცრუ ენა, სისხლისმღვრელი ხელები, ავისმზრახველი გული, ბოროტებისათვის მარდი ფეხები, ცრუმოწმეობა და შუღლის მთესველობა.

ამ თვისებათა მატარებელ ადამიანებს მოულოდნელად დაატყდებათ უბედურება და აღარავინ იქნება მათი მხსნელი.

სოლომონმა შთამომავლობას უამრავი იგავი და გამონათქვამი დაუტოვა, რომლებიც არასოდეს დაკარგავენ სიდიადეს; აი, ზოგიერთი მათგანი:

მიეცი დარიგება ბრძენს და კიდევ ურფო დაბრძენდება, ასწავლე მართალს და ცოდნას შეიმატებს;

ბრძენი შვილი მამას ახარებს და უგუნური შვილი დედის დარდია;

სიძულვილი შუღლის აღმძვრელია, სიყვარული კი ყველა ცოდვას ფარავს;

ბევრი ლაპარაკისას ცოდნა აუცდენელია, საკუთარი ბაგეების ამლაგმავი გონიერია;

მონყალე კაცი თავის სულს სიკეთეს უყოფს, გულქვა კი თავის სხეულს ღუპავს;

იცოდე, ავკაცი ვერ გამართლდება, მართალთა მოდგმა კი გადარჩება;

თუკი მართალს სანაცვლო მიეზღვება ამქვეყნად, მითუმეტეს, ბოროტეულს და ცოდვილს;

კაცის გული თავის გზებს გეგმავს, მის ნაბიჯებს კი უფალი წარმართავს;

ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს;

უფლის მოშიშებით მცირეს ქონა უმჯობესია, ვიდრე დიდძალი განძი მოუსვენრობაში;

ერთგულ კაცზე ბევრი კურთხევაა, ხოლო ვინც გამდიდრებას ესწრაფვის, დაუსჯელი ვერ გადარჩება;

მრავალი განზრახვაა კაცის გულში, მაგრამ მხოლოდ უფლის ჩანაფიქრი აღსრულდება;

მოუსმენლად პასუხის გაცემა სიბრიყვეა და სირცხვილი;

ღვინო კაცს ამასხრებს, ლუდი შფოთს ატეხინებს, ვინც მათ ეტანება უგუნურია;

კაცის სისხლით დამძიმებული კაცი სამარემდე სირბილში იქნება, რათა არ შეიპყრონ;

საზრიანი კაცი ცოდნას მალავს, უმეცართა გული კი სისულელეს რომავს;

სიცილის დროსაც კი წუხს გული...;

დავის დასაწყისი გაშვებული წყალია: ვიდრე არ აფეთქებულა, შეწყვიტე ცილობა;

სხვამ შეგაქოს და არა შენმა პირმა, უცხომ და არა შენმა ბაგეებმა;

ბრიყვი წამში ამხელს თავის გაბრაზებას, გონიერი კი მალავს წყენას – და კიდევ სხვა მრავალი.

სიბრძნის დამფასებელი სოლომონ მეფის თქმით: ***„სიბრძნემ სახლი აიშენა, მისი შვიდი ბოძი გათალა. დაკლა თავისი საკლავი, გააზავა თავისი ღვინო და გაშალა თავისი ტაბლა, გაგზავნა თავისი მხევლები, გადასძახა ქალაქის მაღლობებიდან: ბრიყვი ვინც არის, აქეთ მომიბრუნდეს! ჭკუათხელებს კი უთხრა: მოდით, დაპურდით ჩემი პურით და შესვით ჩემი განზავებული ღვინო. მიატოვეთ სიბრიყვე და იცოცხლებთ“.***

ორმოცი წელი იმეფა სოლომონმა ისრაელზე იერუსალიმში.

ბრძენკაცი იყო, წარმოსთქვა სამი ათასი იგავი და შექმნა ხუთი ათასი გალობა, ლაპარაკობდა და მსჯელობდა ყოველთვის ჭკვიანურად, უდიდესი სიბრძნით.

გარდაიცვალა და დამარხეს იერუსალიმში, – დავითის ქალაქში. მის შემდეგ, მისივე ძე, – **რობოამი** გამეფდა შექემში.

ჯავახეთის დარნები

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „დარანი“ განმარტებულია, როგორც: ***„გამოქვაბული კლდეში ან მიწაში... მიწისქვეშა სახიზნავი ნაგებობა, სამალავი“***. ეს განმარტება, განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილი, ზედმიწევნით ესადაგება ჯავახეთის დარნების ადგილმდებარეობასაც და დანიშნულებასაც. მართლაც, ისინი მიწიქვეშა ნაგებობები, ქვაბულებია და განკუთვნილი არიან სამალავად, თავის დასაცავად, დროებით სახიზნავად.

ჯავახეთში, მცირედი გამოკლებით, თითქმის ყველა სოფელსა და ნასოფლარს აქვს თავისი დარანი, იგივე ითქმის სამცხეზეც. ისმის კითხვა: რამ განაპირობა დარნების ასეთი სიმრავლე ამ რეგიონში? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ეს აიხსნება მხოლოდ მტრის ხშირი შემოსევებით, რაც ჯავახეთის მოსახლეობას აიძულებდა გამოენახა თავის გადარჩენის, სიცოცხლის შენარჩუნების საშუალება.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჯავახეთი იმთავითვე, წარმოადგენდა საქართველოს განაპირა სამხრეთის სასაზღვრო მხარეს, რის გამოც მტრის უამრავი ურდოები ხშირად ესხმოდნენ თავს ძარცვის მიზნით და, რა თქმა უნდა, არ ინდობდნენ მოსახლეობას, სასტიკად, დაუნდობლად ჟლეტდნენ მათ. მოსახლეობა, მეტწილად, პატარ-პატარა სოფლებად ყოფილა დასახლებული, რაც აშკარად ჩანს ძველი ნასოფლარების დაკვირვება-შესწავლითაც. ასეთი მცირე დასახლების სოფლებს, ისიც მაშინ, თითქმის არ გააჩნდათ არავითარი შეიარაღება და არც შეეძლოთ სხვა სოფლებთან ჰქონოდათ ისეთი მტკიცე კავშირი, რომ შიშიანობის დროს მოსახლეობა დახმარებოდა ერთმანეთს. ფაქტიურად, ასეთი სურვილი იქნებ ჰქონდა მოსახლეობას, მაგრამ, სიშორის გამო ერთი სოფელი, მოსალოდნელი თავდასხმის დროს მეორეს ვერ ეხმარებოდა და, ხშირად, თითოეულ სოფელს თვითონ უნდა ეზრუნა თავის გადარჩენაზე, ხოლო, რადგან თავდამსხმელი ყოველთვის წინასწარ მომზადებული და კარგად შეიარაღებული იყო, ამიტომაც გამარჯვებაც მას რჩებოდა, – უმოწყალოდ ხოცავდა მოსახლეობას და ნადავლით დამძიმებული, დაუბრკოლებლად ბრუნდებოდა უკან. ასეთმა ვითარებამ, ალბათ, მოსახლეობა აიძულა, გამოენახა უკიდურესი საშუალება სიცოცხლის გადასარჩენად.

მოსახლეობის სიმცირისა და სიღარიბის გამო, ციხესიმაგრეებს ბევრგან ვერ აგებდნენ, თუ მსგავს რაღაცა ნაგებობას აიშენებდნენ, ეს ძირითადად იყო ქვაყრილი, შემოღობილი, საკმაოდ დიდი ფართი, მეტწილად მთათა მწვერვალებზე, სადაც აფარებდნენ თავს, მაგრამ ასეთი თავშესაფარი არ იყო საიმედო, რის გამოც, ბოლოს და ბოლოს, ამჯობინებდნენ თავი შეეფარებინათ აქა-იქ არსებული ბუნებრივი გამოქვაბულებისთვის, რომელთა გაფართოება-გაუმჯობესებითაა მიღებული ალაგ-ალაგ (სადაც არსებობდა ბუნებრივი გამოქვაბული) თავდაცვითი საშუალებები. იქ, სადაც არ იყო ბუნებრივი გამოქვაბულები, მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო ამ მიზნისთვის განკუთვნილი ნაგებობების, – დარნების მშენებლობები, რაც გავრცელდა მეტწილ სოფლებში.

ეტყობა, ყველა სოფელს არ ჰქონდა დარნები. ეს განსაკუთრებით ითქმის ახლო მდებარე პატარა სოფლებზე. ასე მაგალითად: ჯავახეთში არის ნასოფლარები: დიდი მურჯი და პატარა მურჯი. ეს სოფლები ძალიან ახლოს ყოფილან ერთმანეთთან, სულ რაღაც ხუთასიოდე მეტრში. დიდ მურჯს ჰქონია კარგა მოზრდილი დარანი, პატარა მურჯს კი – არა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, პატარა მურჯელებიც თავს აფარებდნენ დიდი მურჯის დარანში. ასევე შეიძლება ითქვას დიდ და პატარა ხორენიაზე, რომელთაგან პირველს აქვს დარანი, მეორეს – არა.

ჯავახეთის მთელ რიგ სოფლებსა და ნასოფლარებში დღესაცაა შემორჩენილი უძველეს დროში აგებული დარნები. ყოველგვარი სპეციალური დაკვირვებისა და შესწავლის გარეშე ისინი აშკარად შეინიშნებიან სოფლებში: კუმურდოში, ბარალეთში, ლომატურცხში, მერენიაში, სამსარში, ხორენიაში, აბულში და ნასოფლარებში: მურჯში, ვარდისციხეში, მურჯიკანში, გრიაში და სხვ.

ჩვენი დაკვირვებით და ზოგიერთ დარანში ნაწილობრივ შეღწევით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯავახეთის დარნების უმრავლესობა ერთნაირადაა ნაგები: – იწყება ვიწრო შესასვლელით, რომელიც გრძელდება დაახლოებით 10-15 მეტრზე, რომლის იქით არის დატანებული ქვის ქუსლიანი კარი, მერე კი იწყება ჯერ პატარა, ხოლო შემდეგ შედარებით მოზრდილი სათავსოები.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანის აგებულება: ავიღოთ ნასოფლარ მურჯის დარანი. იგი მდებარეობს სოფელ კოთელიიდან 1,5 კილომეტრის მანძილზე, მის ჩრდილო-დასავლეთით ნასოფლარი მურჯია. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, დაახლოებით ათკომლიანი სოფელი ყოფილა. იგი განლაგებულია ორი (ერთი პატარა და მეორე დიდი) გორის დასავლეთით, დიდ გორასთან ახლოს. მურჯის დიდ გორას თავზე „აზის“ ადგილობრივი ბაზალტის ქვით ნაგები ციხე, რომელიც დღეს დანგრეულია, მაგრამ საძირკვლის ზემოთ ორი ყორე მაინც შემორჩენია. ამ გორას სამხრეთ-დასავლეთის მხრივ ქვემო თხემზე დიდრონი ლოდების ქვაყრილი აქვს. აი ამ ქვაყრილის ქვეშ, სრულიად შეუმჩნეველ ადგილას იწყება დარნის შესასვლელი. სოფლის სკოლაში (დაწყებითი სკოლა) სწავლის დროს მასწავლებლებს მივყავდით მურჯში ექსკურსიაზე. კარგად მახსოვს: ბავშვები დარნის შესასვლელში ხალვათად (მხოლოდ მოხრილ მდგომარეობაში) შევდიოდით, მასწავლებლებს კი უძნელდებოდათ შესვლა, რადგან, დროთა განმავლობაში, დარნის შესასვლელი ამოვსებული იყო მიწით და, რა თქმა უნდა, ახლა უფრო ამოვსებულია. შესასვლელის სიგრძე დაახლოებით ათიოდე მეტრია, რომლის დასასრულში ჩასმულია ქვის ქუსლიანი კარი. კარის ზემო ნაწილში არის ათიოდე სანტიმეტრის დიამეტრის სათვალთვალო ხვრელი. ის კარი ნახევრადგაღებულ მდგომარეობაშია, ქვემო ნაწილი კი ჩამოყრილ მიწას დაუფარავს. ამ კარის შიგნით უკეთ შეიძლება წელში გამართვა, – იქ პატარა სათავსოა, რომელშიც თავისუფლად დაეტევა ათიოდე კაცი. ამ სათავსოს დასასრული ცოტა კიდევ ვიწროვდება, რომლის იქით კიდევ ერთი ასეთი სათავსოა. ამ სათავსოდან „გზა“ ორად იყოფა: ერთი მაღლა მიემართება, მეორე – პირდაპირ. მაგრამ ამის იქით წინსვლა აღარ ხერხდება, რადგან გასასვლელები ჩახერგილია ჩამონგრეული ქვებით და მიწით. როგორც ჩანს, აღმა მიმავალი გზა ციხეს უკავშირდება, პირდაპირ მივალი კი – შედის დარნის სიღრმეში.



სამსარი

მე, პირადად, სანდო პირებისგან, რომელთაგან ერთი ბიძაჩემი იყო, მომისმენია, რომ მათ თავიანთ ახალგაზრდობაში, ე.ი. დაახლოებით 80-85 წლის წინათ, შეაღწიეს იმ დარნის სიღრმეში (მაშინ ჯერ კიდევ ჩახერგილი არ ყოფილა პირდაპირი შესასვლელი). ეს ხანდაზმული ადამიანები ამბობდნენ, რომ შიგნით 9 დიდი „დარბაზიაო“. და იმასაც დასძენენ, რომ ეს „დარბაზები“ მოფენილია ძველი ტანისამოსის ნაფლეთებით. მათი თხრობიდან ისიც ირკვევა, რომ ეს ე.წ. „დარბაზები“ ბუნებრივი ქვაბულებია, რომელთაც ალაგ-ალაგ შეხებია ადამიანის ხელი... თუ ეს მართალია, მაშინ გამოდის, რომ მურჯის დარანი საკმაოდ ფართო მოცულობისაა. საინტერესო დარანია სოფელ დიდ ხორენიაში. მისი ადგილსამყოფელი უკანასკნელ დრომდე საიდუმლოებით იყო მოცული. ორიოდე წლის წინ მოხდა მოულოდნელი აღმოჩენა: სოფელში ერთი მაცხოვრებლის ყოფილი კალოს შუაგულში ეგდო დიდი ლოდი. ამჟამად ამ ყოფილი კალოს პატრონი იყენებს საკარმიდამო ნაკვეთად. ცოლმა ქმარს სთხოვა, – ის ლოდი ან დაემტვრია, ან გადაეგორებინა, – ადგილს იკავებსო. ქმარს მეუღლის თხოვნა ჭკუაში დაუჯდა და მეზობლების დახმარებით, გადააგორა, რამაც ფარდა ახადა საიდუმლოებას: ქვა ფარავდა გვირაბის შესასვლელს. როგორც შემდეგ გაირკვა, ის იყო დარნის შესასვლელი, რომელიც ამ ლოდით იყო დაფარული. მურჯის დარნისაგან განსხვავებით, ხორენიის დარნის შესასვლელი საკმაოდ ხალვათი და უფრო გრძელია. დასასრული ამასაც აქვს ქვის ქუსლიანი კარი. სინესტის, წყლისა და ნანგრევის მიერ შექმნილი დაბრკოლების გამო, წინ სვლა აღარ მოხერხდა. ის დარანი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, პატარა ეკლესიის (სოფელში ორი ეკლესიაა) სამხრეთით (შესასვლელი) და მიემართება სოფლის შუაგულისკენ, ან უფრო სამხრეთით, სადაც შეიძლება უკავშირდებოდეს კიდეც მდინარე თაფარავანს (სავარაუდოდ)...

სოფელ ბარალეთის დარანი იწყება თანამედროვე სომხური ეკლესიის დასავლეთით, დაახლოებით 500 მეტრის მანძილზე, მის შესასვლელში ახლა გადის სოფლის გზა. ის შენიშნული იქნა ამ რამდენიმე წლის წინათ, გზის დაზიანებასთან დაკავშირებით, ამ მონაკვეთზე. იგი, როგორც მიმართულება გვიჩვენებს, ალბათ, მიემართება ძველი (მე-10 საუკუნის) ეკლესიისაკენ. ასეთი დარნები გვხვდება სოფლებში: ლომატურცხში, ვარდის ციხეში, მერენიაში, გოგაშენში და სხვ.

მურჯიკანი ნასოფლარია, დილისკასა და პრტენას შორის, ახალქალაქიდან 6 კილომეტრზე. იგი მდებარეობს მდ. თაფარავანის მარცხენა ქარაფზე, ნასოფლარის აღმოსავლეთით, ხევის დასაწყისში. კლდეში იწყება დარნის მისასვლელი, რომელიც მიემართება დასავლეთით, ნასოფლარის შუაგულისკენ. არც ის დარანია შესწავლილი, გარდა იმისა, რომ ცალკეულ ახალგაზრდებს სხვადასხვა დროს შეუღწევიათ აქაც მცირე მანძილზე. დარანი მისადგომად ძალიან ხელსაყრელია, რადგან მისი შესასვლელი სრულად შეუნიღბავია... საინტერესოა, რომ ამ სოფლიდან გადასახლებულან სოფელ ბარალეთში.

ვარდისციხე ნასოფლარია ახალქალაქის რაიონში, მურჯის დასავლეთით, სოფელ ვარევნიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1,5 კილომეტრის მანძილზე. როგორც ნასახლარებს ეტყობა, იგი საკმაოდ მოზრდილი სოფელი ყოფილა წარსულში. ამ ნასოფლარს აქვს არქეოლოგიურად საინტერესო სასაფლაო (ე.წ. „ლურსმული სამარხებით“), ნათალი სამსრული ქვით ნაშენი წარწერიანი ეკლესია. მრავალი შემოსევის დროს წარწერა უკიდურესად დაზიანებულია და არ იკითხება. ამ ნასოფლარშიც არის დარან-სახიზრები, რომლებიც, აგრეთვე, შეუსწავლელია.

სოფელი არაგვა მდებარეობს ახალქალაქიდან სამხრეთით 9 კმ. მანძილზე. განლაგებულია ახალქალაქიდან ბაკურიანისკენ მიმავალი სახელმწიფო გზის ორივე მხარეზე. უძველეს ხანაში სოფელი განლაგებული ყოფილა ამავე გზის აღმოსავლეთით. სიძველეთაგან სოფელში შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნანგრევები და ამავე ეკლესიის აღმოსავლეთით არსებული დარანი, რომელიც იწყება ეკლესიის თითქმის გვერდიდან და გრძელდება სოფელ ზაკვის მიმართულებით. არც ეს დარანია შესწავლილი.

ცალკე უნდა აღინიშნოს სოფლების აბულისა და გრიის დარნების შესახებ. სოფელ აბულის დარნის არსებობის შესახებ სოფელში არავინ არაფერი იცოდა. 1986 წელს ჯავახეთში მომხდარი მინიძვრის დროს აბულში დაინგრა რამდენიმე სახლი. ერთ-ერთი სახლის პატრონი სახლის ნანგრევებს ასუფთავებდა, რომ ახალი აეშენებინა... საძირკვლის გათხრისას, ამოიღო დიდი ლოდი, რომლის ძირში აღმოჩნდა ხვრელი, რომელმაც განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მოსახლეობაში. დარანში შესაძლებელი გახდა შესვლა. იგი თავისებურად განსხვავებული დარანი აღმოჩნდა, რის შესახებაც სახლის მეპატრონემ შესაბამის ორგანოებს აცნობა. შეძლებისდაგვარად მოვახერხეთ ახალი „აღმოჩენის“ დათვალიერება. ეს იყო გონივრებურად განლაგებული დარანი. ერთ მხარეზე, 15 მეტრამდე სიგრძის კედლით, სამწუხაროდ, ვერსად ვერ ვნახეთ დარნის შესასვლელი კარები (თუმცა ემჩნეოდა, რომ მას შესაძლოა ორი კარიც ჰქონოდა). ალბათ იგი ნანგრევებში მოყვა. დარნის თავისებურება კი იმაშია, რომ იგი გადახურული ყოფილა 3,5 მეტრი სიგრძის, 20 სანტიმეტრის სისქისა და 70-80 სანტიმეტრის სიგანის ადგილობრივი მონითალო ფერის ქვებით. გადავწყვიტეთ, რომ სახლის პატრონს მისცემოდა მიწის სხვა ნაკვეთი მშენებლობისთვის და დარანი დარჩენილიყო მისასვლელად მოსახერხებელ მდგომარეობაში. რაზეც რაონის ხელმძღვანელობამაც თანხმობა განაცხადა, მაგრამ, შემდგომში, სხვადასხვა მიზეზების გამო, შესაბამისმა ორგანიზაციებმა არ მიაქციეს ყურადღება და სახლის პატრონი იძულებული გახდა ზედ დარანზე დაედგა საცხოვრებელი სახლი. სწორედ ამის გამო ეს დარანიც დარჩა შეუსწავლელი.

გრია ნასოფლარია სოფელ ხანდოსთან 1,5 კილომეტრზე, სამხრეთით, სიძველეთაგან გრიაში შემორჩენილია პატარა ეკლესიის ნანგრევები, ნასოფლარის დასავლეთით მდებარე პატარა გორაზე დგას დარანი, რომელიც მისადგომად ძალიან ადვილია, რადგან მისი შესასვლელი იწყება იქვე, ეკლესიის სამხრეთის მხარეზე. საინტერესო ისაა, რომ ყველა დარნის მისასვლელი მოფარებულ, შენიღბულ ადგილზეა, გრიაში კი – ყველასათვის შესამჩნევ ადგილზე, მიწიდან ზემოთ აღმოსავლეთის მხარეზე, აშკარად ჩანს ხახადაღებული დარნის შესასვლელი.

დარანი არსებობს კუმურდოს საკათედრო ტაძრის ქვეშაც, რომლის შესავლელი მდებარეობს ტაძრის კარიბჭის გვერდით (შესასვლელის მარჯვნივ), რომელიც ამჟამად დახურულია დიდი და ბრტყელი ქვით.

რაც შეეხება სამსრის ქვაბულს, უნდა ითქვას, რომ იგი ვარძიის მსგავსი კომპლექსია, მთლიანად კლდეში გამოკვეთილი და სათავსოები ერთმანეთთან გვირაბებით არის დაკავშირებული. ხანგრძლივი ცხოვრებისთვის სამსრის ქვაბულზე თითქმის ყველა პირობა ყოფილა შექმნილი – ეკლესია, წისქვილი, საქონლის (ცხვრის) ბაკები და სხვ. იგი იწყება სოფელ პატარა სამსრის ქვემოთ და გრძელდება სოფელ დიდი სამსრის მისადგომამდის აღმოსავლეთიდან. მას მთლიანად უკავია ორივე სოფლის შუა მდებარე ხევის მარჯვენა ქარაფი...

აქ, ეკლესიის ჩამონატეხ ლოდზე არსებული წარწერა (ასომთავრული) გვამცნობს, რომ მშენებლობის წარმოებისას, აქ არსებული ხშირი ტყის გამო, ირგვლივ არაფერი არ ჩანდა. თუ ამ წარწერას ვირწმუნებთ, სამსრის ქვაბულები თავის დროზე საკმაოდ საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა.

ახლა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ მოსახლეობა როგორ აფარებდა თავს ამ ქვაბულს (დარნებს).

დარნის ახლო მყოფ სოფლებს შერჩეული ჰქონდათ რომელიმე მათგანის ტერიტორიაზე ყველაზე მაღალი მთა-გორაკი, ისეთი, რომელიც ყველა სოფლისთვის გამოსაჩენი იყო. ამ მთაზე მუდამ იდგა გუშაგი, რომელიც გაჰყურებდა მტრის მიმოსვლის სავარაუდო გზებს, მიმართულებებს. ასეთ მთებს დღევანდლამდე შემორჩენიათ მათი დანიშნულების მისანიშნებელი სახელწოდებები. ამ მთებს მოსახლეობა დღესაც „საყარაულოებს“ ეძახის. მაგალითად, ამ სახელწოდების მთებია: სოფელ ბარალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართული მთა, რომელიც გადაჰყურებს სოფლებს: ბოჟანოს (ფოზანი), აგანას, კაჭიოს, ალათუბანს (ალიათუბანს), ბალანთას, ჭიხარულას, სირკიას, ხრტილას, მერენიას, ბარალეთს, კოთელიას, ტურცხს, ლომატურცხს, ღადოს და სხვ. ასეთივე მთა არის ნასოფლარ მურჯის დასავლეთით, რომელიც კარგად ჩანს სოფლებიდან: ვარდის ციხიდან, დიდი მურჯიდან, პატარა მურჯიდან, ცხიადან (ამჟამად ნასოფლარია), ვარევნიდან, ალასტნიდან, ვარგავიდან, აზავრეთიდან, ბურნაშეთიდან და ა.შ. ასეთივე სახელწოდების მთა არის სოფლები: ჩუნჩხისა და პრტენის სამხრეთ-დასავლეთით, რომელიც, თავის მხრივ, გადაჰყურებს სოფლებს: ჩუნჩხას, პრტენას, დილისკას, მურჯიკანს (ნასოფლარია), ვაჩიანს, კორცხოლოს (ნასოფლარია), ქილდას, დახვანდებს (ნასოფლარებია) და სხვ.

დიდი შიშიანობის დროს, საყარაულოებზე სადღეღამისო მორიგეობა იყო დაწესებული. გუშაგები სოფლის მახლობლად მდებარე მაღლობებზე იდგნენ, მტრის გამოჩენისას, საყარაულოებზე მდგომი გუშაგები, თუ დიდი იყო მოსალოდნელი ხიფათი, მოახლოებას ანიშნებდნენ მაღალ სერზე წამოცმული ძველმანის ან გოდორის გადახრით იმ მხარეზე, საიდანაც მტერი მოდიოდა, სოფელთან მდგარი გუშაგი კი, ამ სიგნალის შენიშვნისთანავე, განგაშს ტეხდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავი უნდა შეეფარებინათ დარნებისთვის. მოსახლეობა ამ დროს სასწრაფოდ სურსათ-სანოვაგით თავს აფარებდა დარნებს. რა თქმა უნდა, ამ დროს დაუცველი რჩებოდა სოფელი. მტერსაც ეს უნდოდა – დაიტვირთებოდა ნადავლი, გარეკავდნენ უპატრონოდ მიტოვებულ ცხვარ-ძროხას და ცხოვრების საშუალებას არ უტოვებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

მიმაჩნია, რომ დარნები ჩვენი წარსული ცხოვრების, მატერიალური კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლებია და მათ სათანადო მოვლა-პატრონობა, მეცნიერული შესწავლა და დაცვა სჭირდებათ.

არსენ კარაპეტიანი,
1989 წელი, ახალქალაქი

ფოლკლორი

დღესასწაულები და დღესასწაულებთან დაკავშირებული წესები

(გაგრძ. დასაწყ. იხ. №1,2, 12 , 2015, №1 2016)

ხორწიელი

ხდრიელის სწორზე ხორციელი იყო. ხორციელში დაკლავენ საქონელს და ხორცის ჭამას ეტანებიან.

ყველიერი

ხორციელის სწორზე კი ყველიერი მოდიოდა. ყველიერის პირველი დღიდან ხორცს არ სჭამდნენ – კბილებში ჩაგვრჩება და მარხვას გავტეხთო.

ყველიერის ორშაბათ დილით ერთი ვინმე სუფრით ავიდოდა ბანზე (სუფრაზე არაყი, ნამცხვარი და ერბოკვერცხი ექნებოდათ, მოინვევდნენ ვინმე მახლობელს, მას მოჰყვებოდნენ სხვები. ვინც კი ამ ოჯაღთან ცუდ დამოკიდებულებაში არ იყვნენ. ქალები კი მათ სუფრებს მოართმევდნენ. ასე დაიწყებოდა მთელკვირიანი ქეიფი. მოიყვანდნენ დამკვრელებს, განსაკუთრებით იცოდნენ ყველიერში გუდა-სტვირის დაკვრა. იყო ჭამა-სმა და ქეიფი, ცეკვა, სიმღერა და ხშირად ჭიდაობაც. ამ დღისთვის, ზაფხულობით, საგანგებოდ ამზადებდნენ ტენილ ყველს (იხილეთ შემდეგ), რომელიც დიდი სახელით სარგებლობდა.

ორშაბათიდან დაწყებული შაბათის დაღამებამდე ლხინი და ქეიფი სწარმოებდა, ხან ერთის ბანზე იყვნენ შეკრებილნი, ხან მეორეს ბანზე და სხვა. უფრო ხშირად (დიდ სოფლებში) რამდენიმე ბანზე იყვნენ შეკრებილნი. ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს ეპატიჟებოდა, ხშირად ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ: ერთმანეთს შორის ჭიდაობასაც გამართავდნენ, ვინ ვის მოერეოდა. ამ ჯიბრს, არა ერთხელ ყოფილა, რომ დიდი ჩხუბიც მოჰყოლია და ერთმანეთისთვის თავპირიც კი დაუმტვრევიათ.

აღებღამეს, ყველიერის საღამოს, იკრიბებოდნენ ისევ მთელი სოფელი. გუდის სტვირს, უფრო ხშირად, ზურნას ან სხვა მუსიკანტებს მოიყვანდნენ (ხშირად ესენი ისევ სოფელში ჰყავდათ). ქალი და კაცი დაბამდნენ ფერხულს, ცეკვავდნენ და თან ერთი სიმღერას იწყებდა, სხვები ბანს აძლევდნენ და ასე მღეროდნენ:

„ჯერ პირველად ღმერთი ვახსენოთ,
მერე და ყველა წმინდა და,
ყველა წმინდა ღვთისმშობელო და,
მადლი შენი შეგვეწიოს და...
მეორე წამოიწყებდა ახლა:

„მუხა წონწილემს, და წინწილებს,
მამლი მუხასაო და
წონწილებს და წაიქცევა
მამლი მუხასაო და,
აი და მუხის ნადგომსა ძირს...
მამლი მუხასაო და...
შიგანაც რო წყალი ჩადგება,
მამლი მუხასაო და.
შიგანაც რო თევზი გაჩნდება,
მამლი მუხასაო და,
იმასაც რო დაჭერა უნდა
მამლი მუხასაო, და...
რითი და რითი, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო და,
მოსეს ბადითა, შენ ბიჭო
მამლი მუხასაო და.
იმასაც რო მოხარშვა უნდა
მამლი მუხასაო და.
რითი და რითი შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო და.
მოსეს ქვაბითა, ჰა, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო და.
იმასაც ხომ ცივება უნდა,
მამლი მუხასაო და.
იმასაც რო ჭამა უნდა,
მამლი მუხასაო და.
რითა და რითა შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო და,
ბაგე ტკბილითა შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო და.
ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახდა ქიშმიშობასა,
ღმერთმა ყველანი დაგასწროთ
აღდგომა ქრისტეშობასა“.

ასე მღეროდნენ ორშაბათ გათენებამდე. გათენებისას დაიშლებოდნენ და ყველა თავის სახლში წავიდოდა.

ამ წესის შესრულება გავრცელებული იყო სოფელ საროში, ბევრგან კი აღებღამეს კარგ საჭმლებს ამზადებდნენ: აცხობდნენ ქადა-ნამცხვრებს, ბიშს, ჭირიხტასა და სხვას და შეექცეოდნენ, რომ მარხვაში აღარ შეეძლებოდათ მსუყე და ცხიმიანი საჭმლების ჭამა. აღებღამეს ზოგჯერ სოფლეურად ითენებდნენ – ერთად ჭამდნენ.

მეორე დღეს კი იწყებოდა დიდი მარხვა.

დიდმარხვა

დიდმარხვის პირველ დღესვე გააკეთებდნენ ბობოლას: ბობოლა მზადდებოდა მოზრდილი კარტოფილისაგან. კარტოფილს შეასობდნენ ფრთებს რიცხვით შვიდს (იმდენს, რამდენი კვირაც იყო დიდმარხვაში). ჩამოჰკიდებდნენ ჭერზე თოკით. ბავშვები, რომელნიც მოითხოვდნენ ყველს ან სხვა ან არასამარხვო საჭმელს, აშინებდნენ ბობოლათი, ჩუმად იყავი, თორემ ბობოლა გაჯავრდებაო. თუ მაინც არ გაჩუმდებოდნენ, ზოგი ბაგე-ტკბილს ამბობს, ზოგი კი ბაგე-კბილს. მაშინ პატარა ვინმე ავიდოდა ბანზე და ბავშვს კენჭების სროლას დაუწყებდა, ან თუ პატარა იყო და იმდენი არ გაეგებოდა, თავში წკიპურტს წაჰკრავდნენ: ჩუმად აი, ბობოლა ჯავრობს, ჩუმად იყავი, თორემ გცემსო“.

როდესაც მარხვის პირველი კვირა გავიდოდა, ერთ ფრთას გამოაძრობდნენ, მეორე კვირას მეორეს და ასე შემდეგ. დამთავრების შემდეგ კი მთლად ბობოლას ჩამოიღებდნენ.

იცოდნენ ზოგიერთ ოჯახში ბობოლის ნაჭრებისგან შეკერაც. პატარა მრგვალი ბალიშივით შეკერავდნენ ნაჭრებისაგან. ნაცრით გატენიდნენ. როდესაც მარხვა დამთავრდებოდა, ცოტა ადრე ადგებოდნენ, ჩამოიღებდნენ ბობოლას, დაერეოდნენ და დაუშენდნენ ჯოხებს ისე, ვიდრე ბობოლას არ დაგლეჯდნენ და ნაცარი არ განიავდებოდა.

როგორც დიდმარხვაში, ისე სხვა მარხვაშიც აკეთებდნენ საჭმლებს – წყალკორკოტას, ზეთის ბიშს, მათოხს. იგი მარხვის ყველაზე ახმიანებული საჭმელია. ამზადებდნენ ასე: პურის ცომს მოზელდნენ, (კოჭობით) პატარა ქოთნით მისდგამდნენ ბუხარში. როდესაც უნდოდათ საჭმლის გაკეთება, მოხარშავდნენ კორკოტს. მოხარშულ კორკოტში თბილ წყალში გახსნილ პურის ცომს ჩაურევდნენ ცოტა ფქვილს, ამოჰკრავდნენ (ამოუკიდებდნენ), ზეთს მოასხამდნენ და ისე სჭამდნენ.

ტყლაპის საჭმელი: მას ხშირად აკეთებდნენ. ამის დამზადების დროსაც ისევ კორკოტს ხარშავდნენ, წყალში გალესილ ტყლაპს ჩაურევდნენ, ამოუკიდებდნენ ფქვილს და ზეთს მოასხამდნენ.

წყალკორკოტა: კორკოტს ხარშავდნენ, ზეთს უზამდნენ.

ლობიო: ლობიოს მოხარშავდნენ, ამოზელდნენ. ხშირად ზეთსაც უზამდნენ და ისე სჭამდნენ, ან იცოდნენ მოხარშული ლობიოს მშრალად ამოღება და ისე ჭამა, რასაც „ლობიოს კირკაჟი“ ეწოდებოდა.

ბიში: მოზელავდნენ წმინდა ფქვილის (დიკის გამტკიცებული ფქვილის) ცომს (ცომი არც ისე სქელი უნდა ყოფილიყო), გააღვივებდნენ. ამოიღებდნენ, სუფრაზე გაშლიდნენ მრგვლად, ხელით და ცეცხლზე დადგმულ ტაფაში, რომელშიც წამოდუღებული ზეთი იყო, ჩაუშვებდნენ. როდესაც გამოცხვებოდა ერთი პირი, მეორე მხარეზე გადააბრუნებდნენ ხერტლით. გამოცხვებოდა და ამოიღებდნენ.

ყველაზე სანაქებო საჭმელი, განსაკუთრებით მარხვისას ბიში იყო.

ჭირიხტა: ზელავდნენ წმინდა ფქვილის თხელ ცომს. გააღვივებდნენ და ადუღებულ ზეთიან ტაფაში ჩაყრიდნენ ცომს კოვზით. კაკლის ოდენებს. ბევრმა იცოდა, ცომს ამოიღებდა ხელით, მოუჭერდა ხელს, ცერა თითის ზეიდან კაკალივით დადგებოდა, მოწყვეტდნენ კოვზით და ჩაყრიდნენ ტაფაში, ცხვება მოზრდილი კაკლის მსგავსი.

ყეინობა

დიდმარხვაში შეიკრიბებოდნენ. ერთს ბერიკად შეკაზმავდნენ, ტანზე გადმობრუნებულ ქურქს აცმევდნენ, თავზე კვახს ჩამოაცმევდნენ, რომელზეც ფერადი ნაჭრები იყო მიმაგრებული, საყევრის ჯაჭვით ხმალს გადაჰკიდებდნენ ისე, რომ თავზე ქონებოდა წამოსხმული, რომლის სამკლავებზე გაყრილი იყო ცულის ტარი. ცულის ტარს აქნევდა, ირხეოდა საკლავეც, დრო და დრო ეს უკანასკნელი, რითაც ამსგავსებდა და ბაძავდა აქლემს.

სასაცილოდ გამოაწყობდნენ ჩაფრებსაც, გადმობრუნებულად ტანსაცმელს ჩააცმევდნენ. დიდრონ ულვაშებს გაუკეთებდნენ, ძველ თოფებს ან ხმლებს გადაჰკიდებდნენ, ერთს კიდევ „კოტოშს“ (სადოსტაქრო იარაღი) სისხლის გამოსაშვებად და სხვა საექიმო იარაღებს. დაიწყებდნენ სიარულს. ყეინი, ანუ ბერიკა, სადაც ტალახი შეხვდებოდა, აქლემს მოითხოვდა. შეჯდებოდა ზედ და ისე გაივლიდა. ნიშნად განყრომისა, ბერიკა დამბაჩას დაარჩაკუნებდა, ვინმე წაიქცეოდა, მივიდოდა ექიმი და წუნწუხს (ნაკელის და სხვა ნაწური) ასუნებინებდა, რაც, რა თქმა უნდა, სიცილს იწვევდა ხალხში.

დრო და დრო შეეტაკებოდნენ, ვითომ ერთმანეთს ჩაფრები ერთმანეთს იარაღებს უშენდნენ. თუ ვინმე შეხვდებოდათ, მიჰგვრიდნენ ბერიკა-ყეენს. ის გადასახადს შეაწერდა და მანამდე არ გაუშვებდნენ, ვიდრე ოჯახი არ გადაიხდიდა. გადახდა შეიძლება მომხდარიყო ან ფულით, ან ერბოთი, ყველით და სხითაც.

რომ შემოივლიდნენ სოფელს, ამის შემდეგ თავეთ ნადავლით ერთ რომელიმესთან მიდიოდნენ და გაიბანდნენ ტანს, გაბანდნენ ბერიკასაც და დაიწყებდნენ შენაკრებით ქეიფს. ასე იცოდნენ ზოგან ყეინობა (მაგალითად სოფელი სარო), ზოგან კი, მაგალითად კოთელიაში, ყველიერში იცოდნენ ყეინობა.

ერთ ვინმეს ბერიკად მორთავდნენ, გადმობრუნებულ ქურქს ჩააცმევდნენ ტანზე, თავზეც გადმობრუნებულ მეცხვრულ ქუდს ჩამოაფხატებდნენ, ორ მტკაველიან ულვაშებს გაუკეთებდნენ მატყლისას. მტკაველნახევრიან წვერს გაუკეთებდნენ, ზურგშექცევით სახედარზე შესვამდნენ, კუდს მისცემდნენ ხელში, ასევე სასაცილოდ მოირთვებოდნენ მისი მსახურებიც, გადმობრუნებული ქურქებითა და დაჟანგებული ხმლებით ან ხის ხმლებით.

ყეინს წინ გაუმძღვარებდნენ ერთ მსახურს, თან მიჰყვებოდნენ დანარჩენები და გუდასტვირის დამკვრელი. „ყადს“ (ბერიკას, ყეინს) ფრთა და ქაღალდი ეჭირა ხელში, პირში კი უზარმაზარი ჩიბუხი (ყალიონი) ჰქონდა გამოჩრილი, რომელშიც ნაცარი იყო ჩაყრილი და თავზე მუგუზალი (ნაკვერჩხალი) ედო. ვისაც კი შეამჩნევდა „ყადი“, უბრძანებდა მსახურებს, – მომიყვანეთო. მსახურებიც დაუყოვნებლივ ასრულებდნენ ბრძანებას, მუჯლუგუნების (ხელის კვრით) ცემით მიჰყავდათ. „ყადი“ სახედარს კუდ ქვეშ ამოუსვამდა საწერ-კალამს და ქაღალდზე „დაწერდა“ გადასახადს, რაც უნდა გადაეხადა ტყვეს, რა თქმა უნდა, ტყვის შეძლების მხედველობაში მიღებით.

ასე შემოივლიდნენ სოფელს, ზოგჯერ მეზობელ სოფელშიც გადადიოდნენ, ბოლოს რომ მოათავებდნენ თავეთ საქმიანობას, დაიბანდნენ და იქეიფებდნენ თავეთ შენაკრებით.

ერთი კილო საპონი არ ყოფნიდათ მათ გასუფთავებას, დასძენს ერთი მთქმელი.

ზოგან (მაგალითად სოფელ ბალანთაში) სულ განსხვავებულად სრულდებოდა ყეენობა.

ყველიერი რომ დაიწყებოდა, ერთ ახალ დაქორწინებულთან ერთი ჯგუფი მოიყრიდა თავს, ქეიფის მსურველებისა, მეორესთან – მოქეიფეთა მეორე ჯგუფი, რომლებსაც ჩაფრებს უწოდებდნენ, ახალდაქორწინებულებს კი ყეინებს. ყეინებს მორთავდნენ ისე, როგორც ქორწინების დროს მეფეს, ხოლო ჩაფრები, როგორც მაყრები. ორივე ჯგუფი მიდიოდა წყალზე, სადაც ყეინებს წყალში ჩაყენებულთ დაჰჭიდებდნენ ერთმანეთს. რომელიც დამარცხდებოდა, იმის ხარჯზე უნდა ექეიფათ ორივე ყეინის თანმხლებლებს. ყეინებმაც რადგან იცოდნენ, წინასწარ, როგორც ახლად დაქორწინებულთ, აუცილებლად ამ დროს ყეინობა მოუწევდათ და, ამასთანავე, როგორი მოპირდაპირე ჰყავდათ, თვითონ წააქცევდნენ თუ წაიქცეოდნენ, ამის მიხედვით ამ სტუმრების დასახვედრად შემზადებულნიც იყვნენ.

თუ ასეთ საყეინოზე (ახლად დაქორწინებულები) არ ეყოლებოდათ, ხშირად ორი შეძლებული პიროვნება ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ერთი ეტყოდა მეორეზე ხალხს, წაიყვანეთ ეს აბანეთ და ამდენ თუნგ არაყს და საკლავს მოვიტან საქეიფოდო. თუ მეორე გადაამეტებდა და მეტის მოტანას შეჰპირდებოდა, მაშინ ისევ პირველს მიუბრუნდებოდნენ: თუ ის კიდევ დაუმატებდა, ხომ გადარჩებოდა და ისევ მეორეს აბანავებდნენ, თუ არა და ბანება მას ხვდებოდა წილად, დაიჭერდნენ და გააქანებდნენ წყაროზე, ან სადმე, სადაც კარგი „ამოსალბობი“ ეგულებოდათ. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შეპირებულს უნდა შეესრულებინა თავის დაპირება.

(გაგრძელება იქნება)

მთქმელი სიკო მელიქიძე,
ბორჯომის რაიონი, სოფელი ბალანთა, ჩაიწერა
გიორგი ზედგინიძემ 1948 წელს

პოეტური ვიზიტი

შეიდაი

შეიდაი აკოფ თუთაძის აშულური ფსევდონიმია. იგი წარმოშობით სოფელ ტოლოშიდანაა (ასპინძის რაიონი). ცხოვრობდა მე-19 საუკუნის შუა წლებში.

„შედაი“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ყურადღებიანს, საკვირველს, ცნობილს.

***

ლოცვად ვდგავარ დღე ცისმარე,
ეკლად მექცა ყოფნა მარად,
მოვისინჯე თვალზე ცრემლი,
დამედინა ცხარე ღვარად.

ვთქვი, თუ სიტყვას ვემსახურო,
ლამის გასკდეს ბოღმით გული,
სად წუხილი, სად მეჯლისი,
სასმისების წკარა-წკური.

... შებრუნდება სოფლის ჩარხი,
არ იქნება ყოფა ასე,
დაინგრევა ფუძე, ბურჯი,
ოხვრითა და დარდით სავსე.

ნუ ინაღვლებ, ჩემო კარგო,
გეღირსება ხსნა და შვება,
შეეყრება ლეილა მიჯნუნს,
სევდა მკვიდრად არ დარჩება.

(შენიშვნა: აკლია ბოლო სტროფი, სადაც ავტორის სახელის გამოცხადებაა).

ძნელია

ქონების მოშლა, გაცამტვერება,
ღატაკის ფიქრთა დენა ძნელია,
კაცს რომ ეწევა უბედურება,
მრავალ წვრიშვილის რჩენა ძნელია.

რამდენ მდიდარს მოერღვია კარიბჭე,
ვერ უშველის უამრავი საჭურჭლე,
ნამხდარ საქმეს ვერაფრით ვერ დაიჭერ,
კაცის წყენა, გულის ტკენა ძნელია.

ეცადე, რომ წყლულს დაადო წამალი,
მეშურნე კაცს არ ექნება თამალი,
ბედგამწყრალი გინდ ენამო მარადის
შეძენა ქონების, ძალით ძნელია.

ზოგს სიმდიდრე გააჩნია ულევი,
ფუთ-ფუთობით ულაგია ფულები,
ზოგნი კიდევ, უღვთოდ გათანგულები,
ამბობენ, რომ მდიდრების წყენა ძნელია.

ზოგიც ცხოვრობს ვითომ, ჭკუით, უნარით,
მაღალ ბოლის, გაშლილ სუფრის სტუმარი,
დარდიმანდობს, ყველგან დასანუნარი,
ასეთ კაცთან გამოჩენა ძნელია.

(შენიშვნა: აკლია ბოლო სტროფი ავტორის გამოცხადებით).

ჩაიწერა არსენ ქარაპეტიანმა *გასული საუკუნის 50-იან წლებში. მოგვაწოდა* ნარცის ქარაპეტიანმა *2016 წელს*

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com